

რამდენიმე მოსაზრება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე

ლადო ჭანტურია

1. საკითხის დასმა

პოსტსაბჭოთა სამოქალაქო სამართალში გაბატონებული მოსაზრების თანახმად „იურიდიული პირი არის სამოქალაქო-სამართლებრივი კატეგორია.“¹ იურიდიული პირების სამოქალაქო სამართლის ფარგლებს გარეთ განხილვის ნებისმიერი მცდელობა სამოქალაქო სამართლის მეცნიერების წარმომადგენელთა მკაცრი კრიტიკის საგანი ხდება.² პირველ რიგში ეს ეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც რუსეთის სამოქალაქო სამართლის მეცნიერების გავლენით უარყოფილია თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში.³

ამ მეცნიერული მიდგომის გავლენა, რაც გამოიხატება იურიდიული პირების სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებულ კატეგორიად გამოცხადებაში, შეგვიძლია დავინახოთ მრავალი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს სამოქალაქო კოდექსში, განსაკუთრებით იმ კოდექსებში, რომლებიც შემუშავებულია დსთ-ს მოდელური სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე.⁴ ამ სამოქალაქო კოდექსებს აქვთ პრეტენზია, რომ მოიცვან და ამომწურავად დაარეგულირონ სამართალში არსებული ყველა სახის იურიდიული პირები. შედეგი სრულიად საპირისპიროა: სამოქალაქო კოდექსები არა

1 მაგალითად, Гражданское право. В 4 т. Т. 1: Общая часть. Отв. Ред. Е.А.Суханов. – 3-е изд. М.: Волтерс Клувер, 2006. С. 213.

2 მაგალითად, Рахманкулов Х.Р. Законодательство Республики Узбекистан о юридических лицах. В кн.: Субъекты гражданского права. Том 1. Алматы. 2001. С. 51. ამ მოსაზრების კრიტიკა: Solotych, Stefanie, Das Zivilgesetzbuch der Russischen Föderation. Erster Teil. Einführung. Nomos. Baden-Baden. 1996. S. 30.

3 გამონაკლისს წარმოადგენენ საქართველო და უკრაინა. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებით ნახეთ ჩემი პუბლიკაციები რუსულ ენაზე: Чантурия Лადо, Юридические лица публичного права: их место в гражданском праве и особенности правового регулирования // Государство и право, № 3, 2008, С. 38-45; Чантурия Ладдо, Юридические лица публичного права и их место в гражданском праве, в кн.: 10 лет Гражданскому кодексу Узбекистана: опыт и перспективы развития, Тошкент, 2008, С. 404-420; Чантурия Ладдо, Гражданское право и юридические лица публичного права: особенности правового регулирования, в кн.: Гражданское право в системе права, Алматы, 2007, С. 240-251.

4 Гражданский кодекс. Часть первая. Модель. Рекомендательный законодательный акт Содружества Независимых Государств. Приложение к «Информационному бюллетеню», 1995, № 6.

თუ ვერ არეგულირებენ ყველა იურიდიულ პირს, არამედ სათანადო სამართლებრივი რეგულირების გარეშე ტოვებენ იმ იურიდიულ პირებსაც კი, რომლებიც სამოქალაქო სამართალმა უნდა მოაწესრიგოს. ამიტომ რთულია დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ „სამოქალაქო კოდექსი შეიცავს დეტალურად დამუშავებული ნორმების სისტემას იურიდიული პირების შესახებ“.⁵ მაგრამ იმავე ავტორის სხვა მოსაზრება უფრო შეესაბამება სინამდვილეს, კერძოდ, იმის თაობაზე, რომ „სამოქალაქო კოდექსი ადგენს ძირითად პრინციპულ დებულებებს, რომლებზეც უნდა იყოს დაფუძნებული შემდგომი კანონმდებლობა იურიდიული პირების ცალკეული სახეების შესახებ“.⁶ ამგვარად, სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ნაწილობრივ არეგულირებს იურიდიული პირების სამართლებრივ მდგომარეობას, ხოლო მათი სრულად მოწესრიგება ხდება ცალკეულ კანონებში, რომლებიც ხშირად ეწინააღმდეგებიან „სამოქალაქო კოდექსის ძირითად პრინციპულ დებულებებს“.⁷ სამოქალაქო კოდექსი ვერ მოაწესრიგებს იურიდიული პირების ყველა სახეობას. იურიდიულ პირებად წოდებული ორგანიზაციული წარმონაქმნების მრავალფეროვნება და დიდი რაოდენობა ართმევს სამოქალაქო კოდექსს მათი ერთი კანონის ან თუნდაც სამოქალაქო კოდექსის ფარგლებში სრულფასოვანი დარეგულირების საშუალებას. ამასთან დაკავშირებით ჩნდება იურიდიული პირების მიმართ ახლებური მიდგომის საჭიროება.

ამის აუცილებლობა ასევე განპირობებულია იმითაც, რომ მრავალი პოსტსაბჭოთა ქვეყნის სამოქალაქო სამართალში იურიდიული პირების სისტემის ერთ-ერთ თავისებურებად ითვლება ეკონომიკის გარდამავალი ხასიათი.⁸ აქედან გამომდინარე აუცილებელია ამ სისტემის გათავისუფლება სამოქალაქო სამართლისთვის თავისი ბუნებით უცხო და ზედმეტი იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისაგან. სამოქალაქო სამართალში უნდა დარჩეს მხოლოდ ის, რაც არის სამოქალაქო-სამართლებრივი, კერძო-სამართლებრივი. სამოქალაქო სამართალმა ასევე უნდა შეიკავოს თავი სახელმწიფოსათვის იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების კარნახისაგან. ეს არ არის

5 Комментарий к ГК Российской Федерации части первой (постатейный). – Изд. 3-е. Под ред. О.С.Садикова. – М.: «Контракт», 2005, С. 149.

6 Комментарий к ГК Российской Федерации части первой (постатейный). – Изд. 3-е. Под ред. О.С.Садикова. – М.: «Контракт», 2005, С. 149.

7 დაწერილებით ამის შესახებ: *Knieper Rolf*, Neuschaffung von Privatrechtsordnungen in Georgien, Moldawien und in der Ukraine. Ein Vortrag auf der Tagung in Krakau am 15. Juni 2007.

8 მაგალითად, რუსეთის სამართალში: *Гражданское право*. В 4 т. Т. 1: Общая часть. Отв. Ред. Е.А.Суханов. – 3-е изд. С. 225.

სამოქალაქო სამართლის საქმე.⁹

მრავალი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალი ცდილობს სახელმწიფოს უკარნახოს საკუთარი წესები და წარმოდგენები იურიდიული პირების შესახებ. მაგრამ სახელმწიფო არ ემორჩილება ცივილისტების ამ „ბრძანებას“ და ქმნის მრავალფეროვან ორგანიზაციულ წარმონაქმნებს, რომლებსაც ეწოდებათ იურიდიული პირები, მაგრამ არ შეესაბამებიან იურიდიული პირის სამოქალაქო-სამართლებრივ ცნებას და სამოქალაქო კოდექსში მითითებულ იურიდიული პირების ფორმებს. ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა იურიდიული პირების კლასიფიკაციის აუცილებლობა კერძო, ანუ სამოქალაქო სამართლის პირებად და იურიდიულ პირებად სამოქალაქო სამართლის ფარგლებს გარეთ, ანუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად.

2. კერძო სამართლის და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაყოფა

ტრადიციულად კონტინენტური ევროპის ქვეყნები, რომელთა სამართლებრივი სისტემა აღიარებს სამართლის კერძო და საჯარო სამართლად დაყოფას, განასხვავებენ კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.¹⁰ მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის კერძო და საჯარო სამართლად დაყოფას ბოლო დროს მხოლოდ მცირე თეორიულ მნიშვნელობას ანიჭებენ, ეს დაყოფა იურიდიული პირების სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრისით ჩემთვის ფუძემდებლური მნიშვნელობისაა. კერძო სამართალი სამართლის ის ნაწილია, რომელიც არეგულირებს კერძო პირებს შორის კერძო ავტონომიისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე წარმოქმნილ ურთიერთობებს. საჯარო სამართალი კი არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების მიერ საჯარო (სახელმწიფო) ხელისუფლების განხორციელების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს.¹¹

9 ამ საკითხში რუსეთის სამოქალაქო კოდექსის მიდგომის კრიტიკა ნახეთ: *Solytch, Stefanie*, Das Zivilgesetzbuch der Russischen Föderation. Erster Teil. Einführung. Nomos. Baden-Baden. 1996. S. 30.

10 მაგალითად, იტალიაში (იტალიის სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლი (Persone giuridiche pubbliche), ესპანეთში (*Ibán, Iván C.*, Einführung in das spanische Recht. I. Aufl. Nomos. 1995. S. 170), საფრანგეთში (*Hübner, Ulrich, Constantinesco, Vlad*, Einführung in das französische Recht. 4. Aufl. Beck. 2001. S. 173-174), თურქეთში (*Rumpf, Christian*, Einführung in das türkische Recht. Beck. 2004. S. 16) და ა.შ.

11 *Чантурия Л.Л.* Введение в общую часть гражданского права. М., Статут. 2006. С. 34.

სამოქალაქო სამართალი წარმოადგენს კერძო სამართლის ნაწილს. ამიტომ მისი მოწესრიგების საგანია ურთიერთობა კერძო პირების მონაწილეობით. ამაზე მიუთითებს, მაგალითად, უზბეკეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის პირველი და მე-2 მუხლები, რომელთა თანახმად „სამოქალაქო კანონმდებლობა ეფუძნება ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობის აღიარებას...“ და „ქონებრივი ურთიერთობის შემთხვევაში, რომელიც დაფუძნებულია ერთი მხარის მეორე მხარის მიმართ ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაზე. . . სამოქალაქო კანონმდებლობა არ გამოიყენება“. ეს ფუძემდებლური დებულებები ვრცელდება ასევე იურიდიულ პირებზეც, რაც თავის მხრივ ნიშნავს შემდეგს: იურიდიულ პირებთან დაკავშირებით სამოქალაქო სამართალი მოწოდებულია დაარეგულიროს მხოლოდ ის იურიდიული პირები, რომელთა შექმნის უფლებაც კერძო პირებს აქვთ.

საჯარო (სახელმწიფო, ადმინისტრაციულ, საფინანსო, საგადასახადო და ა.შ.) სამართალში გვხვდება მრავალი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომლებსაც ასევე ეწოდებათ იურიდიული პირები, მაგრამ მათი შექმნა არის მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ან მისი ორგანოების კომპეტენცია და კერძო პირებისთვის ისინი ხელმიუწვდომელია. ასეთი იურიდიული პირების შექმნასთან და საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობას არა აქვს თავისი ბუნებით კერძო-სამართლებრივი ხასიათი და ისინი არ რეგულირდება სამოქალაქო სამართლის ნორმებით.¹² მაგალითად, შეუძლებელია ვუწოდოთ ეროვნული ბანკის შექმნას კერძო-სამართლებრივი აქტი. მათი შექმნის პროცესში სამოქალაქო კოდექსის ნორმები არ გამოიყენება, მათ მიმართ არ ვრცელდება რეგისტრაციის ან წესდებების დამოწმების ვალდებულება. მეორე მხრივ აღნიშნულ წარმონაქმნებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან შექმნილნი სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე, უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში, თუ ამას არ კრძალავს სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. მოცემულ ურთიერთობებზე, მიუხედავად იმისა, რომ მათში მონაწილეობენ სამოქალაქო-სამართლებრივი წარმონაქმნები, ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის დებულებები, ანუ სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები.

ის ფაქტი, რომ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში „წმინდა“ სამოქალაქოსთან ერთად ასევე მონაწილეობენ სხვა, ე.წ. საჯარო-

¹² ამასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრება პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამოქალაქო სამართალში: Рахманкулов Х.Р. Законодательство Республики Узбекистан о юридических лицах. В кн.: Субъекты гражданского права. Том 1. Алматы. 2001. С. 51.

სამართლებრივი წარმონაქმნები, დსთ-ის ქვეყნების სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაშიც არის აღიარებული, მაგრამ ცივილისტები მათ ჯერ კიდევ არ უწოდებენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.¹³ თუმცა რუსეთის სამართლის მეცნიერებაში არსებობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნების შემოტანის მეტად დასაბუთებული მცდელობა.¹⁴

ამგვარად, სამართლის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად, რაც პრინციპში უკვე აღიარებულია პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, ავტომატურად იწვევს ორგანიზაციული წარმონაქმნების დიფერენციაციას იმის მიხედვით, შექმნილნი არიან ისინი საჯარო თუ კერძო სამართალში. აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული პირების დაყოფა კერძო სამართლის იურიდიულ პირებად და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად გარდაუვალია. სამოქალაქო სამართლის მეცნიერებამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ რეალობას.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირების იმ თავისებურებებთან დაკავშირებით, რომლებიც განაპირობებენ მათი ცალკე, სამოქალაქო სამართლისგან განსხვავებული რეგულირების საჭიროებას. არსებობენ თუ არა ეს პირები სინამდვილეში თუ წარმოადგენენ მხოლოდ ზოგიერთი მეცნიერის კაპრიზს? არის თუ არა საჯარო სამართლის იურიდიული პირების აღიარება სამოქალაქო სამართლის ღალატი? ეს ყურადსაღები საკითხებია და მათ მოკლედ შევეხები.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირების თავისებურებანი

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირის ცნება ისტორიულად წარმოიშვა სამოქალაქო სამართალში,¹⁵ ცალკეული ორგანიზაციების, როგორც სამართლის უფლებაუნარიანი სუბიექტების აღსანიშნავად, ის მყარად დამკვიდრდა საჯარო სამართალშიც.¹⁶ იმ გარემოებიდან გამომდინ-

13 Гражданское право. В 4 т. Т. 1: Общая часть. Отв. Ред. Е.А.Суханов. – 3-е изд. С. 373-392.

14 Юридические лица публичного права в доктрине и практике России и зарубежных стран / И.Д. Баренбойм, В.И. Лафитский, И.К. Терещенко, М. 2011; *Чиркин В.Е.*, Юридическое лицо публичного права. М.: Норма. 2007.

15 იურიდიული პირის ცნების ისტორია ნახეთ: ჭანტურია ლადო, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997 წ. გვ. 204-219; *Schnizer, Helmut*, Die juristische Person in der Kodifikationsgeschichte des ABGB in: FS f. Walter Wilburg. 1965. S. 144.

16 საჯარო სამართლის იურიდიული პირების ცნებას იყენებს, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (§ 89), იტალიის სამოქალაქო კოდექსი (მე-11 მუხლი) და ა.შ.

არე, რომ იურიდიული პირების შემთხვევაში საქმე გვაქვს „ნორმატიულ, პოზიტიურ-სამართლებრივ კონსტრუქციასთან“, კერძო სამართლის ცნებათა ამგვარი „ტრანსპლანტაცია“ საჯარო სამართალში სავსებით კანონზომიერია.¹⁷

მიუხედავად იმისა, აღიარებს თუ არა სამოქალაქო სამართლის მეცნიერება საჯარო სამართლის იურიდიული პირების ცნებას, ეს იურიდიული პირები რეალურად არსებობენ. ამის თვალსაჩინო დასტურია სახელმწიფოს მიერ შექმნილი მრავალი იურიდიული პირი, რომლებიც არ შეესაბამებიან სამოქალაქო კოდექსის მიერ დადგენილ სამართლებრივ ფორმებს. ასე, მაგალითად, რუსეთის იურიდიულ ლიტერატურაში თვალსაჩინოდაა ნაჩვენები, რომ სახელმწიფო და ადმინისტრაციულ სამართალში არსებობს იურიდიული პირების დიდი რაოდენობა, რომლებიც „სულ სხვა იურიდიული პირები არიან, ვიდრე ისინი, ვისთანაც საქმე ჰქონდა ცივილისტიკას“.¹⁸ საჯარო სამართლის იურიდიული პირები განსხვავდებიან კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან და ეს გასხვავებები იმსახურებენ ყურადღებას.

ა. იურიდიული პირების წარმოშობა

კერძო სამართლის იურიდიული პირები წარმოიშობიან დამფუძნებლების კერძო ავტონომიის საფუძველზე, ანუ მათ ქმნიან კერძო პირები. კერძო სამართლის ამოცანაა მხარეთა კერძო ავტონომიის მოქცევა განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში და მათთვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შეთავაზება, რათა თავიდან იქნეს აცილებული პირთა არაორგანიზებული მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში და „უცნობი და გაურკვეველი, ბრუნვის სხვა მონაწილეებისთვის პოტენციურად საშიში სახეობების“ გაჩენა.¹⁹ ამ მიზეზით სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენება კერძო სამართლის იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ამომწურავი ჩამონათვალი, ე.წ. Numerus Clausus.²⁰ მათგან

17 Knieper, Rolf, Gesetz und Geschichte, Nomos, 1996. S. 66.

18 Чиркин В.Е. Необходимо ли понятие юридического лица публичного права // Государство и право, № 5, 2006. С. 25.

19 Гражданское право. В 4 т. Т. 1: Общая часть. Отв. Ред. — Е.А.Суханов. 3-е изд. — М.: Волтерс Клувер, 2006. С. 213.

20 გამოთქმა «იურიდიული პირების სამართლებრივი ფორმების numerus clausus» პირველად მე გამოიყენე სანიეთო უფლებების numerus clausus-ის ანალოგიურად, რაც გამოქვეყნდა კიდევაც: Ладо Чантурия, Итоги и перспективы реформы частного права в Грузии. В кн.: Пути к новому праву. Материалы международной конференции в Санкт-Петербурге и Бремене. Под ред. М.М. Богуславского и Рольфа Книпера. Берлин. 1998. С. 39. მოგვიანებით ეს ტერმინი დამკვიდრდა

განსხვავებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირები წარმოიშობიან, როგორც წესი, სახელმწიფო ორგანოს სამართლებრივი აქტის (კანონის, ბრძანებულების, დადგენილების და ა.შ.) საფუძველზე და საგანკარგულებო წესით.

სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, შეუძლია გამოიყენოს კერძო სამართლის იურიდიული პირების სამართლებრივი ფორმები (შპს ან სს) და დააფუძნოს ისინი. მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო გამოდის როგორც კერძო პირი და მას არ გააჩნია არანაირი პრივილეგია. მისი უფლებები შეესაბამება მის წილებს აღნიშნულ საზოგადოებებში. მაგრამ სახელმწიფო უფლებამოსილია შექმნას ასევე სხვა სამართლებრივი ფორმები, რომლებიც აუცილებელია გარკვეული მიზნების მისაღწევად, მაგრამ არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსით. ამიტომ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის შეუძლებელია იურიდიული პირების სამართლებრივი ფორმების ასეთი ამომწურავი ჩამონათვალის გამოყენება, როგორც ეს ხდება სამოქალაქო სამართალში. სამოქალაქო სამართალი ვერ გაუწევს წინააღმდეგობას სახელმწიფოს ამ საქმეში. მეორე მხრივ, ის არ უნდა ცდილობდეს, რომ თავს მოახვიოს სახელმწიფოს სამართლებრივი ფორმები, რომლებიც ვერ ჯდება საჯარო სამართლის ბუნებაში. ასეთ მიდგომას შესაძლოა ჰქონდეს ბუმერანგის ეფექტი სამოქალაქო სამართლისათვის, რაც, სამწუხაროდ, ხდება კიდევაც მრავალ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში. მაგალითად, ბევრი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული ზოგადი და აბსტრაქტული ნორმები და ცნებები სახელმწიფო დაწესებულებების შესახებ მინიმალურ დონეზეც კი ვერ უზრუნველყოფენ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სახელმწიფო დაწესებულებების სამართლებრივ მოწესრიგებას. ამის შედეგად სამოქალაქო კოდექსის ნორმები იურიდიული პირების დაფუძნების შესახებ პრაქტიკაში არც გამოიყენება.²¹

კიდევ ერთი მაგალითი აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნების უგულებელყოფა. უზბეკეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირი შექმნილად მიიჩნევა მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან. ეს ნიშნავს, რომ ყველა იურიდიული პირი ექვემდებარება რეგისტრაციას

პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამოქალაქო სამართალშიც, ოღონდ ჩემზე მითითების გარეშე: Гражданское право. В 4 т. Т. 1: Общая часть. Отв. Ред. – Е.А. Суханов. 3-е изд. – М.: Волтерс Клувер, 2006. С. 225.

21 ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ სახელმწიფო იურიდიული პირების დაფუძნების საკითხები ცალკე კანონებშია მოწესრიგებული და სამოქალაქო კოდექსისთვის ადგილი არ რჩება: Чиркин В.Е. Юрилическое лицо публичного права. М.: Нормა, 2007. С. 95-101.

და მხოლოდ აღნიშნული რეგისტრაციის შემდეგ იძენს ის სამართლის სუბიექტის სტატუსს. უზბეკეთის რესპუბლიკის სამართალში ისევე, როგორც მრავალი ქვეყნის სამართალში, არსებობს მრავალი სახელმწიფო იურიდიული პირი, რომლებიც შექმნილნი არიან რეგისტრაციის გარეშე. მათ განეკუთვნება ეროვნული ბანკი, სახელმწიფო უნივერსიტეტები და ა.შ. აშკარაა, რომ სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება ყველა იურიდიულ პირზე, რაც პრაქტიკულად ნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალი წყვეტს მოქმედებას ამ პირების მიმართ.

ბ. უფლებაუნარიანობა

კერძო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა, როგორც წესი, არის ზოგადი, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ყოველთვის სპეციალური. სახელმწიფო სადამფუძნებლო აქტი ყოველთვის უნდა შეიცავდეს იურიდიული პირის დაფუძნების მიზანს და ანიჭებდეს ამ პირს მიზნის შესაბამის უფლებაუნარიანობას. „ამ უფლებაუნარიანობის შინაარსი განისაზღვრება მოცემული იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ამოცანების ხასიათით, ხოლო უფლებაუნარიანობის მოცულობა განისაზღვრება სახელმწიფოს აქტში, რომელიც გამოიცემა იურიდიული პირის დასაფუძნებლად“.²² უმრავლეს შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა განისაზღვრება კანონებით ასეთი პირების შესახებ.²³

გ. ძირითად უფლებათა სუბიექტები

კერძო სამართლის იურიდიული პირები, როგორც წესი, არიან კონსტიტუციით გათვალისწინებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სუბიექტები, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის ასეთი შესაძლებლობა არ არის გათვალისწინებული.²⁴ ეს აიხსნება, პირველ რიგში, ძირითადი უფლებების არსითა და დანიშნულებით, რომელთა ფუნქციაა კერძო პირების დაცვა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევებისაგან. ვინაიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირები თავად

22 ასეთი განმარტება მისცა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობას: 2001 წლის 22 თებერვლის 3/599-ე გადაწყვეტილება.

23 მაგალითად, 1995 წლის 21 დეკემბრის კანონი უზბეკეთის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის შესახებ.

24 Staudinger/Weick in J. Staudingers Kommentar zum BGB (1995) Einl. Zu 21 ff. Rn. 26.

არიან სახელმწიფო ორგანოები ან ორგანიზაციები, იგარაუდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისგან დაცვის აუცილებლობა არ არსებობს.

დ. განსახორციელებელი საქმიანობის ხასიათი

თუ საქმიანობის გარკვეული სახეების განხორციელება კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის არის უფლება, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის საქმიანობის გარკვეული სახეების განხორციელება შესაძლოა იყოს მოვალეობა. მაგალითის სახით შეგვიძლია დავასახელოთ ეროვნული ბანკის ან სახელმწიფო უნივერსიტეტების საქმიანობა, რომელიც კანონით არის ზუსტად დადგენილი.²⁵ ასეთი მიდგომა აიხსნება, პირველ რიგში, იმით, რომ სახელმწიფო ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს განსაზღვრული სახელმწიფო ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად.

ამრიგად, თუ კერძო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის საგანი განისაზღვრება მისი დამფუძნებლების მიერ და ის დაფიქსირებულია წესდებაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის საგანსა და სფეროს განსაზღვრავს სახელმწიფო ნორმატიული აქტის გამოცემით. მაგალითად, ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ა.შ. აღნიშნული მიზნები და ამოცანები დადგენილია კანონით და ეროვნული ბანკი არ არის უფლებამოსილი შეცვალოს ისინი.

ე. სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილება

ზოგიერთ შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ენიჭებათ ნორმატიული აქტების გამოცემის უფლებამოსილება, რაც გამორიცხულია კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის. მართალია, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს არა აქვთ ნორმატიული აქტების მიღების უფლება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, მაგრამ კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის ასეთი გამონაკლისიც კი არ არის გათვალისწინებული.

ვ. ქონების სამართლებრივი მდგომარეობა

²⁵ მაგალითად, ეროვნული ბანკის შესახებ კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს ეროვნული ბანკის ამოცანებსა და ფუნქციებს, რომლის განხორციელებაც ეროვნული ბანკის მოვალეობას წარმოადგენს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ერთ-ერთ თავისებურებად მიჩნეულია მისი ქონების განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც, როგორც წესი, იმაში გამოიხატება, რომ ამ ქონების მიზნობრივი დანიშნულება დაფუძნების აქტით განისაზღვრება. მაგალითად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ეს ქონება იურიდიულ პირს გადაეცემა დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად. ეროვნული ბანკის გარდა სხვა მაგალითის სახით შეიძლება სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტების ან სასწავლო დაწესებულებების დასახელება.

რაც შეეხება კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, საერთო წესის თანახმად მათი ქონება წარმოადგენს მოცემული იურიდიული პირების საკუთრებას. მათ შეუძლიათ თავისუფლად მართონ და განკარგონ ეს ქონება. გამონაკლისები გათვალისწინებულია ცალკეული იურიდიული პირებისთვის ზოგიერთ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ოპერატიული მართვის ან სრული სამეურნეო გამგებლობის ინსტიტუტები.²⁶ ჩემი აზრით, ყველა აღნიშნული ინსტიტუტის საფუძველზე შექმნილი ეს იურიდიული პირი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.²⁷

ზ. იურიდიული პირების მართვა

თავისებურებებით ხასიათდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვა. მისი მართვა, როგორც წესი, ეკისრება ერთპიროვნულ ხელმძღვანელს, რომელიც დანიშნულია კანონის ან ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით და პერსონალურად აგებს პასუხს იურიდიული პირის მართვაზე. პირველ რიგში ის პასუხისმგებელია იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების დაცვაზე და მისი ფულადი სახსრების

26 ეს ინსტიტუტები არსებობს ყველა იმ ქვეყანაში, რომელთა სამოქალაქო კოდექსები დღეს მოქალაქეობის სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შემუშავდა.

27 ოპერატიული მართვისა და სრული სამეურნეო გამგებლობის საბჭოური ინსტიტუტების კრიტიკა ნახეთ: *Читурия Лодо*, Освобождение гражданских кодексов от публично-правовых институтов – важная задача реформы постсоветского гражданского права. В книге: 10 лет Гражданскому кодексу Республики Таджикистан, Душанбе, «Ирфон», 2010, С. 67-84 (Таджикистан); *Читурия Лодо*, Право собственности в государствах Кавказа и Центральной Азии: некоторые примеры из практики применения права собственности, в книге «10 лет Гражданскому кодексу Узбекистана. Опыт и перспективы развития», материалы международной научно-практической конференции 27-28 ноября 2007 года в Ташкенте, Ташкент, 2008, С. 85-96. (Узбекистан).

მიზნობრივ გამოყენებაზე. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭოები, რომელთა წევრები, როგორც წესი, არიან იმ სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირები, რომლებიც ახორციელებენ ამ იურიდიული პირების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვის ორგანოები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ცალკეული ნორმატიული აქტით.²⁸ კერძო სამართლის იურიდიული პირის მართვის ორგანოებს კი ადგენს კანონი და მათ ფორმირებას ახდენენ ამ პირების დამფუძნებლები.

ყველა ეს თავისებურება არაორაზროვნად ადასტურებს იმას, რომ საქმე გვაქვს სრულიად სხვა იურიდიულ პირებთან, ვიდრე ეს გათვალისწინებულია კერძო სამართალში. კერძოს სამართალს არ შეუძლია განსაზღვროს ამ პირების სამართლებრივი სტატუსი, მაგრამ ის აძლევს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში სამოქალაქო სამართლის სხვა მონაწილეებთან ერთად თანაბარი მონაწილეობის გარანტიას.

აღსანიშნავია, რომ ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში არსებობს მრავალი იურიდიული პირი, რომელთა მიჩნევა კერძო (სამოქალაქო) სამართლის იურიდიულ პირებად ძნელია, თუნდაც სამოქალაქო კოდექსი შეიცავდეს მითითებას ამ პირებზე. მეტიც, ისინი იქმნებიან არა სამოქალაქო სამართლის წიაღში და არა მისი ნორმების საფუძველზე, არამედ საჯარო (სახელმწიფო, ადმინისტრაციული) სამართლის კანონების ან სხვა ნორმატიული აქტების თანახმად. ზოგი მათგანი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

4. სახელმწიფო როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ვინაიდან სახელმწიფო, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, არ იქმნება სამოქალაქო სამართლის ნორმების საფუძველზე და ის არ ექვემდებარე რეგისტრაციას სხვა იურიდიული პირებისთვის გათვალისწინებული წესით, ის უნდა მივიჩნიოთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა სამოქალაქო-სამართლებრივ მეცნიერებაში სახელმწიფო ითვლება სამოქალაქო სამართლის

28 მაგალითად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ კანონის მე-10 მუხლი.

განსაკუთრებულ სუბიექტად.²⁹ იმავდრულად დისკუსიები სამოქალაქო სამართალში სახელმწიფოს ე.წ. განსაკუთრებული სტატუსის შესახებ,³⁰ უთითებს სახელმწიფოს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, თავისებურებებზე.³¹ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, მე ვთვლი, რომ სახელმწიფო არ არის სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებული სუბიექტი. სამოქალაქო სამართლისთვის სახელმწიფო ისეთივე სუბიექტია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი (არის ხელშეკრულების მხარე, მესაკუთრე და ა.შ.). თავისებურებებით ხასიათდება სახელმწიფო როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ეს თავისებურებები განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით ან სხვა კანონებით, რომლებიც ადგენენ სახელმწიფოსა და მისი ორგანოების კომპეტენციას. სამოქალაქო სამართლით ან სამოქალაქო სამართლის ფარგლებში აღნიშნული თავისებურებების ახსნა სრულიად გაუმართლებელია, ვინაიდან სახელმწიფოს არსის, სამართლებრივი ბუნებისა და ორგანიზაციის შესწავლა არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის საგანს. ის, რომ სახელმწიფო გამოსცემს ნორმატიულ აქტებს, კანონებს და ა.შ.,³² ახასიათებს მას, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, არის მისი საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის გამოხატულება და ამას არაფერი საერთო არა აქვს სამოქალაქო სამართალთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის კვალიფიცირება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობად, თუნდაც ამ საქმიანობის შედეგი (მაგალითად, მიღებული კანონი) ეხებოდეს სამოქალაქო სამართალს. თუ სახელმწიფო ადგენს გარკვეულ პრივილეგიებსა და უპირატესობებს სახელმწიფოსთვის და მისი ორგანოებისთვის როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებისთვის, ეს ხდება იმ კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც სახელმწიფოს, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ენიჭება კონსტიტუციით.³³

29 მაგალითად, Гражданское право. В 4 т. Т. 1: Общая часть. Отв. Ред. – Е.А.Суханов. 3-е изд. С. 374.

30 მაგალითად, თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში სახელმწიფო არ მიიჩნევა იურიდიულ პირად და მას სამოქალაქო სამართლის სპეციალურ სუბიექტად მიიჩნევენ: Гражданское право. Том 1. Отв. Ред. М.К. Сулейменов, Ю.Г. Басин. Алматы. 2000. С. 216.

31 Knieper, Rolf, Rechtsreformen entlang der Seidenstraße. BWV. Berlin. 2006. S. 103 ff.

32 როგორც წესი, სახელმწიფო განსაკუთრებული სუბიექტუნარიანობის დასადასტურებლად მიუთითებენ მის საკანონმდებლო უფლებამოსილებებზე: Гражданское право. Том 1. Под ред. А.И.Сергеева, Ю.К. Толстого. – М. 1999. С. 186.

33 ცხადია, რომ ამ სფეროში სახელმწიფოს ეკისრება განსაზღვრული სტანდარტების დაცვა:

თუ ერთადერთ თავისებურებად, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს განსაკუთრებული სტატუსის აღიარებას სამოქალაქო სამართალში, ითვლება მისი სამართალშემოქმედებითი კომპეტენცია, სახელმწიფოსთან ერთად განსაკუთრებულ სუბიექტებად უნდა ვაღიაროთ ასევე სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, მაგრამ იმავედროულად მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება სამართალშემოქმედების სფეროში (როგორც ეს არის ეროვნული ბანკის შემთხვევაში). სინამდვილეში სამოქალაქო სამართლის ე.წ. განსაკუთრებული სუბიექტები არიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირები და სხვა არაფერი.

სომხეთისა და საქართველოს გარდა თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა გამომდინარეობს იქიდან, რომ არა სახელმწიფო, არამედ სამინისტროები და უწყებები არიან იურიდიული პირები და ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს მესამე პირებთან ურთიერთობებში. პრაქტიკულად ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სამართლებრივ კონსტრუქციასთან, რომელიც არა მხოლოდ არ შეესაბამება კონტინენტური ევროპის სამართლის დებულებებს იურიდიული პირების შესახებ, არამედ ასევე ეწინააღმდეგება პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების სამოქალაქო კოდექსებში განმტკიცებულ იურიდიული პირების ლეგალურ დეფინიციებს. სამინისტროებისთვის და უწყებებისთვის არ არის დამახასიათებელი არც განკერძოებული ქონების, არც დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის არსებობა, რაც არის იურიდიული პირების სამოქალაქო-სამართლებრივი ცნების მნიშვნელოვანი ელემენტი. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები განსხვავდებიან კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან.

სხვა კონცეფციას იზიარებენ სომხეთი და საქართველო. ამ ქვეყნების სამინისტროები და უწყებები არიან არა იურიდიული პირები, არამედ სახელმწიფოს ორგანოები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს როგორც იურიდიულ პირს გარე ურთიერთობებში.³⁴ საქართველოში სამინისტროებს ეკისრებათ საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კონტროლის განხორციელება.

Knieper, Rechtsformen entlang der Seidenstraße. BWV, Berlin, 2006. S. 104 ff.

34 დაწვრილებით ამის შესახებ ნახეთ: *Knieper Rolf, Chanturia Lado, Schramm Hans-Joachim, Das Privatrechts im Kaukasus und in Zentralasien*, BWV, 2010. S. 119 ff.

5. სამოქალაქო სამართლის როლი იურიდიულ პირებთან მიმართებაში

საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამართლებრივის ბუნების გარკვევის შემდეგ დასაზუსტებელი დარჩა სამოქალაქო სამართლის როლი ამ პირების სამართლებრივ მოწესრიგებაში.

ა. აღიარება სამოქალაქო სამართლის სუბიექტებად

სამოქალაქო სამართლის ძირითადი ამოცანა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებაში მდგომარეობს მათ აღიარებაში სამოქალაქო სამართლის სუბიექტებად და მათთვის ისეთივე უფლებამოსილებების მინიჭებაში, რომლებიც აქვთ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. საჯარო სამართლის იურიდიული პირები არ იქმნება სამოქალაქო სამართლის ნორმების საფუძველზე. მათი ორგანიზებისა და მართვის წესს არ განსაზღვრავს სამოქალაქო სამართალი. ყველა ეს საკითხი არის საჯარო სამართლის რეგულირების საგანი. ცალკეული კანონები სახელმწიფო იურიდიული პირების შესახებ დეტალურად განსაზღვრავენ მათ სტატუსს და ზშირად სცილდებიან სამოქალაქო სამართლის ფარგლებს.

სამოქალაქო სამართალი აღიარებს მათ კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად და ანიჭებს მათ სამოქალაქო-სამართლებრივი კონსტრუქციების გამოყენების შესაძლებლობას, როგორცაა ხელშეკრულება, საკუთრების უფლება, ზიანის ანაზღაურება და ა.შ., მაგრამ არ ერევა ამ იურიდიული პირების დაფუძნებისა და ორგანიზაციის საკითხებში.

ბ. კერძო სამართლის იურიდიული პირების ამომწურავი მოწესრიგება

სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვანი ამოცანა კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებაში, პირიქით, მდგომარეობს მათი სამართლებრივი მდგომარეობის დეტალურ მოწესრიგებაში. სამოქალაქო სამართალი უნდა შეიცავდეს იმ იურიდიული პირების სამართლებრივი ფორმების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შექმნა ნებადართულია კერძო პირებისთვის. ის ამომწურავად უნდა არეგულირებდეს მათი შექმნისა და საქმიანობის წესს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში იურიდიული

პირების სახეობები ითვლება ამომწურავად მოწესრიგებულად,³⁵ მოქმედი სამოქალაქო კოდექსების ანალიზს მივყავართ სხვა დასკვნამდე. სინამდვილეში დსთ-ს მრავალი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი, განსაკუთრებით კი მათი, რომლებიც დსთ-ის მოდელურ სამოქალაქო კოდექსს ეყრდნობა, შეიცავს იურიდიული პირების ყველა შესაძლო ფორმის ჩამონათვალს. მაგრამ მათი დარეგულირებისთვის სამოქალაქო კოდექსი მიმართავს სხვა საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც, როგორც წესი, კონკრეტულად არ სახელდება.³⁶ ამას მოწმობს სამოქალაქო კოდექსში ისეთი აბსტრაქტული სამართლებრივი ფორმების არსებობა, როგორიცაა სახელმწიფო საწარმოები ან დაწესებულებები. სამოქალაქო კოდექსის როლი ამ შემთხვევაში ამოიწურება მხოლოდ მითითებით შესაძლო სამართლებრივ ფორმებზე, რასაც ვერ ჩავთვლით ამომწურავ მოწესრიგებად, ვინაიდან მრავალი სახელმწიფო დაწესებულების კონკრეტულ შინაარსს, სტრუქტურასა და საქმიანობის წესს არეგულირებენ ცალკეული კანონები ან სახელმწიფოს სხვა ნორმატიული აქტები და სამოქალაქო სამართალი ვერ ახდენს გავლენას ამ დაწესებულებების დარეგულირებაზე. ასეთივე მდგომარეობაა საზოგადოებრივი გაერთიანებების ან საზოგადოებრივი ფონდების შემთხვევაში, რომლებიც, თუმცა კი არიან მოხსენიებულნი სამოქალაქო კოდექსში, მაგრამ ასევე არიან ცალკე სამართლებრივი დარეგულირების საგანი ცალკეულ კანონებში და ხშირად სხვადასხვა სახელწოდებით.

ამის გათვალისწინებით სამოქალაქო სამართალი არ უნდა შეეცადოს შეიმუშაოს საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნებისა და საქმიანობის წესის მომწესრიგებელი დებულებები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს სცილდება სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების ფარგლებს და სამოქალაქო სამართალს არ შეუძლია გაითვალისწინოს ამ იურიდიული პირების ყველა ფორმა და თავისებურება. სამოქალაქო სამართალი ვერ უკარნახებს სახელმწიფოს სახელმწიფო იურიდიული პირების შექმნის წესებს. ეს არ არის სამოქალაქო სამართლის, როგორც კერძო სამართლის, ამოცანა.

ბ. სამოქალაქო სამართლის გაუფასურების თავიდან აცილების აუცილებლობა

სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი მცდელობა დაარეგულიროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობა

35 მაგალითად, Гражданское право. В 4 т. Т. 1: Общая часть. Отв. Ред. – Е.А.Суханов. 3-е изд. С. 213.

36 მაგალითად, უზბეკეთის სამოქალაქო კოდექსის მე-40 და 41-ე მუხლები.

არღვევს კერძო სამართლის, როგორც კერძო პირთა სამართლის, ფარგლებს. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო სამართალი გარდაიქმნება უნივერსალურ სამართლად და ამით კარგავს საკუთარი სამართლებრივი რეგულირების საგანს. სინამდვილეში ეს ასეც ხდება: სახელმწიფო იურიდიული პირების შესახებ სამოქალაქო სამართალში აღნიშნული ნორმები არ არის საკმარისი ამ პირების სრული სამართლებრივი რეგულირებისთვის. ამ მიზეზით სამოქალაქო სამართალი აღარ არის ავტორიტეტი იურიდიულ პირებად წოდებული მრავალი ორგანიზაციული წარმონაქმნისთვის. მათთვის სამოქალაქო სამართალი წყვეტს არსებობას.³⁷

სამოქალაქო სამართლის გაუფასურების ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა კერძო სამართლის გათავისუფლება ზედმეტი მითითებებისა და ნორმებისგან, რომლებიც ეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. ასეთია ყველა სახელმწიფო იურიდიული პირი, რომლებიც არ არის შექმნილი კერძო სამართლის სამართლებრივი ფორმით. სამოქალაქო სამართალი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ იურიდიული პირების სამართლებრივი მოწესრიგებით, რომელთა შექმნა ნებადართულია კერძო პირებისთვის და სახელმწიფოსთვის, თუ ის გამოდის კერძო პირის სახით. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია პროფესორ კნიპერის მოსაზრება, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს, როცა მუშავებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გვიჩვენა, არ ჩაგვევროთ სამოქალაქო კოდექსში საჯარო სამართლის „უცხო სხეულები“.³⁸ ქართველმა კანონმდებელმა ეს მოსაზრება გაიზიარა და შექმნა მოდელი, რომელიც დღემდე სამაგალითოა პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამოქალაქო სამართლისთვის, რასაც ადასტურებს ხშირი მითითება ქართულ გამოცდილებაზე ამ სფეროში.³⁹

6. დასკვნა

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების იურიდიული პირების სამართლებრივი რეგულირების ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ იურიდიული პირების მრავალი სამართლებრივი ფორმა, განსაკუთრებით ისეთი, როგორიცაა დაწესებულება, არ ჯდება სამოქალაქო სამართლისთვის ტრადიციული იურიდიული პირების კონსტრუქციებში. თავისი სამართლებრივი ბუნებით ისინი ყველაზე უფრო შეესაბამებიან

37 ამგვარი არასწორი მიდგომის უარყოფითი შედეგები ნაჩვენებია რუსული სამართლის მაგალითზე თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში: *Чиркин В.Е. Юридическое лицо публичного права.*

38 *Knieper, Rechtsreformen entlang der Seidenstraße.* BWV. Berlin. 2006. S. 101 ff.

39 მაგალითად, *Юридические лица публичного права в доктрине и практике России и зарубежных стран.* С. 32, 34-40.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნებას. ისინი ფაქტობრივად და იურიდიულად არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ვინაიდან მათი უმრავლესობის სამართლებრივი რეგულირება ხდება საჯარო სამართლის კანონებით და, ბუნებრივია, სცილდება სამოქალაქო სამართლის ფარგლებს. ის ფაქტი, რომ ისინი ნახსენებია სამოქალაქო კოდექსებში, არ ცვლის მათ სამართლებრივ ბუნებას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები არ არღვევენ სამოქალაქო სამართლის საფუძვლებს. მათი არსებობა არ უნდა შევაფასოთ როგორც „თითქმის კრიტიკული სიტუაცია“.⁴⁰ საჯარო სამართლის იურიდიული პირები არის რეალობა და სამართლის ნებისმიერმა განვითარებულმა სისტემამ უნდა გაუწიოს რეალობას ანგარიში, თუ მას არ უნდა, რომ დარჩეს წარსულში. სამართლის მეცნიერებამ უნდა გვიჩვენოს განვითარების პერსპექტივები ამ სფეროში.

კერძო სამართალში უნდა დარჩეს იურიდიული პირების მხოლოდ ის სამართლებრივი ფორმები, რომელთა დაფუძნების უფლება კერძო პირებსა აქვთ. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს სახელმწიფოს, მისი ორგანოების ან მის მიერ შექმნილი სახელმწიფო იურიდიული პირების (ანუ საჯარო სამართლის იურიდიული პირების) მონაწილეობის შესაძლებლობას კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნაში, როგორცაა შპს ან სს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო და მისი ორგანოები მონაწილეობენ როგორც კერძო პირები, კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს თანაბარი მონაწილეობის შესახებ სამოქალაქო სამართლის პრინციპის სრული შესაბამისობით.

სამოქალაქო სამართლის გათავისუფლება მისთვის უცხო და ზედმეტი კონსტრუქციებისგან, ამისათვის სამეცნიერო და მეთოდოლოგიური წინაპირობების მომზადება წარმოადგენს პოსტაბჭოთა სახელმწიფოების სამოქალაქო-სამართლებრივი მეცნიერების მნიშვნელოვან ამოცანას. ამ სფეროში ქართულმა სამართალმა უკვე გადალახა ის წინააღმდეგობები, რომლებიც საბჭოთა სამართლის რელიქტების სახით მრავალ პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს. ერთ-ერთი მათგანი სწორედ სამოქალაქო სამართლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირების გამოყოფაა.

40 როგორც ამას ზოგი ავტორი მიიჩნევს: *Чиркин*, Юридическое лицо публичного права. С. 342.

ვინდიკაცია, როგორც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაცვის საშუალება

თამარ ჩიბოშვილი

საკუთრების ცნება სამართლის განვითარების ყველა ეტაპზე ყოველთვის ერთნაირია. ეს არის ნივთზე ბატონობა პირისა, რომელსაც გააჩნია არა მხოლოდ მფლობელობა და სარგებლობა, არამედ, ნივთის იურიდიული ბედის გადაწყვეტის უფლება, რაც საკუთრების უფლების აუცილებელი პირობაა და რომლის გარეშეც პირი არ შეიძლება ჩაითვალოს მესაკუთრედ.

საკუთრების ცნებისაგან განსხვავებით საკუთრების უფლების შინაარსი, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის განსხვავებული იყო, რაც მესაკუთრის უფლების შეზღუდვებით აისახება და კვლიდება სუბსტანციური და ფუნქციური საკუთრებით, რომლის სფეროშიც ექცევა როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება.

საკუთრების უფლების შინაარსობრივ ცვალებადობას განაპირობებს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესთა სხვადასხვაობა, რაც გარკვეულწილად საკუთრების თავისუფლებას ზღუდავს.

საკუთრების უფლება და პიროვნების თავისუფლება ურთიერთდაკავშირებულია. საკუთრების უფლების შინაარსის ფარგლები და მისი სამართლებრივი რეგულირება, ასევე, განსაზღვრავს პიროვნების თავისუფლების ფარგლებს. აქედან გამომდინარე, საკუთრების უფლება, როგორც ადამიანის ბუნებითი უფლება და მისი შინაარსი, სამართლებრივი თვალსაზრისით მუდმივი კვლევისა და შესწავლის საგანია.

საკუთრების უფლების სამართლებრივი რეგულირების სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და მისი სწორად კომენტირება კი მაქსიმალური სიზუსტით შექმნის ამ უფლების დაცვის შესაძლებლობას.

საკუთრების უფლების დაცვის საუკეთესო სანივთო-სამართლებრივი საშუალებაა სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელები.

„ვინდიკაცია – Vindication – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს – მესაკუთრის უფლება გამოითხოვოს თავისი ქონება სასამართლოს მეშვეობით იმ პირისაგან, რომელიც უკანონოდ ფლობს მას“¹.

სავინდიკაციო სარჩელის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ინდი-

1 უცხო სიტყვათა ლექსიკონი-შემდგენელი მიხეილ ჭაბაშვილი – 1989წ.

ვიდუალური ნიშნით განსაზღვრული ქონება, მოსარჩელე კი მესაკუთრე პირი, რომელსაც არ დაუკარგავს საკუთრების უფლება დავის საგანზე.

წინამდებარე სტატიაში მოკლედ განიხილება ის ძირითადი დებულებები, რომლებიც უკავშირდება უძრავ ქონებაზე სავინდიკაციო სარჩელის წარდგენისა და დაკმაყოფილების საფუძვლებს. მისი განხილვა მოხდება სს კოდექსის შესაბამისი ნორმების კომენტარებისა და ანალიზის საფუძველზე.

უძრავ ქონებაზე უფლებათა წარმოშობა და რეგულირება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოიშობა, ანუ სამართლებრივი შედეგი დგება, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის შედეგად, ე. ი. როდესაც პირი საჯარო რეესტრში რეგისტრირდება მესაკუთრედ. სწორედ ამ მომენტიდან იძენს იგი სანივთო, ანუ საკუთრების უფლებას უძრავ ქონებაზე. ამდენად, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველია როგორც ვალდებულებით-სამართლებრივი, ისე სანივთო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობა. ვალდებულებით-სამართლებრივს მიეკუთვნება ნასყიდობის, ჩუქების, სამისდღეშიო რჩენის და ა. შ. ხელშეკრულება. ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში შექმნის (მყიდველის, დასაჩუქებულის და ა. შ.) მიერ გამოვლენილი ნების დადასტურება და შესაბამისად სანივთო უფლების წარმოშობა მოხდება მის მიერ საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის შედეგად.

პროფესორ ლ. ჭანტურიას მიერ გამოთქმული უდავო მოსაზრების თანახმად: „ნების გამოხატვა და დადასტურება მხოლოდ ერთობლიობაში იწვევენ სამართლებრივ ცვლილებას“.²

გამოვლენილი ნების საჯარო რეესტრში დადასტურება ყოველთვის არ იწვევს სამართლებრივ ცვლილებას. ე. ი. საბოლოო სამართლებრივი შედეგი, რაც საკუთრების უფლების შექმნას უკავშირდება დგება მხოლოდ გამოვლენილი ნების მართლზომიერი რეალიზაციის შედეგად. მაგალითად: „მესაკუთრემ მყიდველს დაუთმო მიწის ნაკვეთი ა, მაგრამ შეცდომით მყიდველი საადგილმამულო წიგნში რეგისტრირებული იქნა ბ-ნაკვეთის მესაკუთრედ, სინამდვილეში მყიდველი არც ა-ს (რეგისტრაციის ნაკლის გამო), და არც ბ-ნაკვეთის (დათმობის ნაკლის გამო) მესაკუთრედ არ გამხდარა“³

შესაბამისი სამართლებრივი შედეგი არ დგება მაშინაც, როდესაც

2 ლ. ჭანტურია – უძრავი ქონების საკუთრება (მეორე გამოცემა), 2001წ. გვ.192.

3 იქვე – გვ. 192.

არსებობს ხარვეზი ნების გამოვლენასა და დადასტურებაში, ე. ი. როდესაც შემძენი არაკეთილსინდისიერია და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში ხდება როგორც მესაკუთრის.

სამართლებრივი შედეგის დადგომა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად კეთილსინდისიერია შემძენის დამოკიდებულება ფაქტისადმი.

შემძენის კეთილსინდისიერების განსაზღვრის სამართლებრივი მექანიზმი განსხვავებულია მოძრავ და უძრავ ქონებაზე.

არაკეთილსინდისიერი შემძენის ფაქტი ის შემთხვევაა, როდესაც ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობის მონაწილე პირმა იცის, რომ უძრავ ქონებას იძენს გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე, ან/და იმ პირისაგან, ვისაც არ ჰქონდა ამ ქონების გასხვისების უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის თავში განმარტავს კეთილსინდისიერი შემძენის ფაქტს, კერძოდ 187-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე“. შესაბამისად კეთილსინდისიერი პირი იძენს საკუთრების უფლებას ნივთზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მესაკუთრემ „ეს ნივთი დაკარგა, მოპარეს ან სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან“ (სს კოდექსის მუხ. 187, პ/2). ე.ი. ამ პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, პირის კეთილსინდისიერ შემძენად აღიარებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ მისი სუბიექტური დამოკიდებულება შეძენის ფაქტისადმი, ანუ, როცა შემძენი კეთილსინდისიერად ფიქრობს, რომ გამსხვისებელი (მოძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელი) არის მესაკუთრე და არანაირი ეჭვის საფუძველი მას არ გააჩნია და არც შეიძლება რომ გააჩნდეს. პირის კეთილსინდისიერ შემძენად შეფასების სამართლებრივი კრიტერიუმი, ასევე, ნამდვილი მესაკუთრის მფლობელობიდან ნივთის გასვლის (გადაცემის) ნებითი მომენტი. აქედან გამომდინარე, თუ პირი ეჭვის გარეშე ფიქრობს, რომ ნივთს იძენს ნამდვილი მესაკუთრისაგან, მაგრამ დადგინდება, რომ ეს ნივთი მესაკუთრეს მოპარეს, ან დაკარგა და ამ ნივთს ჰყიდის არამესაკუთრე, მაშინ, ასეთი ნივთის შემძენი, სამართლებრივი თვალსაზრისით, ვერ მიიჩნევა კეთილსინდისიერ შემძენად.

მაგალითად: ა-მ დაკარგა საათი და იპოვა ბ-მ. ამ უკანასკნელმა მიჰყიდა გ-ს. გ კეთილსინდისიერად ფიქრობდა რომ ბ არის საათის

მესაკუთრე. ა-მ დაკარგული საათი აღმოაჩინა გ-სთან და ითხოვს მის დაბრუნებას. მიუხედავად იმისა, რომ გ-მ სასყიდლით შეიძინა საათი და ეჭვის გარეშე ფიქრობდა, რომ ბ საათის მესაკუთრეა. ა-ს სავინდიკაციო სარჩელი საათის დაბრუნებაზე დაკმაყოფილება, ვინაიდან ა-მ საათი დაკარგა, ანუ მისი მფლობელობიდან საათი მისი ნების გარეშე გავიდა.

მოდრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შემძენის კეთილსინდისიერებას და მიღებულ სამართლებრივ შედეგებს კიდევ უფრო ამყარებს მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია, რომლის თანახმად „ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე“ (მუხ. 158), რაც იმას გულისხმობს, რომ მოძრავი ქონების გასხვისებისას უშუალო მფლობელი (გამსხვისებელი) ითვლება ნივთის მესაკუთრედ. ეს წესი არ ვრცელდება უძრავ ქონებაზე.

აღნიშნულ კრიტერიუმებთან ერთად საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი, რომლის თანახმად, სხვა კრიტერიუმების არსებობის მიუხედავად, შემძენი ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერად და ვერ მოიპოვებს ნივთზე საკუთრების უფლებას თუ მან ეს ნივთი უსასყიდლოდ მიიღო.

სს კოდექსი პირდაპირ არ უთითებს უძრავი ქონების შემძენის კეთილსინდისიერებაზე, ანუ როდის, ან რა საფუძველით შეიძლება მივიჩნიოთ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შემძენი კეთილსინდისიერად.

სს კოდექსის 187-ე მუხლზე მითითებით არ შეიძლება შეფასდეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შემძენის კეთილსინდისიერება, თუმცა, შეფასების კრიტერიუმად ყოველთვის უნდა იქნეს გამოყენებული ის ზოგადი დებულებები, რომლებიც შემძენის დამოკიდებულებას განსაზღვრავს გამსხვისებლისა და ზოგადად შემძენის ფაქტისადმი. თუ შემძენმა იცის, რომ გამსხვისებელი არ არის უძრავი ქონების მესაკუთრე და არც მესაკუთრისაგან არ არის გასხვისებაზე უფლებამოსილი, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს კეთილსინდისიერ შემძენად.

შემძენის კეთილსინდისიერება, ასევე, უნდა შეფასდეს რიგი გარემოებებისა და იმ ზოგადი ნორმების საფუძველზე, რაც უძრავ ქონებაზე ფაქტობრივი საკუთრების უფლების წარმოშობასთან არის დაკავშირებული. უძრავი ქონების მფლობელი არ ივარაუდება ამ ქონების მესაკუთრედ, ანუ, განსხვავებით მოძრავისაგან უძრავ ქონებაზე მფლობელობა არ არის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია. შესაბამისად, უძრავი ქონების შემძენა უნდა მოხდეს უშუალოდ მესაკუთრისაგან, რომლის საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე უნდა დასტურდებოდეს საჯარო რეესტრის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტით, ან იმ პირისაგან, ვისაც გასხვისების

უფლება დადგენილი წესების შესაბამისად მინიჭებული აქვს ასეთი მესაკუთრის მიერ.

სს კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად: „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.“

ამდენად, უძრავ ქონებაზე არსებული საკუთრების უფლების გასხვისებისა და შესაბამისად შეძენის ნება უნდა გამოვლინდეს სავალდებულო წერილობითი ფორმით (ხელშეკრულებით) და საჯარო რეესტრში რეგისტრაციით, თუმცა, მხოლოდ ნების გამოვლენა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დადგეს სამართლებრივი შედეგი. გამოვლენილი ნების საფუძვლიანობის შემოწმების გარკვეული სამართლებრივი მექანიზმიც არსებობს, რაც ვლინდება საჭირო დოკუმენტების წარმოდგენით, რომელთა ნამდვილობაზე შესაბამისი პასუხისმგებლობის გადანაწილება ხდება კომპეტენტურ პირებსა და სამსახურებზე (ნოტარიუსი, საჯარო რეესტრი და ა. შ.), რაც გარკვეულწილად შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შემძენის კეთილსინდისიერების დადგენისას.

შემძენის კეთილსინდისიერების დადგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ასევე, სს კოდექსის 185-ე მუხლი, რომლის თანახმად: „შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე“. აღნიშნული ნორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე დაცულია როგორც უძრავი ქონების ნამდვილი მესაკუთრის, ისე შემძენის ინტერესი, ასევე არის შეძენის ფაქტის მიმართ შემძენის კეთილსინდისიერების დადგენისა და შეფასების საფუძველი. ამას, კი, ის განაპირობებს, რომ გამსხვისებელი, რომელიც საჯარო რეესტრში არის რეგისტრირებული, ითვლება მესაკუთრედ. ასეთი ჩანაწერის არსებობა გულისხმობს რეგისტრირებული პირის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციას, ესეც არის გარანტი შემძენის ინტერესების დაცვისა, ვინაიდან იგულისხმება, რომ შემძენმა უძრავი ქონება შეიძინა მესაკუთრისაგან, შესაბამისად მათ შორის დადებული ხელშეკრულება ნამდვილია.

აღნიშნული ნორმა, ასევე, იცავს ნამდვილი მესაკუთრის ინტერესსაც. ნამდვილ მესაკუთრეს შეუძლია ამტკიცოს შემძენის არაკეთილსინდისიერების ფაქტი, ე. ი. უნდა დაამტკიცოს, რომ გამსხვისებელი არასწორად იყო საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული და

შემდგომად ეს იცოდა, ან უნდა სცოდნოდა. აღნიშნულის დამტკიცების შემთხვევაში ნამდვილი მესაკუთრის სავინდიკაციო სარჩელი უძრავი ქონების გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილდება.

შემდგომად, ანუ საჯარო რეესტრში უკვე მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის ინტერესები, ასევე, დაცულია სს კოდექსის 312-ე მუხლით, კერძოდ: „რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

2. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვიესებლის სახელზე იყო რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად“. ანუ, შემდგომ კეთილსინდისიერად ითვლება მაშინაც, თუ მან უძრავი ქონება შეიძინა იმ პირისაგან, ვინც საჯარო რეესტრში არასწორად იყო რეგისტრირებული ამ ქონების მესაკუთრედ, თუმცა შემდგომად არ იცოდა ამის შესახებ. ჩანაწერის უზუსტობის დამტკიცების შემთხვევაში ასეთი შემდგომი მაინც ითვლება კეთილსინდისიერად და მის მიმართ სამართლებრივი შედეგები არ იცვლება.

მაგალითად: ა-სა და ბ-ს შორის დაიდო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. ბ-მ (შემდგომად) იცოდა, რომ ა ყალბი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მესაკუთრედ. გ-მ როგორც კანონისმიერმა მეკვიდრემ მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის გაუქმება და შესაბამისად ა-სა და ბ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. გამომდინარე იქიდან, რომ ბ ითვლება არაკეთილსინდისიერ შემდგომად, ა-სა და ბ-ს შორის დადებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველზე გ როგორც უფლებემოსილი პირი შეიძენს საკუთრების უფლებას სადაო ბინაზე.

ამდენად, შემდგომად კეთილსინდისიერების მტკიცების მთელი სიმძიმე გადადის დაინტერესებულ პირზე, რომელიც თვლის რომ მისი როგორც მესაკუთრის უფლება დარღვეულია.

პირი კეთილსინდისიერ შემდგომად ვერ ჩაითვლება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იცის, ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვიესებელი (ან საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირი) არ არის მესაკუთრე, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუკი შემდგომად მომენტში საჯარო რეესტრში არსებული „ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემდგომად იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტობა“ (სს კოდექსის მუხ.312, პ.2). ეს შემთხვევაც არის ვინდიკაციისა და საერთოდ მესაკუთრის უფლების დაცვის სამართლებრივი საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება მოხდეს იმის განსაზღვრა,

ჩაითვალოს თუ არა შემძენი კეთილსინდისიერად და დადგეს თუ არა დადებული გარიგების შესაბამისი სამართლებრივი შედეგი, თუ, ეს შედეგი დაექვემდებაროს ვინდიკაციას.

ამდენად, კეთილსინდისიერ შემძენად ვერ იქნება მიჩნეული პირი:

ა) რომელმაც იცის, რომ უძრავი ქონების შეძენაზე ხელშეკრულებას დებს იმ პირთან ვისაც არ აქვს ამ ქონების გასხვისების უფლება.

აღნიშნულ შემთხვევაში გამსხვისებელი შეიძლება იყოს პირი, რომელმაც გააყალბა მინდობილობა, საჯარო რეესტრის მიერ გაცემული ცნობა, ან უშუალოდ თვითონ შეადგინა ასეთი ყალბი დოკუმენტი თითქოსდა საჯარო რეესტრის მიერ გაცემული და ა. შ.

ბ) რომელმაც იცის, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ კონკრეტულ ქონებაზე მესაკუთრის უფლების, ან სხვა ჩანაწერის მიმართ არსებობს დავა, ანუ შეტანილია საჩივარი;

გ) რომელმაც შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც შეზღუდული სანივთო უფლებით დაიტვირთა იმ პირის მიერ ვისაც ეს უფლება არ ჰქონდა მინიჭებული მესაკუთრის მიერ და შემდეგში მისი შეძენა ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მოხდა არაუფლებამოსილი პირის მიერ.

მაგალითად: ა-მ სარჩელი აღძრა ბანკის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან თავისი საცხოვრებელი ბინის დაბრუნება. ა-მ საცხოვრებელი ბინის გაყიდვის მიზნით ბ-ს გადასცა გენერალური მინდობილობა. ბ-მ ბანკისგან მიღებული კრედიტის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა ა-ს კუთვნილი საცხოვრებელი ბინა. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შეთანხმების მიხედვით, ბანკი გახდა საცხოვრებელი ბინის მესაკუთრე. ბანკი, საცხოვრებელი ბინის შეძენაზე, ითვლება არაუფლებამოსილ პირად, ვინაიდან ბ-ს არ ჰქონდა ბინის იპოთეკით დატვირთვის უფლება, რაც იცოდა, ან შეეძლო სცოდნოდა ბანკს. შესაბამისად ბანკი არ ჩაითვლება კეთილსინდისიერ შემძენად. შესაბამისად, ა-ს სავინდიკაციო სარჩელი ბანკისგან, როგორც უკანონო მფლობელისაგან, საცხოვრებელი ბინის გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილდება.

დ) პირი, რომელმაც იცის, რომ საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერი უზუსტოა

ასე, რომ, აღნიშნულ პირთან დადებული გარიგება ჩაითვლება ბათილად და მესაკუთრის მიერ მოხდება ქონების გამოთხოვა უკანონოდ შემძენისაგან. ანუ სავინდიკაციო სარჩელი დაექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულის თვალსაზრისით მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვან-

ნია სასამართლო პრაქტიკა და მის საფუძველზე გაკეთებული უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები, კერძოდ: „ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების პირველ პირობას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს, ის რომ მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე. ვინაიდან მესაკუთრის მიერ დაბრუნების მოთხოვნა თანაბრად უკავშირდება როგორც მოძრავ, ისე უძრავ ნივთებს, ამიტომ მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია სხვადასხვაგვარად დასტურდება. უძრავი ნივთის მესაკუთრეობა სსკ-ის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საჯარო რეესტრიდან დასტურდება, საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ კი, 312-ე მუხლის შესაბამისად, მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. თუმცა, პირის საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე შეიძლება არ დასტურდებოდეს საჯარო რეესტრიდან, მაგრამ აღნიშნული უდავოდ იქნეს მიჩნეული პირის საკუთრებად სხვა სამართლებრივი საფუძველიდან გამომდინარე და გახდეს ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების მეორე აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი. აღნიშნული თავისთავად გამომდინარეობს მოთხოვნის არსიდან, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა ეხება ნივთის მფლობელობიდან გამოთხოვას, მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ მფლობელობა არ უნდა იყოს კანონიერი, ვინაიდან 172-ე მუხლის პირველი ნაწილი მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევა მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესაძლებლობას, თუ მფლობელობა არაკანონიერია⁴.

თუკი შემძენმა არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა გამსხვიებლის ნების გამოვლენის ნაკლის, ან 312-ე მუხლის მეორე პუნქტში მითითებული შემზღუდავი საფუძველების არსებობის შესახებ, ითვლება, რომ იგი კეთილსინდისიერია და შესაბამისად მას უნარჩუნდება საკუთრების უფლება.

მითითებული ნორმის შინაარსი, ასევე, იძლევა, ნამდვილი მესაკუთრის ინტერესის დაცვის შესაძლებლობას. რომლის თანახმად მოდავე პირმა (ნამდვილმა მესაკუთრემ) უნდა დაამტკიცოს, რომ პირი, რომელმაც მისი ქონება გაასხვისა, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო არასწორად და იგი არ იყო ამ ქონების მესაკუთრე. ე. ი. შემძენმა ქონება შეიძინა იმ პირისაგან ვისაც არ ჰქონდა მისი გასხვიების უფლება.

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007წ. გვ. 59

დამტკიცების შემთხვევაში, კეთილსინდისიერი შემქმნის მიმართ წარდგენილი საინდიკაციო სარჩელი არ დაკმაყოფილდება, ხოლო ნამდვილი მესაკუთრის წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრება (გამსხვისებელ) პირს, რომელიც საჯარო რეესტრში არასწორად იყო რეგისტრირებული.

სამართლებრივი თვალსაზრისით საყურადღებოა, თუ, როგორ განისაზღვრება შემქმნის კეთილსინდისიერება წარმომადგენლის მონაწილეობით დადებულ გარიგებებში. წარმომადგენლობის საფუძველზე დადებულ გარიგებებში წარმომადგენელი უშუალოდ მონაწილეობს, თუმცა, იგი გამოხატავს წარმოდგენილი პირის ნებას და შესაბამისად წარმოდგენილს უნარჩუნდება გარიგებიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული საფუძველით დადებული გარიგებით უძრავი ქონების შემქმნისას შემქმნის კეთილსინდისიერების საკითხის დადგენა ხდება და სამართლებრივი შედეგები წარმოიშობა ისე, როგორც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრის უშუალო მონაწილეობისას. რაზედაც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

რა სამართლებრივი შედეგები დგება და დაკმაყოფილდება თუ არა საინდიკაციო სარჩელი იმ შემთხვევაში თუ საეჭვო ხდება წარმომადგენლის მონაწილეობა გარიგების დადებისას და შესაბამისად რა უფლებამოვალეობები შეიძლება დაეკისროს აღნიშნულ გარემოებებში დადებული გარიგების მხარეებს.

თუ წარმომადგენელი მოქმედებდა წარმოდგენილი პირის ნების გარეშე, რაც უცნობი იყო გარიგების მეორე მხარისათვის, ე. ი. თუ ამ უკანასკნელმა არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა აღნიშნულის შესახებ, მაშინ წარმომადგენელი პასუხს აგებს წარმოდგენილი პირის წინაშე, თუკი წარმოდგენილი დადებულ გარიგებას არ მოიწონებს.

სს კოდექსის 111-ე მუხლი არეგულირებს სწორედ იმ ურთიერთობებს, რომელიც უკავშირდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებულ გარიგებას, კერძოდ: „თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე.“

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე თუ პირი მოქმედებდა სხვისი სახელით, თუმცა მოქმედებდა თვითნებურად, თავისი ინტერესით და არა წარმოდგენილი პირის ინტერესითა და დავალებით, მაშინ, მეორე მხარესთან ასეთი წარმომადგენელის მიერ დადებული გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია იმ პირის მიერ ამ გარიგების მოწონებაზე, ვისი სახელითაც დაიდო იგი. რაც იმას გულისხმობს, რომ თუ მარწმუნებელი

არ მოიწონებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მისი სახელით დადებულ გარიგებას, იგი არ წარმოშობს შინაარსის შესაბამის სამართლებრივ შედეგებს.

მაგალითად: ა არის მინდობილი მესაკუთრე, ხოლო ბ საკუთრების მიმნდობი. ა-ს ევალდებოდა ბ-ს კუთვნილი საცხოვრებელი ბინის მართვა. ბ ერთი წლის ვადით წასული იყო საზღვარგარეთ. ა-მ არასწორად ჩათვალა, რომ მას ჰქონდა ბ-ს კუთვნილი საცხოვრებელი ბინის გასხვისების უფლება და მიჰყიდა გ-ს. ბ-მ მოიწონა ა-ს და გ-ს შორის დადებული ხელშეკრულება, რაც დადასტურებული იქნა დადგენილი წერილობითი ფორმით.

მარწმუნებლის ნების ნაკლით დადებული გარიგების შედეგებს არეგულირებს სს კოდექსის 113-ე მუხლი, რომლის თანახმად: „თუ პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას როგორც წარმომადგენელი, თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ დაადასტურებს, ვალდებულია მეორე მხარის სურვილით ან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ან აანაზღაუროს ზიანი თუკი წარმოდგენილი პირი ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს“.

აღნიშნული ნორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგების შედეგები სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, რაც იმით არის განპირობებული, თუ: რა არის გარიგების საგანი, მისგან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები მოძრავ ქონებას უკავშირდება თუ უძრავს; გარიგების ნამდვილობა ეჭვის ქვეშ დგება მარწმუნებლის, მეორე მხარის, თუ წარმომადგენლის მიმართ და ა. შ.

თუ გარიგება, რომელიც დაიდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, არ ეხება უძრავ ქონებას და მარწმუნებელი არ მოიწონებს ამ გარიგებას და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის მიმართ მეორე მხარის დამოკიდებულება იქნება კეთილსინდისიერი, მაშინ მეორე მხარის წინაშე, ამ უკანასკნელის თანხმობით, გარიგებიდან წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შესრულებაზე ვალდებულება ეკისრება წარმომადგენელს. სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით ასეთ შემთხვევაში გარიგება ბათილია მარწმუნებლისთვის, ანუ წარმოდგენილი პირისთვის, ხოლო ნამდვილი იქნება წარმომადგენლისა და მეორე მხარის მიმართ.

თუ მეორე მხარე, ასევე, უარს აცხადებს გარიგებაზე, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის გამო, მაშინ წარმომადგენლის პასუხისმგებლობა განისაზღვრება სს კოდექსის 113-ე მუხლის პირველი

და მეორე პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად: კერძოდ: „თუ წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მეორე მხარეს მიაღდა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ამ უფლებამოსილებას.

წარმომადგენელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მეორე მხარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. წარმომადგენელი პასუხს არ აგებს მაშინაც, როცა ქმედუნარიანობა შეზღუდული ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი მოქმედებდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.“

სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით საყურადღებოა სს კოდექსის 111-ე მუხლის პირველი პუნქტი: „თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე.“ ასევე, 112-ე მუხლის პირველი წინადადების შინაარსი, რაც შემდეგში მდგომარეობს: „ხელშეკრულების დასადებად თანხმობის მიცემამდე მეორე მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ მან ხელშეკრულების დადების დროს იცოდა. ხელშეკრულების დადებაზე უარი შეიძლება გამოითქვას წარმომადგენლის მიმართაც.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, რამოდენიმე გარემოება იკვეთება, კერძოდ:

პირველი: როცა დადებული გარიგება არ არის ნამდვილი თუკი იგი დადებულია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის გამო და წარმოდგენილი პირი უარს ამბობს გარიგებაზე და მისგან წარმოშობილ უფლება-მოვალეობებზე.

მეორე: როცა, მეორე მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე მანამდე, ვიდრე წარმოდგენილი პირი იტყვის თანხმობას ხელშეკრულებაზე, რომელიც დადებულია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის გამო.

მესამე: როცა, მეორე მხარეს, ასევე, უფლება აქვს უარი თქვას იმ შემთხვევაშიც, როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის გამო წარმოდგენილი პირი არ მოიწონებს და უარს ამბობს გარიგებაზე, თუმცა წარმომადგენელი თანახმაა თავად იკისროს და შეასრულოს ასეთი გარიგებიდან წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები. უკეთესი იქნებოდა თუ მეორე მხარის მიერ ასეთ გარიგებაზე უარის

თქმის უფლება (გარდა სს კოდექსის 112-ე მუხლში მითითებული საფუძვლისა) შეიზღუდება იმ შემთხვევაშიც, თუ ვალდებულებათა ხასიათიდან გამომდინარე და შედეგების თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა არ ექნებოდა თუ მეორე მხარის წინაშე ვინ შეასრულებდა მას.

განსაკუთრებულად საყურადღებოა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შემთხვევაში დადებული გარიგება, როელიც ეხება უძრავ ქონებას, კონკრეტულად კი აღნიშნულ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლას. ეს კი იმას გულისხმობს, რომ უძრავი ქონების გასხვისებაზე მესაკუთრის ნამდვილი ნება არ არსებობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის გამო, რაც შესაძლოა ვლინდებოდეს უშუალოდ წარმომადგენლის, ან წარმომადგენლისა და შესაბამისი კომპეტენტური სამსახურის (საჯარო რეესტრის, ნოტარიუსის) ერთობლივი მოქმედებით.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შემთხვევაში შემძენი უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას ინარჩუნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დადგინდება შემძენის კეთილსინდისიერება. რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა დადგინდეს სს კოდექსის 111-ე, 112-ე, 113-ე, 183-ე, 185-ე, 312-ე და სხვა მუხლების, ასევე, უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

შემძენი კეთილსინდისიერია, თუ მან არ იცის და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ:

1) წარმომადგენელი არ იყო ქონების გასხვისებაზე უფლებამოსილი პირი;

2) გამსხვისებელი არ არის ნამდვილი მესაკუთრე და აღნიშნულზე საეჭვოობის საფუძველს არ იძლეოდა საჯარო რეესტრის შესაბამისი ჩანაწერი და მის საფუძველზე გაცემული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შემძენი არ არის ვალდებული, თუ არ არსებობს ეჭვის რეალური საფუძველი, არკვიოს: ხომ არ არსებობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლი, ან იმ პირთა პრეტენზია, რომლებიც არ არიან საჯარო რეესტრში რეგისტრირებულნი, როგორც უძრავ ქონებაზე რაიმე უფლების მესაკუთრეები და ა. შ.

ამდენად, ნამდვილი სამართლებრივი შედეგი, რაც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობას უკავშირდება დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სახეზეა ორივე მხარის (მყიდველის და გამყიდველის) ნამდვილი სამართლებრივი ნების გამოვლენა და შესაბამისად

დასტურდება. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამოვლენილი ნება სამართლებრივ შედეგებს ვერ გამოიწვევს, თუმცა, შესაძლებელია წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა.

პრაქტიკული თვალსაზრისით გარკვეულ თავისებურებებთან არის დაკავშირებული საერთო (თანაზიარი) საკუთრებაში არსებული ქონების მიმართ სანივთო უფლებების, განსაკუთრებით კი საკუთრების უფლების სამართლებრივი რეგულირება.

„საერთო საკუთრება არ წარმოადგენს საკუთრების რაიმე ფორმას, იგი მხოლოდ იმის მაუწყებელია, რომ ქონება ერთობლივად შეიძლება ეკუთვნოდეს რამდენიმე პირს, თითოეული მათგანი იქნება ამ ქონების თანამესაკუთრე.“⁵

სს კოდექსის 173-ე მუხლის თანახმად საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით, ან გარიგების საფუძველზე. თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოთხოვნები წარუდგინოს მესამე პირებს საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გამო.“

გამომდინარე იქიდან თანაზიარი საკუთრების წარმოშობის როგორი საფუძველი არსებობს, პირობითად შეიძლება გამოვლინდეს თანაზიარი საკუთრების სხვადასხვა სახე, კერძოდ: პირველი – რეგისტრირებული თანაზიარი საკუთრება. აღნიშნულ შემთხვევაში პირთა თანამესაკუთრეობა კონკრეტულ ქონებაზე დასტურდება საჯარო რეესტრში მათი რეგისტრაციის შედეგად.

რეგისტრირებული თანაზიარი საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი კი შეიძლება იყოს როგორც ვალდებულებით-სამართლებრივი ხასიათის, ე. ი. ხელშეკრულება (მაგალითად: ნასყიდობის, ჩუქების გაცვლის), ისე, აღნიშნული უფლება პირებს შეიძლება მიენიჭოს კანონით, მაგალითად როდესაც მემკვიდრეებს უძრავი სახის სამკვიდრო ქონებაზე წარმოეშობათ თანაზიარი საკუთრების უფლება. ასეთი მემკვიდრეები კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გაცემული სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, რეგისტრირდებიან საჯარო რეესტრში მესაკუთრეებად.

რეგისტრირებული თანაზიარი საკუთრების უფლება, მისი ნამდვილობა და წარმოშობა, ასევე, ეფუძნება სს კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნას, ანუ, ერთი და იგივე უძრავ ქონებაზე თანაზიარი საკუთრების უფლება წარმოეშობათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც საჯარო რეესტრში არიან რეგისტრირებულნი როგორც თანამესაკუთრეები. აღნიშ-

ნულის საფუძველზე მათი, როგორც მესაკუთრეთა უფლებები შეუზღუდავი და თანასწორია. ისინი ერთობლივად მართავენ და განკარგავენ კუთვნილ უძრავ ქონებას. მათი ერთობლივი ნების გამოვლენა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა შესრულდეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

რა სამართლებრივი შედეგები დადგება რეგისტრირებულ თანაზიარ მესაკუთრეთაგან ერთ-ერთის მიერ უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში, ჩათვლება თუ არა ასეთ ქონებაზე პირი კეთილსინდისიერ შემძენად და შეიძენს თუ არა საკუთრების უფლებას, ეს არის საკითხები რომლებიც პრაქტიკაში ხშირად დავის საგანი ხდება და გადაწყვეტას საჭიროებს. აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია ზუსტად დადგინდეს ის გარემოებები, როგორცაა ნების გამოვლენის ფორმა და წესი, რეგისტრირებული თანაზიარი საკუთრების შემთხვევაში ყველა თანაზიარი მესაკუთრის ნების გამოვლენის ფაქტი და სხვა.

უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგულირების თავისებურებებიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ პირებს (საჯარო რეესტრში რეგისტრირებული თანაზიარი მესაკუთრეები, საჯარო რეესტრის წარმომადგენელი, ნოტარიუსი, მესამე პირები-მყიდველი), რომლებიც უძრავ ქონებასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებში მონაწილეობენ. აქედან გამომდინარე, უძრავი ქონების შეძენის შემთხვევაში მყიდველი არ შეიძლება ჩათვალოს კეთილსინდისიერ შემძენად, ხოლო აღნიშნულ ქონებაზე დადებული ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება ნამდვილად, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ყველა თანაზიარ მესაკუთრეთა ერთობლივი ნება ქონების გასხვისებაზე გამოვლენილი არ იქნება დადგენილი წესით, ასევე, თუ შემძენმა იცოდა, ან შეეძლო სცოდნოდა (შეძენილ) უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული თანაზიარი საკუთრების უფლების არსებობის შესახებ. აღნიშნულ პირობებში დადებული გარიგება არ იქნება სამართლებრივი, ვინაიდან არ მომხდარა ნების გამოვლენა. ნების გამოვლენა და გარიგება ურთიერთდაკავშირებული სამართლებრივი ელემენტებია, რაც აუცილებელი პირობაა გარიგების ნამდვილობისათვის.

ამ ორი ცნების საყოველთაოდ აღიარებული შეფასება უშუალო კავშირშია საკუთრების უფლებისა და შესაბამისად მესაკუთრის ინტერესის დაცვასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთრების უფლების რეგულირებისას, სახეზე გვექნება სამართლებრივი ქაოსი. ამდენად, გარიგების ნამდვილობას ნამდვილი ნების გამოვლენა უდევს საფუძველად.

აღნიშნულს ემსახურება სს კოდექსის 50-ე მუხლის შინაარსი, რო-

მელიც სამართლებრივი შედეგების მიღწევის აუცილებელ პირობად ნების გამოვლენას მიიჩნევს: „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი, ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის, ან შეწყვეტისაკენ.“ შესაბამისი სამართლებრივი შედეგის მიღწევის მეორე აუცილებელი პირობა, ნების გამოვლენასთან ერთად, არის ფორმის დაცვა, რაც სს კოდექსის 59-ე მუხლით არის დადგენილი, რომლის თანახმად: „ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნების გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა.“ აღნიშნული მოთხოვნების დაუცველად დადებული გარიგება შემდეგში უნდა იქნეს მოწონებული იმ პირის მხრიდან (სათანადო ფორმის დაცვით), ვისი ნების გამოვლენაც თავიდანვე იყო აუცილებელი, თუმცა, არ არსებობდა.

მოწონების ვერ მიღწევის (არ არსებობის) შემთხვევაში, თუ შემძენი კეთილსინდისიერია, მის მიმართ წარდგენილი სავინდიკაციო სარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, ხოლო იმ თანაზიარი მესაკუთრის მოთხოვნა, რომელსაც მიაღდა ზიანი და რომლის ინტერესიც დარღვეულია უძრავი ქონების უნებართვო გასხვისებით, უნდა დაკმაყოფილდეს იმ პირთა მიერ, რომელთა უშუალო ბრალეული მოქმედებითაც მიაღდა მას ზიანი.

უძრავ ქონებაზე უფლებათა შექმნისა და რეგისტრაციის საკანონმდებლო წესი (მათ შორის ელექტრონული რეესტრი) იძლევა თუ არა იმის შესაძლებლობას, რომ არ დაირღვეს მესაკუთრეთა, მათ შორის თანაზიარ მესაკუთრეთა ინტერესი, ადგილი არ ჰქონდეს უძრავი ქონების უნებართვო გასხვისების შემთხვევებს, ადვილად დადგინდეს შემძენის კეთილსინდისიერების ფაქტი და ა. შ. ეს კიდეც ცალკე კვლევისა და მეცნიერულ შეფასებას საჭიროებს. ამ თვალსაზრისით უნდა მოხდეს პრაქტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შესწავლა და განზოგადება.

ნების გამოვლენა შესაძლებელია თანხმობის (ნებართვის) გაცემით გამოვლინდეს. ე.ი. რეგისტრირებული თანაზიარი საკუთრების შემთხვევაში უძრავი ქონების გასხვისებისას, ერთ-ერთი თანაზიარი მესაკუთრის მიერ დადგენილი ფორმით გაცემული თანხმობის საფუძველზე მეორე თანაზიარი მესაკუთრე უფლებამოსილი იქნება უშუალოდ გაასხვისოს უძრავი ქონება.

ამდენად, რეგისტრირებული თანაზიარი საკუთრების უფლებით არსებული ქონების გასხვისებისას დადებული გარიგების ნამდვილობას განაპირობებს სს კოდექსის 50-ე, 59-ე, 183-ე მუხლების ძირითად

მოთხოვნათა შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში დადებული ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება და მისი შედეგები იქნება ბათილი.

თანაზიარი საკუთრების მეორე სახე არის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე კანონით აღიარებული, ე. წ. *კანონისმიერი თანაზიარი საკუთრების უფლება*. ანუ, როდესაც ქონებაზე თანაზიარი საკუთრების უფლების შექმნა პირების მიერ ხდება კანონით. აღნიშნული თანაზიარი საკუთრების უფლება განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს ექვემდებარება.

კანონისმიერი თანაზიარი საკუთრების დროს ქონება პირების მიერ შექმნილია საერთო თანხებით, ან მასთან გათანაბრებული პირობებით (მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში), თუმცა, *მათი თანაზიარ მესაკუთრებად რეგისტრაცია საჯარო რეესტრში არ მომხდარა*. კანონისმიერი და ფაქტობრივი მდგომარეობით გამოვლენილი თანაზიარი საკუთრება გამყარებულია სხვადასხვა სახის მტკიცებულებებით და დავის შემთხვევაში ყოველი მათგანი იწვევს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს, როგორც თანამესაკუთრეთა, ისე მესამე პირების მიმართ.

სს კოდექსის 312-ე მუხლის მესამე პუნქტის შინაარსი ვრცელდება სწორედ ისეთ მესაკუთრეებზე, რომელთაც ფაქტობრივი მონაწილეობა აქვთ მიღებული ამა თუ იმ ქონების შექმნისას (ფულადი, ან სხვა ფორმით), თუმცა, საჯარო რეესტრში არ არიან თანამესაკუთრებად რეგისტრირებულნი, სხვადასხვა გარემოებებით.

საჯარო რეესტრში უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით ზემო აღნიშნული პირები არიან ფაქტობრივი და არა სამართლებრივი გაგებით თანამესაკუთრები. ასეთი თანამესაკუთრეთა უფლებები შეზღუდულია იმ თვალსაზრისით, რომ მათი თანხმობა არ არის საჭირო ისეთი უძრავი ქონების გასხვისებისას, რომელზედაც მათ აქვთ მხოლოდ *ფაქტობრივი საკუთრების უფლება* და საჯარო რეესტრში არ არიან მესაკუთრებად რეგისტრირებულნი, თუმცა, მიუძღვით გარკვეული წვლილი იმაში, რომ მათ ამ ქონებაზე შეიძინეს *შეზღუდული თანაზიარი საკუთრების უფლება*. ასეთი უფლების მოპოვება, კი, შეიძლება როგორც ნასყიდობის ხელშეკრულებით, ისე ქონების არსებითი გაუმჯობესებისათვის საჭირო საერთო ხარჯების გაწევით, საერთო მეურნეობის მართვის გზით და ა.შ.

აღნიშნული საფუძველით თანამესაკუთრედ აღიარებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ამ ქონების მართვისა და განკარგვის შედეგად მიღებული სარგებელი თავისი წილის შესაბამისად. რაც შეეხება სავინდიკაციო სარჩელს, ასეთი სარჩელის წარდგენის უფლება მას არ გააჩნია

იმ ქონების მიმართ, რომელზედაც მხოლოდ ფაქტობრივი თანაზიარი საკუთრების უფლება გააჩნია და რომლის გასხვისებაც მოხდა მისი თანხმობის გარეშე.

ამდენად, ფაქტობრივი, ანუ კანონისმიერ საფუძველზე აღიარებული თანაზიარი საკუთრების უფლება შეზღუდული უფლებაა.

კანონით წარმოშობილი თანაზიარი საკუთრების უფლების ნამდვილობა, დავის შემთხვევაში, მტკიცებით მომენტებზეა დამოკიდებული. შეუთანხმებლობისა და საეჭვოობის შემთხვევაში თანაზიარი საკუთრების უფლების მხარეებს თანაზიარი წილი ერგებათ. თუმცა, დავის შემთხვევაში შესაძლებელია შეიცვალოს არათანაბარი წილებით, რომელიც ეფუძნება მხარეთა მიერ გაწეულ შრომას, დამსახურებას და შესაძლებლობებს.

ფაქტობრივი თანაზიარი უფლების დადგენა და აღიარება ხდება, როგორც უკვე აღინიშნა, მხარეთა შეთანხმებით, ხოლო დავის შემთხვევაში ფაქტის დადგენა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს, ასევე, მოდავე მხარეთათვის მიკუთვნებულ წილთა მოცულობის დადგენა სათანადო მტკიცებულებების შესაბამისად.

კანონისმიერ საფუძველზე ფაქტობრივ თანაზიარ მესაკუთრებად აღიარების ერთ-ერთ საფუძველს იძლევა სს კოდექსის 1158-ე, 1160-ე მუხლები.

სს კოდექსის 1158-ე მუხლის თანახმად: „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს, ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.“

აღნიშნული ნორმა მეუღლეებს აძლევთ იმის უფლებას, რომ ერთად ცხოვრების, ანუ ქორწინების, პერიოდში შეძენილ უძრავ ქონებაზე მლითხოვონ საჯარო რეესტრში თანაზიარ მესაკუთრებად რეგისტრაცია. თუმცა, საჯარო რეესტრში, უძრავ ქონებაზე მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის მესაკუთრედ რეგისტრაცია შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა გარემოებებით, კერძოდ:

ა) ქონება შეძენილი აქვს ქორწინებამდე;

ბ) ქონება შეძენილი აქვს ქორწინების პერიოდში, თუმცა ჩუქებით, ან მემკვიდრეობით და ეს ქონება ითვლება მხოლოდ მის საკუთრებად;

გ) ქორწინების პერიოდში შეძენილი უძრავი ქონება, საქორწინო კონტრაქტის საფუძველზე წარმოადგენს მხოლოდ მის საკუთრებას;

დ) ქორწინების პერიოდში შეძენილი უძრავი ქონება მეორე მეუღლესთან შეთანხმებით, ან შეთანხმების გარეშე, დარეგისტრირდა მის სახელზე;

დ-პუნქტში მითითებულ შემთხვევაში მეორე მეუღლეს შეუძლია ასეთ ქორწინებაზე მოითხოვოს როგორც საჯარო რეესტრში თანაზიარ მესაკუთრედ რეგისტრაცია, ისე, ამ ქონების საფუძველზე, მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის მიერ მიღებული სარგებლიდან შესაბამისი წილი.

საჯარო რეესტრში მეორე მეუღლის თანაზიარ მესაკუთრედ რეგისტრაცია მოხდება მათი ერთობლივი განცხადებით, ან, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ მეუღლეთა შორის წამოჭრილი ქონებრივი დავები ხშირად უკავშირდება ერთ-ერთი მეუღლის მიერ დადებული საცხოვრებელი ბინის გასხვისების ხელშეკრულებას, რაც იმით არის გამოწვეული, რომ საჯარო რეესტრის წარმოების ზოგადი და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის სპეციალური ნორმების შესაბამისად, საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ ითვლება ის მეუღლე, რომელიც საჯარო რეესტრში ასეთად არის რეგისტრირებული⁶.

საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული მეუღლის უფლებები, ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით, არ შეიძლება შეიზღუდოს მეორე მეუღლის აუცილებელი თანხმობით, თუ ეს უკანასკნელი საჯარო რეესტრში თანაზიარ მესაკუთრედ არ არის რეგისტრირებული. ეს დასტურდება სს კოდექსის 183-ე, 185-ე, 312-ე და სხვა ნორმათა მოთხოვნების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა მესამე პირთა, როგორც კეთილსინდისიერ შემძენთა, ინტერესები. აღნიშნული ესადაგება საქართველის უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ გაკეთებულ განმარტებას, რომლის თანახმად: „საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სიზუსტის პრეზუმფცია მნიშვნელოვანი გარანტიია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვისათვის. იგი ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.“⁷

მხოლოდ ის ფაქტი, როდესაც შემძენმა იცის, რომ ქონებას იძენს იმ პირისაგან, რომელიც იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რათა შემძენი ჩაითვალოს არა-

6 თ. ჩიტოშვილი — უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, 2006წ. გვ. 66

7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, 2008წ. გვ.12

კეთილსინდისიერად. ამ უკანასკნელის გარდა, რათა შემძენი ჩაითვალოს არაკეთილსინდისიერად უნდა არსებობდეს, ასევე, სხვა გარემოებებიც, რაზედაც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

ამდენად, უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენისაგან ვინდუ-კაციის უფლება არა აქვს მეუღლეს, რომელიც ფაქტობრივად ითვლება კანონისმიერ თანაზიარ მესაკუთრედ, თუმცა, საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებულ მეუღლესთან ერთად არ არის თანაზიარ მესაკუთრედ რეგისტრირებული.

სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ასეთ მეუღლეს უფლება აქვს მიიღოს თავისი კუთვნილი წილი უძრავი ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული საზღაურიდან. აღნიშნულის უფლებას იძლევა სს კოდექსის 1160-ე მუხლის მესამე პუნქტი, რომლის თანახმად: „მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი.“ ეს წესი ვრცელდება როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევებზე.

სს კოდექსის 1159-ე მუხლი ადგენს მეუღლეთა ურთიერთვალდებულებას, იმის შესახებ, რომ თანაზიარ საკუთრებაში არსებული ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდებოდეს ურთიერთშეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება ურთიერთპასუხისმგებლობის საკითხი, რაც ზიანის ანაზრაურებასთან არის დაკავშირებული.

სს კოდექსის 1160-ე მუხლის მეორე პუნქტი იცავს მესამე პირთა ინტერესებს, კერძოდ: მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ:

ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ;

ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას;

აღნიშნული წესი უპირობოდ ვრცელდება მოძრავი ქონების გასხვისების შემთხვევებზე, ხოლო უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევებზე ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მხოლოდ ერთი მეუღლე.

უძრავ ქონებაზე მეუღლეთა თანაზიარ მესაკუთრეებად რეგისტრაციის შემთხვევაში ერთ-ერთი მეუღლის მიერ მისი გასხვისების შესახებ დადებული გარიგება მეორე მეუღლის მოთხოვნით ბათილად იქნება ცნობილი თუ სს კოდექსის 1160-ე მუხლის მეორე პუნქტის ა და ბ ქვეპუნქტებში მითითებულ გარემოებებთან ერთად ადგილი ექნება შემძენის არაკეთილსინდისიერებას, ანუ, თუ შემძენმა იცოდა, ან შეეძლო სცოდნოდა, რომ ამ გასხვისებით დაირღვა მეორე მეუღლის ინტერესი, ანუ გასხვისება მოხდა მისი, როგორც თანაზიარი მესაკუთრის, აუცილებელი თანხმობის გარეშე. აღნიშნული გარემოებების არსებობა იქნება საინდი-

კაციო სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

უძრავ ქონებაზე თანაზიარი საკუთრების უფლება, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრაციით არ დასტურდება, შეიძლება აღიარებულ იქნეს ფაქტობრივი გარემოებების არსებობით და დაინტერესებულმა პირმა მოიპოვოს თანაზიარი მესაკუთრის უფლება, რაც შესაბამისი სარგებლიდან კუთვნილი წილის მიღებით აისახება.

აღნიშნული სამართლებრივი შედეგი ყოველთვის არ დგება კანონით აღიარებული თანაზიარი საკუთრების შემთხვევებში. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითის საფუძველზე.

კანონით აღიარებული თანაზიარი საკუთრების უფლება წარმოიშობა, ასევე, მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებშიც, როდესაც მემკვიდრეები კანონით იღებენ სამკვიდრო ქონებას თანაზიარი საკუთრების უფლებით და საჯარო რეესტრში რეგისტრირდებიან ისინი თანაზიარ მესაკუთრებად. თუ სამკვიდრო ქონება მოიცავს უძრავ ქონებას რომლის დანაწილება მემკვიდრეებს შორის მისი სამეურნეო დანიშნულების გამო დაუშვებელია, ან უშუალოდ მემკვიდრეებს შორის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე (სამკვიდრო წილის დათმობით) ხდება ამ ქონების მხოლოდ ერთ-ერთ მემკვიდრეზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, მაშინ, სხვა მემკვიდრეები კარგავენ ამ ქონებაზე თანაზიარი საკუთრების უფლებას და მისი შეცვლა ურთიერთშეთანხმების გარეშე დაუშვებელია. ამ ქონების გასხვისების შედეგად მიღებული სარგებელი წარმოადგენს მხოლოდ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრირებული პირის საკუთრებას და სხვა მემკვიდრეებს, რომლებიც საჯარო რეესტრში თანაზიარი საკუთრების უფლებით არ არიან რეგისტრირებულნი, აღარ ექნებათ ქონების გასხვისებით მიღებული სარგებელიდან წილის მოთხოვნის უფლება.

აღნიშნული წესი არ მოქმედებს მეუღლეთა კანონით აღიარებული თანაზიარი საკუთრების უფლების რეგულირებისას. ე. ი. თუ რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში შექმნილ ქონებაზე საკუთრების უფლება ერთ-ერთი მეუღლის სახელზე იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, მაშინ, ამ უკანასკნელს მართალია აქვს მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე ამ ქონების გასხვისების უფლება, მაგრამ, საჯარო რეესტრში არარეგისტრირებულ (მეორე) მეუღლეს, როგორც კანონით აღიარებულ თანაზიარ მესაკუთრეს, აქვს მიღებული სარგებელიდან წილის მოთხოვნის უფლება.

საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი და საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება ქართულ და ფრანგულ სამართალში

თამარ ზარანდია, თმავ ჯუღელი

შესავალი

საკუთრების უფლებას ყველა სხვა სამართლებრივ კატეგორიებს შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს. კერძო საკუთრება, რომელიც ადამიანის ფუნდამენტური უფლების რანგში არის აყვანილი, გამოცხადებულია ხელშეუვალ და ბუნებით უფლებად. საკუთრების უფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით¹, გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით². თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ საკუთრების უფლების ის შინაარსი, რომელსაც დღეს პოზიტიური სამართალი სცნობს, წარმოადგენს დაუსრულებელი ევოლუციის პროდუქტს. საფრანგეთში საკუთრების უფლება იქცა ყველაზე უფრო მგზნებარე დეკლარირების ობიექტად. საკუთრების უფლებას განსაზღვრავდნენ როგორც "ბუნების დაწესებულებას"³(*Portalis*)³, „ყოველი ცივილიზაციის წყაროს“(*Thiers*)⁴, „დაურღვეველ და წმინდა უფლებას, (რომელსაც) არავინ არ შეიძლება მოკლებული იყოს“⁵. ფრანგულ დოქტრინაში საკუთრების უფლებას „სუბრალეგისლატურ“ უფლებას უწოდებენ⁶, რამეთუ ის დაცულია და აღიარებულია კონსტიტუციით. შესაკუთრის უფლებას იცავს ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც⁷. ამავე დროს, დღეს უკვე ცალსახაა, რომ საკუთრების უფლების ასე ვთქვათ „აბსოლუტური სუვერენიტეტის“ იდეა, რომელსაც იგი თითქოს გულისხმობს, რეალობას არ შეესაბამება.

1 საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი.

2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1700ე მუხლი.

3 Simler, P., *Les Biens, Presses universitaires de Grenoble*, 2006, გვ. 25

4 Simler. იქვე.

5 *Déclaration des droits de l'homme et du citoyen de 1789*, მიღებული საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის მიერ 1789 წლის 26 აგვისტოს, მუხ. 17, <http://www.assemblee-nationale.fr/histoire/dudh/1789.asp> (1.12.2011 წლის მდგომარეობით).

6 ამასთან დაკავშირებით იხ. *Droit de propriété est un droit fondamental de valeur constitutionnelle*, civ. 1er., 4 jan. 1995.

7 Naudet et Sermet, RRJ 1990/1.15.

1. საკუთრების ცნებისა და შინაარსის შესახებ

საკუთრების ცნების საკითხი დღესაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქართულ და ევროპულ სამართლებრივ დოქტრინაში. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ თანამედროვე ევროპული კოდიფიკაციები მეტწილად არ იძლევიან საკუთრების ცნების ლეგალურ დეფინიციას. ამ მხრივ გარკვეული გამოწვევისაა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი (Code civile), რომლის ცნობილი 544-ე მუხლი საკუთრების უფლებას განმარტავს, როგორც „... ნივთებით სარგებლობისა და განკარგვის უფრო აბსოლუტური უფლება, თუ სარგებლობა არ არის აკრძალული კანონებითა და რეგლამენტებით“⁸. უნდა ითქვას, რომ ფრანგულ დოქტრინას არ დაუკლია ამ ტექსტის ულტრა-ლიბერალური ხასიათის გაკიცხვა. იყო შეხედულებები, რომ 544-ე მუხლი უფრო ლოზუნგს გამოხატავდა, ფეოდალური უფლისაგან ახლადგამოხსნილი კერძო საკუთრების აღსანიშნავად, ვიდრე ნორმას, რომელსაც კანონის წესის ღირებულება გააჩნდა⁹.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკუთრების ცნებას არ იძლევა და უფრო საკუთრების უფლების შინაარსის აღწერით შემოიფარგლება. საკუთრების განსაზღვრებას ასევე არ შეიცავდა არც ერთი ძველი რომაული ტექსტი, მაგრამ თავად ცნება, უდავოდ, ცნობილი და ფართოდ გამოყენებული იყო ძველი რომაელების მიერ¹⁰. სსკ-ს 170-ე მუხლის თანახმად: მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.“ ჩვენი აზრით, ამ დეფინიციის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თითქოს ზღუდავს მესაკუთრის უფლებამოსილებებს მათი ჩამონათვლის გაკეთების გზით¹¹. ქართულ დოქტრინაში საკუთრების უფლება ასევე განიხილება, როგორც ნივთზე ბატონობის მაქსიმალურად აბსოლუტური და სრული უფლება¹².

8 Code civile France, art. 544.

9 Simler, P., Les Biens, გვ. 25.

10 Roger, A., Owners and Neighbours in Roman law, Oxford, 1972, გვ. 11

11 მესაკუთრის უფლებამოსილებების „ტრიადის“ პრობლემასთან დაკავშირებით იხ. СКАЛОВСКИЙ, К. Собственность в гражданском праве, М. 2008, გვ. 178 და შემდგ. ქართულ სამართალში, *ზოიძე, ბ.*, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 248.

12 *ჭანტურია, ლ.*, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 2001, გვ. 53; *ზოიძე, ბ.*, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, გვ. 57.

საინტერესოა გერმანული სამართლის მიდგომაც. როგორც ცნობილია, ქართული სანივთო სამართალი მეტწილად სწორედ გერმანული სამართლის შემოქმედებითი რეცეფციის შედეგია¹³, თუმცა ამ საკითხში, როგორც ჩანს, გერმანული სამართლის მიდგომა გაზიარებული არ იქნა. გერმანიის სამოქალაქო სჯულებების (BGB) 903-ე პარაგრაფის მიხედვით: „იმდენად, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება კანონს და მესამე პირობა უფლებებს, ნივთის მესაკუთრეს შეუძლია ისარგებლოს ნივთით თავისი შეხედულებისამებრ და გამორიცხოს სხვა პირები ნებისმიერი შემოქმედებისაგან“. გერმანული დოქტრინის მიხედვით საკუთრების განმარტება თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში შესაძლებელია მხოლოდ მესაკუთრის ნეგატიური უფლებამოსილებების გზით, რაც ვლინდება მესაკუთრის უფლებაში გამორიცხოს სხვები საკუთრებით სარგებლობისაგან. საკუთრების თავისუფლება კი გულისხმობს საკუთრების უფლების შინაარსის განსაზღვრის დაუშვებლობას, მესაკუთრის უფლებამოსილებათა ჩამოთვლის გზით¹⁴.

2 საკუთრების ექსკლუზიური ხასიათი

2.1. საკუთრების უფლების აბსოლუტური ხასიათი

საკუთრების უფლების აბსოლუტური ხასიათი, თითქოს ნაკარავდევია Code Civile ის 544 მუხლის ცნობილი ფორმულირებით: „საგნებით სარგებლობისა და [მათი] განკარგვის უფლება ყველაზე უფრო აბსოლუტური სახით“¹⁵. ეს განსაზღვრება გარკვეულწილად მართლაც ასახავს უფლებას, რომელიც აღიარებულია, როგორც ფუნდამენტური ღირებულება და რომელიც ისევე, როგორც თავისუფლება, ადამიანის ძირითადი უფლების რანგშია აყვანილი. საკუთრების უფლება წარმოადგენს დეს უპირატესად ინდივიდუალურ უფლებას, ისეთს, რომელიც ახიჭებს მის მფლობელს მაქსიმუმ პრეროგატივებს, რაც კი შეიძლება აქონდეს პიროვნებას ნივთზე¹⁶.

საკუთრებაზე საუბრისას მისი, როგორც სანივთო უფლების აბსო-

13 ევროპული კერძო სამართლის რეცეფციასთან დაკავშირებით იხ. პროფ. ჰენსონის *ზოიძის* ფუნდამენტური ნაშრომი, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ 2005.

14 Hattenhauer, H. Über vereintes und entzweites Eigentum, in: Baur (Hrsg.) Das Eigentum, Göttingen 1989, S. 85.

15 Simler, P., Les Biens, გვ. 25

16 Simler, P., Les Biens, გვ. 34-35

ლუტურობა სრულიადაც არ ნიშნავს მის შეუზღუდავობას. თუმცა ეს ტერმინი იმავდროულად ამ უფლებამოსილებათა ერთგვარი თავისუფლების მაუწყებელიცაა. უფლების აბსოლუტურობა უნდა განვიხილოთ ამ უფლების მატარებლის, იგივე მესაკუთრის, ყველა დანარჩენ მესამე პირთან ურთიერთდამოკიდებულებაში¹⁷.

2.2. საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი

საკუთრებას სხვა იურიდიული ფენომენებისაგან განასხვავებს მისი აბსოლუტურობა, მისი სისრულე, მისი ექსკლუზიურობა¹⁸, მისი მუდმივობა¹⁹. ამერიკელი იურისტის კოუენის აზრით „საკუთრება... მესაკუთრეს აძლევს უფლებამოსილებას თანახმა იყოს/დაუშვას, ან არ დაუშვას/გამორიცხოს მესამე პირების მიერ საკუთარი ნივთით მფლობელობა ან სარგებლობა²⁰. საკუთრების ექსკლუზიური ხასიათი თვით კერძო საკუთრების კონცეფციისთვისაა დამახასიათებელი. მარტივად და ბანალურად, იგი ნიშნავს, რომ მხოლოდ მესაკუთრეა უფლებამოსილი იმ პრეროგატივებზე, რომელსაც ნივთზე საკუთრების უფლება ანიჭებს²¹. ექსკლუზიური ფლობა უპირველეს ყოვლისა, აძლევს მას ძალაუფლებას, დაუპირისპირდეს სხვა ნებისმიერი პირის ჩარევას. საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათის ანალიზის საინტერესო მაგალითს გვაძლევს ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ფრანგული სასამართლო პრაქტიკიდან.

ა) საკუთრების ექსკლუზიური ხასიათი – საკუთარი ქონების გამოსახულებაზე უფლების მაგალითზე

ფრანგულ სამართალში ეს საკითხი გახდა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი საქმეზე *ქალბატონი პრიშე/პრიშეტი საზოგადოება დიუბრეის გამომცემლობის წინააღმდეგ*²². საქმის გარემოე-

17 ზოიძე, ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, გვ. 83.

18 ქართულ სამართალში საკუთრების ექსკლუზიურ ხასიათთან დაკავშირებით იხ. *ჭიჭულაშვილი ზ.*, სანივთო სამართალი, თბ., 2010, გვ. 98

19 ფრანგული სამართლის მიხედვით საკუთრების უფლება არ იკარგება უფლების განუხორციელებლობის გამო. საინდიკაციო სარჩელი არ ექვემდებარება ზოგად ხანდაზმულობას, რომელიც ფრანგულ სამართალში 30 წელიწადს შეადგენს. ამასთან დაკავშირებით იხ. *Simler, P., Les Biens*, გვ. 38.

20 Dukeminier, J., Krier, J. E., Property, Aspen Law and Business, 2002, გვ. 99.

21 Simler, P., Les Biens, გვ.35

22 Capitant, H., Terré, F., Lequette Y., Les grands arrêts de la jurisprudence civile, T. 1.

ბანი იყო შემდეგი: ქალბატონი გონდრე, პრიჩეტის მეუღლე ბენუვილში იყო ერთი სახლის მესაკუთრე, სადაც განთავსებული იყო კაფე, რომელიც ადრე მისი მშობლების კუთვნილება იყო, და რომელიც პირველი სახლი იყო, 1944 წლის ივნისში დესანტის გადმოსხმისას მოკავშირეთა ჯარებმა რომ გაათავისუფლეს. ამ ფაქტის გამო ეს სახლი სარგებლობდა გარკვეული პოპულარობით, რომელსაც იყენებდა, კომერციულ ქონებასთან ერთად, ქ-ნი პრიჩეტი. იგი ყიდდა საფოსტო ღია ბარათებს საკუთარი ფასადის ფოტოსურათებით.

დიუბრეის საგამომცემლო საზოგადოებამ გაავრცელა საფოსტო ღია ბარათები, რომლებზეც ასახული იყო ქალბატონი პრიჩეტის კაფე ისე, რომ მისი ნებართვა არ მიუღია. ამ უკანასკნელმა მიმართა სასამართლოს.

ფრანგულ სამართლებრივ დოქტრინაში ამ საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და ბევრ საინტერესო საკითხს შეეხო. პირველ რიგში უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი, როდის შეეძლო მესაკუთრეს დაპირისპირებოდა მისი ქონების ამ სახით ექსპლოატაციას?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება საკუთარ გამოსახულებაზე. უფლება საკუთარ გამოსახულებაზე ცნობილია ქართული კანონმდებლობისთვისაც²³. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით ... ქართულ დოქტრინაში არსებული შეხედულებით უფლება საკუთარ გამოსახულებაზე ფიზიკური პირის დამოუკიდებელი არაქონებრივი უფლებაა²⁴. აღნიშნული უფლება უფლებას აძლევს პირს (გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა) დაუპირისპირდეს საკუთარი გამოსახულების რეპროდუქციასა და გამოყენებას, მაგრამ შეუძლია თუ არა პიროვნებას დაუპირისპირდეს მესამე პირის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების გადაღებასა და ექსპლუატაციას?

უნდა ითქვას, რომ მაშინაც კი, როდესაც სახეზეა მხოლოდ პირის ქონების გამოსახულება, ეს შეიძლება იქცეს მისი არა როგორც მესაკუთრის, არამედ მისი პიროვნული უფლებების ხელყოფის საშუალება, თუკი ეს დაემუქრება მის სიმშვიდეს, მყუდროებას ან მის რეპუტაციას. ასე მაგალითად, დღეს პოპულარულ სერიალ „შუა ქალაქში“ კადრში მუდმივად ხვდება ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე ერთ-ერთი სახლის

Introduction. Personnes - Famille - Biens - Régimes matrimoniaux - Successions, 11-e édition, 2000, Dalloz, გვ. 327.

23 იხ. ამასთან დაკავშირებით, *ჭანტურია, ლ.*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000, გვ. 203

24 იხ. ამასთან დაკავშირებით, *ნინიძე, თ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბ., 2002, გვ. 65

რამდენიმე ფანჯარა, სადაც, თითქოსდა მიმდინარეობს მთელი მოქმედება. საკითხი დგას ასე: შეუძლია თუ არა მესაკუთრეს დაუპირისპირდეს მისი ქონების ამგვარ ექსპლუატაციას და საჭიროა თუ არა მისი თანხმობა მის საკუთრებაში არსებული ქონების ამგვარ გამოყენებაზე? წარმოვიდგინოთ, რომ ქონების გამოსახულება გამოიყენება უხამსი ან პორნოგრაფიული ფილმის ილუსტრაციად, განა ასეთი რამ არ იქცევა ადამიანის პიროვნული უფლებების შელახვად? ფრანგული სასამართლო პრაქტიკა ამ შემთხვევაში ადგენს სწორედ პირადი უფლებების დარღვევას მესაკუთრის საკუთრებითი უფლებამოსილებების მითითების გარეშე²⁵. ფრანგულ სამართალში ასეთ შემთხვევაში დაკმაყოფილება მოხდება სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლის²⁶ საფუძველზე თუ პირი დაამტკიცებს, რომ ადგილი ჰქონდა მისი პირადი ცხოვრების ხელყოფას.

მაგრამ, როგორ უნდა გადაწყდეს დავა, როდესაც სახეზე არ არის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელყოფა? როდის შეუძლია მესაკუთრეს აკრძალოს მსგავსი ქმედებები სწორედ თავის მესაკუთრისეულ პრივილეგიებზე მითითებით? თავდაპირველად არც ფრანგულ სამართალს ჰქონდა ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი. მარსელ ნანსტი წერდა, რომ „რამის დახატვა ან ფოტოგრაფირება არ ხელყოფს არცერთ პრეროგატივას, რომელიც ტრადიციულად მესაკუთრისად არის ცნობილი“²⁷. შემდგომდროინდელი დოქტრინაც ცდილობდა არ გადაეღალა თავი იმით, რომ ქონების გამოსახულებაზე მესაკუთრის უფლების საფუძველი თავად საკუთრებაში დაენახა და ამჯობინებდა ეს უკანასკნელი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნიადაგზე ემია²⁸. იყო ასეთი მოსაზრებებიც, რომ „ქონების მფლობელს არა აქვს (...) უფლება ამ ქონების გამოსახულებაზე, რადგან ინდივიდუალური თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპი ყოველ პიროვნებას აძლევს ნებას განახორციელოს და გამოაქვეყნოს ყველაფრის გამოსახულება, რასაც იგი ხედავს კანონიერად, იმ პირობით, რომ არ ხელყოს მესაკუთრის პირადი ცხოვრება და არ მოახდინოს მისი პიროვ-

25 იხ. TGI, sena, 1965 წლის 1 აპრილი, JCP 1966. II. 14572, შენიშვნა R.L., RTD civ. 1966. 294 obs. rodieri, 316 obs. ბრედენი, რომელიც კომპენსაციას უხდის ერთი სამფლობელოს მესაკუთრეს, რომლის ხედვებიც გამოყენებული იქნა უხამსი ფოტო-რომანის ილუსტრირებისთვის; პარიზი, 1991 წლის 25 თებერვალი, D. 1991, IR 135, რომელიც ითვალისწინებს, რომ მესაკუთრეს შეუძლია „თავისი პირადი ცხოვრების ფარგლების დასაცავად“ უარი უთხრას მისი სახლის გამოსახულების პორნოგრაფიულ ფილმში რეპროდუქციასზე; comp. TGI პარიზი, 1973 წლის 13 ივნისი, Gaz. Pal. 1974. I. 27, ფილმის — „უკანასკნელი ტანგო პარიზში“ შესახებ, მითითებულია Capitant, H., Terré, F. Lequette Y., Les grands arrêts, გვ. 329

26 ყველას აქვს უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, მუხლი 9, code Civile France, Daloz.

27 Capitant, H., Terré, F. Lequette Y., Les grands arrêts, გვ. 329

28 Capitant, H., Terré, F. Lequette Y., Les grands arrêts, იქვე.

ნების დენატურირება²⁹“. შესაბამისად, საზოგადოებისთვის მიუწვდომელი სახლის მესაკუთრეს აქვს, თავისი საკუთრების უფლების საფუძველზე „ძალაუფლება, აუკრძალოს, ვინც არ უნდა იყოს, შეიჭრას მის სამფლობელოში ან სახლში, განახორციელოს, გამოაქვეყნოს და ექსპლუატაცია გაუწიოს მისი ქონების გამოსახულებებს³⁰“.

თავდაპირველად საფრანგეთის სასამართლოებმა მართლაც მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ სახლი, რომლის გამოსახულებაზეც იყო საუბარი საზოგადოების თვალწინ მდებარეობდა და სახლის ფოტოგრაფირება, თუნდაც მისი მფლობელის ნებართვის გარეშე, განხორციელებული იყო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილიდან. საფრანგეთის პირველი ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკა ამ ტიპის საქმეებთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი იყო³¹ და ამიტომაც საკასაციო სასამართლოს ჩარევა გარდაუვალი იყო.

ბ) საკასაციო სასამართლოს პოზიცია

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საკუთრების უფლების ექსკლუზიურობა გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ მესაკუთრეს აქვს უფლება მოახდინოს თავისი ქონების ექსპლუატაცია. საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათის გამო, საკუთრება მისი მფლობელისთვის „მონოპოლიაა“³². „ექსკლუზიურობა ნიშნავს, რომ მესამე პირებს პრინციპში არავითარი წილი არ მიუძღვით საგნის სარგებლიანობაში, რომელიც სხვის საკუთრებაშია. მათ არ შეუძლიათ არც მისი გამოყენება, არც მით სარგებლობა, არც მისი განკარგვა. მათ მისგან არავითარი

29 Capitant, H., Terré, F., Lequette Y., Les grands arrêts, იქვე.

30 D. 1999, chr. 293, miTiTebulia Capitant, H., Terré, F., Lequette Y., Les grands arrêts, გვ. 329.

31 მას შემდეგ, რაც 1991 წელს გადაწყვიტა, რომ „კანონი პირდაპირ იცავს მხოლოდ პროცენტების გამოსახულებებს და არა ქონებისას“ (პარიზი, 1991 წ. 7 იანვარი, . 1992, Som. com. 15 obs. kolombe), მან აირჩია საპირისპირო გადაწყვეტა, გამოაცხადა რა, რომ „ყოველ მესაკუთრეს აქვს ყველაზე უფრო აბსოლუტური უფლება აკრძალოს თავისი ქონების რეპროდუქცია კომერციული მიზნებით“ (პარიზი, 1995 წ. 12 აპრილი, JCP 1995. I. 3878, obs. perine-marke, 1997. II. 22806, ვ. კრომბეს შენიშვნა) [ხოლო თავის საწყის პოზიციაზე დასაბრუნებლად 1998 წელს დაადგინა, რომ „მესაკუთრე არ ფლობს თავის ქონებაზე რეპროდუქციისა და წარმომადგენლობის არავითარ უფლებას“ (პარიზი, 1994 წ. 14 ოქტ., D. 1998, IR 225). იგივე დაურწმუნებლობა იყო პროვინციაშიც, ამავე დროს ოდნავი უპირატესობით თავისი ქონების გამოსახულებაზე მესაკუთრის უფლების სასარგებლოდ (გადაწყვეტილებები: 1992 წლის 26 ნოემბ., D. 1994, Som.com. 161, obs. JCP 1993. I. 3707, obs., 1993 წლის 18 იანვ., Bull. 1993. I. 11, TGI, 1996 წლის 28 აგვისტო, JCP 1997. I. 4010, obs. D. 1998, Som. com. 57, obs; FI, 1991 წლის 21 ივნისი, Gaz. pal. 1992. I. som. 232, obs., 1996 წლის 18 ივნისი, préc. მითითებულია: Capitant, H., Terré, F., Lequette Y., Les grands arrêts, გვ. 330

32 Simler, P., Les Biens, გვ. 35

პირადი სარგებლის მიღება არ შეუძლიათ³³. საგნის სარგებელი ეკუთვნის მესაკუთრეს, ისევე როგორც თვით საგანი. ეს სარგებელი მრავალფეროვანი გახდა ფოტოგრაფიის, კინოს, ტელევიზიის და ა.შ. გამოგონებასთან ერთად.

ამდენად, მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი ქონების გამოსახულებაზე, თუმცა თუ ვიქნებით თანმიმდევრულები და ამგვარად გავიგებთ საკუთრების უფლებას, მაშინ გამოვა, რომ საკუთრების უფლების ექსკლუზიურმა ხასიათმა საშუალება უნდა მისცეს მესაკუთრეს, დაუპირისპირდეს საგნის ნებისმიერ გამოყენებას, მის ექსპლუატაციას, რაშიც შედის ასევე მისი ნებისმიერი რეპროდუქცია მესამე პირის მიერ. თუმცა, გააცნობიერა რა, რომ მესაკუთრის ასეთი უფლება გაზვიადებული იქნებოდა, საკასაციო სასამართლომ იურიდიული პოლიტიკის აშკარა მოსაზრებებით გადაწყვიტა შეეზღუდა მესაკუთრის უფლება ქონების გამოსახულების არაკომერციული ექსპლუატაციის მიმართ³⁴. ამდენად, მესაკუთრეს არ შეუძლია დაუპირისპირდეს თავისი სახლის გამოსახულების გამოყენებას კერძო მიზნებით გამვლულების ან ვიზიტორების მხრიდან. საკასაციო სასამართლო ამგვარად ადასტურებს, რომ კერძო საკუთრების საზოგადოებრივი მნიშვნელოვნების და ტურისტული და სხვა მოყვარული ფოტოგრაფების კანონიერი აქტიურობის შენარჩუნების მიზნით, საკუთრების ექსკლუზიურობა გვაგალებს ვადიაროთ მესაკუთრისად არა მისი მკაცრად ექსკლუზიური უფლება ქონების გამოსახულებაზე, არამედ მხოლოდ საგნის კომერციული ექსპლუატაციის უფლება. „სწორედ საკუთრების ხედების კომერციული ექსპლუატაცია, მიეკუთვნება კერძოდ მხოლოდ მესაკუთრეს (...). ასეთ გადაწყვეტას საფუძვლად სარგებლობის უფლების ექსკლუზიურობა უდევს“³⁵. მესამე პირისთვის, აკრძალულია ქონების არა ფოტოგრაფირება ან რეპროდუქცია, არამედ ამ რეპროდუქციის ექსპლუატირება. ამდენად ამ გადაწყვეტილებით ცნობილ იქნა მესაკუთრის მონოპოლია მისი ქონების გამოსახულების ექსპლუატაციაზე. საინტერესოა, რომ ვინაიდან გადაწყვეტილებაში საუბარია „ქონებაზე“ სხვა დაზუსტების გარეშე, ივარაუდება, რომ საქმე ეხება, არა მარტო უძრავ ქონებას, არამედ მოძრავსაც. ეს შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული საგნები, როგორებიცაა ცხოველები, ავტომობილი და ა.შ.

33 G. Cornu, introduction, les personnes, Les biens, N 1035

34 Capitant, H., Terré, F. Lequette Y., Les grands arrêts, გვ. 330-331.

35 G. Cornu, introduction, # 1038.

გ) მესაკუთრის მონოპოლია მისი ქონების გამოსახულების ექსპლუატაციაზე და საავტორო უფლება

მესაკუთრის მონოპოლიის აღიარებით მისი ქონების გამოსახულების ექსპლუატაციაზე საკაცაციო სასამართლომ საავტორო უფლების სპეციალისტების თითქმის ერთსულოვანი კრიტიკა გამოიწვია³⁶. მათი აზრით, მესაკუთრისათვის მინიჭებული ეს ახალი უფლება მისი ნივთის გამოსახულებაზე კონფლიქტში მოდიოდა ავტორის უფლებასთან თავის ნაწარმოებზე³⁷.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალში პირი, რომელმაც ინტელექტუალურ-შემოქმედებითი მუშაობის შედეგად შექმნა ნაწარმოები, ითვლება მის ავტორად. აღნიშნული ეხება ასევე არქიტექტორულ ნაწარმოებსაც. საქართველოს კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ ხელოვნების ნაწარმოებად მიიჩნევა ასევე არქიტექტორულ ნაწარმოებსაც³⁸. იგივე კანონის თანახმად საავტორო უფლება არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები³⁹. ამდენად ქართული კანონმდებლობა ასევე მიჯნავს მატერიალურ ობიექტზე საკუთრებას მასზე საავტორო უფლებებისაგან.

საკუთრების ობიექტის გამოსახულებაზე მესაკუთრის უფლების აღიარებით ფრანგულ სამართალში შეიქმნა ისეთი სინამდვილე, რომ მესამე პირი, რომელიც დაინტერესებულია ქონების გამოსახულების ექსპლოატაციით, იძულებულია აიღოს არქიტექტორული ნაწარმოების ავტორისა და მესაკუთრის ორმაგი ნებართვა. საინტერესოა, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი თუ მესაკუთრე და ავტორი ვერ შეთანხმდებიან ექსპლუატაციის პირობებზე და ხომ არ იქმნება აქ თანასაკუთრება? ფრანგულ დოქტრინაში ამან კიდევ გააჩინა კითხვა: ხომ არ არის ისე, რომ „საკუთრების უფლების ექსკლუზიურობაზე დაფუძნებულმა“ ამ გადაწყვეტილებამ „დაერღვია თვით ეს ექსკლუზიურობა“⁴⁰.

36 P. -Y. Gautier, note JCP 1999.II. 10078; Françon, PTD com. 1999, 397; Caron, Chr. Prec., Defrénois 1999. 908 მითითებულია, Capitant, H., Terré, F. Lequette Y., Les grands arrêts, გვ. 332.

37 იქვე.

38 საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მუხლი 6, პირველი პუნქტის თ ქვეპუნქტი.

39 საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, მუხლი 7, პირველი პუნქტი.

40 Caron, Defrénois, 1999. 910, # 16, მითითებულია, Capitant, H., Terré, F., Lequette „Les

თუ მატერიალური საგანი არის შემოქმედების პროდუქტი, ეს ამ საგნის მესაკუთრეს ართმევს მისი, როგორც შემოქმედების ნაწარმოების მესაკუთრეობიდან გამომდინარე პრეროგატივებს. შესაბამისად ნივთის მესაკუთრესა და ნაწარმოების მესაკუთრეს შორის კონკურენციისას, ხელოვნების ნიმუშის გამოსახულების უფლებაზე, უპირატესობა სწორედ ნაწარმოების მესაკუთრეს უნდა ეკუთვნოდეს. როდესაც საგანი ხელოვნების ნაწარმოებია, იგი ორმაგდება ორ ქონებად, მატერიალურ საყრდენად და ნაწარმოებად. პირველი მათგანის მესაკუთრეს არავითარი უფლება არა აქვს ნაწარმოებზე და არ შეუძლია განახორციელოს უფლებამოსილებანი, რომლებიც ამ უკანასკნელს ეხება. აქედან გამომდინარე, ან საგანი არის ხელოვნების ნაწარმოები და მესაკუთრეს ჩამორთმეული აქვს თავისი უფლება ქონების გამოსახულებაზე, ვიდრე სავტორო უფლება არსებობს, ან საგანი არ არის ხელოვნების ნაწარმოები და მესაკუთრეს შეუძლია მისი გამოსახულების თავისუფალი გამოყენება.

ამასთან ავტორის ქონებრივი უფლება მარადიული არ არის. იგი გრძელდება ავტორის სიცოცხლის მანძილზე და იწურება მისი სიკვდილიდან 70 წლის შემდეგ⁴¹. მაშინ ნაწარმოებს საზოგადოებრივი საგნის სტატუსი ენიჭება.

ლენ დიუგი განმარტავდა, რომ საკუთრებას აქვს სოციალური ფუნქცია (social function). იგი სოციალურ ფუნქციას მიიჩნევდა მის ძირითად პრინციპად: მესაკუთრის უფლებები თავის თავში უნდა მოიცავდნენ გარკვეული დოზით სოციალურ პასუხისმგებლობას⁴². როდესაც საუბარია ქონების გამოსახულების საკითხზე, სწორედ ასეთ გადაწყვეტაზე გადის ზღვარი საზოგადოებრივ ინტერესებსა და მესაკუთრის ინტერესებს შორის, და გონირულიცაა, რომ მესაკუთრეს მხოლოდ მაშინ ჰქონდეს უფლება დაუპირისპირდეს საკუთარი ქონების გამოსახულების რეპროდუქცირებას, როდესაც ამის მიზანი კომერციულია და ქონების გამოსახულების რეპროდუქცირება მოგების მიზნით ხდება. სხვაგვარი მიდგომით შეიძლება სწორედ საზოგადოებამ იზარალოს, რადგან თუ ტურისტს ან უბრალოდ გამვლელს კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლად აეკრძალა ფოტოგადაღება, ეს რასაკვირველია ავნებს საზოგადოებრივ ინტერესს და შეიძლება უფლების ბოროტად გამოყენებაშიც გადაიზარდოს.

grands arrets, გვ. 332.

41 საქართველოს კანონი „სავტორო და მოიჯნავე უფლებების შესახებ“, მუხ. 31-32.

42 Capitant, H., Terré, F., Lequette Y., Les grands arrest, გვ. 333

3. საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება

3. 1. საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება ქართულ და ფრანგულ სამართალში

ა. ზოგადად საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენების შესახებ. უიშვიათესი გამონაკლისების გარდა სუბიექტური უფლებები არ შეიძლება იყოს თვითნებური. მართალია სუბიექტური უფლება გამიზნულია ინდივიდუალური ინტერესის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ არ ანიჭებენ მათ მფლობელს შეუზღუდავ უფლებამოსილებებს. საკუთრების უფლება, როგორც აღინიშნა, თავისი სრული, აბსოლუტური⁴³ ხასიათის გამო განსაკუთრებული უფლებაა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საკუთრების უფლების გამოყენებას არ ახლავს თან შეზღუდვები. საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენების ანალიზისათვის საინტერესო მაგალითებს გვაძლევს ქართული და ფრანგული სამართლო პრაქტიკის რამდენიმე შემთხვევა.

ბ) უფლების ბოროტად გამოყენების შესახებ ქართულ სამართალში; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვანი დანაწესია საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა. 170-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა, და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია“. ამავდროულად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შემოიფარგლება ამ ერთი მუხლით და ზოგადი ნორმით კრძალავს საზოგადოდ უფლების ბოროტად გამოყენებას. სსკ 115-ე მუხლის თანახმად: „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“. საინტერესოა ასევე სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი: „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები“. ამდენად საკუთრების თავისუფლება შემოსაზღვრულია იმ ფარგლებით, რასაც მას უდგენს კანონი. უფლების ბოროტად გამოყენების საკითხი აქტუალურია საკორპორაციო სამართალშიც, ზოგ შემთხვევაში

43 საკუთრების უფლების აბსოლუტურ ხასიათთან დაკავშირებით იხ. ზემოთ.

ადგილი აქვს აქციით მინიჭებული უფლების „ბოროტად გამოყენებას“⁴⁴.

გ) უფლების ბოროტად გამოყენების შესახებ ფრანგულ სამართალში; ფრანგული სამოქალაქო კოდექსი საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით არ იძლევა უფლების ბოროტად გამოყენების ცნებას და იგი ფრანგულ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში ჩამოყალიბდა⁴⁵. ფრანგულ იურისპრუდენციაში ცალკე განიხილება საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება (abus de droit propriete) და უფლების ბოროტად გამოყენება არასახელმწიკრულებო ვალდებულებებში⁴⁶.

დ) ქართული და ფრანგული სასამართლო პრაქტიკა საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენების შესახებ; მიუხედავად იმისა, რომ Code Civil არ იცნობს უფლების ბოროტად გამოყენების ლეგალურ დეფინიციას, ფრანგულმა სასამართლომ სწორედ 544-ე მუხლის დარღვევიდან, საკუთრების უფლების წესებისა და თავისი მიწის ნაკვეთის შემოღობვის უფლების დარღვევიდან, მათი ყალბად გამოყენებიდან გამომდინარე დაადგინა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე იყო უფლების ბოროტად გამოყენება. ყველაზე ცნობილი გადაწყვეტილება უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით იყო გადაწყვეტილება საქმეზე კოკერელი კლემან ბაიარდის წინააღმდეგ (Coquerel C. Clément-Bayard)⁴⁷, რომელიც საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში მიიღო. საქმის გარემოებანი იყო შემდეგი: ჟიულ კოკერელმა შეიძინა დაახლოებით 170 მეტრის სიგრძის და 10-დან 12 მეტრამდე სიგანის მიწის ნაკვეთი, მდებარე ტროლი-ბრეის ტერიტორიაზე ადოლფ კლემან-ბაიარის მიერ აგებული დირიჟაბლების ანგარის პირდაპირ მისგან

44 ამასთან დაკავშირებით იხილეთ, ბურდული, ი., ქონებრივი ურთიერთობანი სააქციო საზოგადოებაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ. 205.

45 უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით იხილეთ : 1) CA Caen 21 févr. 2002: L'éternelle distinction entre abus du droit de propriété et troubles anormaux du voisinage, D. 2002, somm. 2512, obs. Nadège Reboul-Maupin; 2) CA Grenoble, 1re ch. civ., 30 juin 1998 : Empiètement et abus de droit, D. 2000, 472, note Marie-Christine Lebreton; 3) Cass. 3e civ. 7 juin 1990, 7 nov. 1990 : La défense du droit de propriété contre un empiètement ne saurait dégénérer en abus, RTD civ. 1991, 562, note Frédéric Zénati; 4) Req. 3 août 1915 : Propriété, caractère absolu, abus de droit, GAJG 12e éd. # 67.

46 საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 559-ე, 581-ე, 628-ე და 1382-ე მუხლების კომენტარებში საუბარია შესაბამისი მუხლებით დადგენილი უფლებით სარგებლობის ფარგლებზე. იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება ამ უფლებებით სარგებლობის გადაშეტების სხვათა საზიანოდ. დადგება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი; სწორედ ეს უკანასკნელი აკავშირებს ამ მუხლებს ერთმანეთთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დელიქტებს, ქვაზი-დელიქტებს და უფლების ბოროტად გამოყენებას აერთიანებს შედეგი – სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

47 Capitant, H., Terré, F., Lequette Y., Les grands arrest, გვ. 323.

დაახლოებით 90 მეტრის დაშორებით. კოკერელმა, რომელიც უთანხმოებაში იყო კლემან-ბაიართან, თავისი საკუთრების საზღვარზე და კლემან-ბაიარის ანგარის კარის პირდაპირ ააგო დაახლოებით 15 მეტრის სიგრძისა და 10-დან 11 მეტრამდე სიმაღლის ხის ორი კარკასი, თავზე დამაგრებული 2-დან 3 მეტრამდე სიმაღლის და ერთმანეთისგან რამდენიმე მეტრით დაშორებული რკინის ოთხი სარით. ხის ეს კარკასები არ იყო არც გადახურული და არც დაფარული. ისინი განლაგებულნი იყვნენ სიგრძივ 25-30 მეტრამდე მანილიზე და ერთმანეთისგან დაშორებულნი იყვნენ რამდენიმე მეტრი ინტერვალით. ძლიერი ქარის დროს, კლემან ბაიერის დირიჟაბლების მანევრირება გაფრენისა და დაბრუნების დროს ამის გამო იყო ძლიერ გართულებული. ამან გამოიწვია კიდევ მისი ერთი დირიჟაბლის დაზიანება.

კოკერელი თავისი ქმედებების გასამართლებლად ამტკიცებდა, რომ ის ამ სამუშაოების ჩატარებით ეცადა კლემან-ბაიარის დაინტერესების გაზრდას, მისი სურვილი იყო კლემან ბაიერს შეესყიდა მისი მიწის ნაკვეთი უფრო მაღალ ფასად. სწორედ ეს იყო მისი, როგორც მესაკუთრის ინტერესი; ის უარყოფდა, რომ ამგვარ ქმედებას არ შეეძლო მისთვის რაიმე სარგებლის მოტანა და მისი აზრით, სარგებელი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ მოქმედებებით შეწუხებული კლემან ბაიერი მას გადაუხდიდა მიწის ნაკვეთში მისთვის სასურველ ფასს.

ამდენად, ფრანგულ სასამართლოს მოუწია იმის მტკიცება, რომ მესაკუთრე ბოროტად სარგებლობს თავისი უფლებით იქიდან მოყოლებული, როდესაც იგი მას იყენებს ერთადერთი განზრახვით ზიანი მიაყენოს სხვას. ამ შემთხვევაში კი — მიწის ნაკვეთზე ისეთი კონსტრუქციის აღმართვა, რომელსაც მისი მფლობელისთვის არავითარი სარგებელი არ მოაქვს და გარდა სხვისთვის ზიანის მიყენებისა, სხვა მიზანი არც გააჩნია, წარმოადგენს საკუთრების უფლებით ბოროტად გამოყენების კლასიკურ მაგალითს.

უნდა ითქვას, რომ საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენების თეორიაში მნიშვნელოვანია, რომ მესაკუთრის მოქმედება მოკლებული უნდა იყოს ყოველგვარ სარგებელს თავად მესაკუთრისათვის და საზიანო იყოს სხვისთვის — აქედან კი მართლაც უპირობოდ გამომდინარეობს ზიანის მიყენების განზრახვა. მაგრამ თვით მესაკუთრისათვის სარგებლობიანობის არარსებობამ შეიძლება სხვადასხვაგვარი განმარტება გამოიწვიოს. საქმეზე — კოკერელი კლემან-ბაიარის წინააღმდეგ, სასამართლომ ჩათვალა, რომ მესაკუთრის მიერ აღმართულ კონსტრუქციებს არ მოჰქონდათ მისთვის „არავითარი სარგებელი“, მაშინ როცა

თავად მესაკუთრე ვარაუდობდა ამ საშუალებით თავისი მიწის ნაკვეთში უფრო მაღალი საფასური მიეღო ანუ, ერთი შეხედვით, სარგებლიანობა არსებობდა. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი, სარგებლიანობის მხოლოდ ფაქტი ამ შემთხვევაში საკითხს ვერ წყვეტს, რადგან სასამართლოს განმარტებით ეს სარგებელი არ იყო „აღიარებადი“, რადგან მისი განმაპირობებელი ინტერესი არ იყო სერიოზული და კანონიერი. ფრანგულ სამართალში ამან წარმოშვა კიდევ მოსაზრება უფლების ნორმალური დანიშნულების შესახებ.⁴⁸

აღსანიშნავია, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც ვხვდებით მითითებას ზიანის მიმყენებლის კანონიერ ინტერესზე. სამაგალითოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის განჩინება №ას-572-955-06, რომელშიც აღნიშნულია, რომ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე უფლების ბოროტად გამოყენების ძირითად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ სამოქალაქო სამართლის ერთი სუბიექტის მიერ უფლების განხორციელებამ არ უნდა ხელყოს მეორე სუბიექტის უფლებები და კანონიერი ინტერესები. სამოქალაქო უფლებათა გამოყენება უნდა ხდებოდეს კეთილსინდისიერად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დაუშვებლად მიიჩნევს უფლების გამოყენებას იმ მიზნით, რომ უფლების გამოყენებით სხვას მიადგეს ზიანი. ამ შემთხვევაში გამოკვეთილი უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის კანონიერი ინტერესი და უფლების გამოყენება მიზნად არ უნდა ისახავდეს სხვისთვის მხოლოდ ზიანის მიყენებას⁴⁹.

ფრანგული სასამართლო პრაქტიკა იცნობს ისეთ გადაწყვეტილებებსაც, სადაც ზიანის მიყენების განზრახვის მტკიცებულება თვითონ უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტის გარეთ მოიპოვება, იმ უთანხმოებებში, რომლებიც მანამდე არსებობდა ამ ორ მეზობელს შორის. ასეთი იყო შემთხვევა, როდესაც მეზობლებს შორის გარკვეულ საკითხზე უთანხმოების შემდეგ, ერთ-ერთი მეზობელი მეორის სახლის წინ აშენებს კედელს, მკაფიო მიზეზით -- დაუფაროს მეორე მეზობელს ხედი. ეს მშენებლობა არ იყო სარგებლიანი მისთვის და ნაკარნახევი იყო ბოროტი

48 იხ. Terre, E., Simler, P., Droit Civil, Les biens, 6-e edition, Dalloz, 2002, # 307 და #313;

49 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამწარმოო და გაცორების საქმეთა პალატა, №ას-572-955-06, 1 მარტი 2007 წელი, თბილისი. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> (1.12.2011 წლის მდგომარეობით).

განზრახვით⁵⁰, ამიტომაც მიეცა უფლების ბოროტად გამოყენების კვალიფიკაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენების თეორია ერთგვარად ენათესავება სამოქალაქო პასუხისმგებლობას. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოტანილ გადაწყვეტილებებში ძირითადად გათვალისწინებულია Code Civile-ს 1382 მუხლი⁵¹, მაგრამ აქ სახეზე არ გვაქვს ამ მუხლის „წმინდა“ გამოყენება. უფლების ბოროტად გამოყენება არის განსაკუთრებული ბუნების მქონე ქმედება და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბოროტად გამოყენება თავისი საკუთარი კრიტერიუმებით დადგინდება, შეიძლება დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი. თუ სახეზე არ არის უფლების ბოროტად გამოყენება, ზიანის ანაზღაურების საკითხი საერთოდ არ განიხილება. თანამედროვე სამართალში საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენების თეორიას „კონკურენციას უწევს“ სამეზობლო ზემოქმედების თეორია. მეზობელ მესაკუთრეთა შორის წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად, თანამედროვე იურისპრუდენცია და სასამართლო პრაქტიკა იძლევა სამეზობლო ზემოქმედების თეორიის გამოყენების შესაძლებლობასაც⁵².

3.2. საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება თუ საკუთრების დაცვა?

საინტერესოა კიდევ ერთი პოზიცია უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოითქვა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ელო ლეკლერ მორლეს წინააღმდეგ (Hellot C. Leclerc Morlet)⁵³. მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებები იყო შემდეგი: ბატონები ელო და ლეკლერ მორლე რუანში მდებარე და ერთმანეთისგან საერთო კედლით გაყოფილი ორი მომიჯნავე სახლის მესაკუთრეები იყვნენ. ბატონმა ლეკლერ მორლემ დაანგრია საერთო კედელი და აღმართა ახალი შენობა. ბატონმა ელომ მშენებლობის დასაწყისშივე გააფრთხილა იგი შეეწყვიტა ეს სამუშაოები იმის გამო, რომ იგი გადადიოდა მისი მიწის ნაკვეთზე. ამ გაფრთხილების მიუხედავად ლეკლერ მორლემ განაგრძო და დაამთავრა ეს კონსტრუქციები. ბატონმა ელომ სარჩელი შეიტანა რუანის სასამართლოში და მოსთხოვა ახალი ნაგებობის დანგრევა და მორყეული შენობის გამაგრება. მისი აზრით აშენებული

50 Gatién contre époux Tatopoulos, N71-13-473, <http://www.carliscoaching.com/article-28702370.html>

51 საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლის თანახმად: « პირის ყოველგვარი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სხვას ავალდებულებს, იმ პირს ვისი ბრალითაც ზიანი დადგა ანაზღაუროს მიყენებული ზარალი » Code Civil, Dalloz, édition 2008, art.1382, გვ. 1505

52 იხ. ქართულ სამართალში, ზოიძე, ბ., ქართული სანიეთო სამართალი, გვ. 111-128; ფრანგულ სამართალში, Simler, P., Les Biens, №77, გვ. 72

53 იხ. Capitant, H., Terré, F., Lequette Y., Les grands arrêts, გვ. 334

კონსტრუქციის დემონტაჟს ალტერნატივა არ ჰქონდა და იგი ამას კატეგორიულად ითხოვდა. მან ასევე მოითხოვა ზიანის ანაზღაურების სახით 3 000 ფრანკის გადახდა.

მოცემულ შემთხვევაში ელოს ნება, უცილობლად მიეღწია აშენებული კონსტრუქციის დანგრევისთვის, სერიოზულად საზიანო იყო ლეკრერ მორლესათვის და შეიძლება უმნიშვნელოდ სასარგებლო ყოფილიყო თავად ელოსათვის, ამიტომაც, ასეთი მოთხოვნა თავიდანვე იწვევდა ელოს არაკეთილსინდისიერების ეჭვს. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე: როდესაც მესაკუთრე ითხოვს აშენებული კონსტრუქციის დემონტაჟს, იმის მიუხედავად, რომ მისი ინტერესი, შეიძლება ეკონომიკური გაგებით გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანია ვიდრე კონსტრუქციის ამგები პირის ინტერესი, ზომ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენებას?

უნდა ითქვას, რომ უფლების ბოროტად გამოყენების შეფასება მსგავსი შემთხვევებისათვის ზოგჯერ კიდევ მიუცია საფრანგეთის სასამართლოს, მაგრამ თუ ამ გადაწყვეტილებას ხანდახან იღებდნენ ქვემდგომი სასამართლოს მოსამართლეები, მას სისტემატურად უარყოფდა საკასაციო სასამართლო⁵⁴. საკასაციო სასამართლოს პოზიცია აღნიშნულ საკითხზე იყო შემდეგი: საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლიდან გამომდინარე „საკუთრების უფლების დაცვა მითვისების წინააღმდეგ არ შეიძლებოდა გადაგვარდეს უფლების ბოროტად გამოყენებად“⁵⁵. სხვა სიტყვებით, თუ საკუთრების უფლების გამოყენება შეიძლება გადაიზარდოს უფლების ბოროტად გამოყენებაში, მისი (საკუთრების) შენარჩუნება არ შეიძლება ბოროტად გამოყენებად დაკვალიფიცირდეს.

დასკვნები

ამდენად, არაფერია საკუთრების კონცეფციის განსაზღვრაზე უფრო ძნელი. ეტიმოლოგიის იქით, რომელიც პრინციპში გამოხატავს კუთვნილებისა და განსაკუთრებულობის იდეებს, საკუთრების უფლების უნივერსალური ფენომენი სხვადასხვანაირად აიხსნება ეპოქებისა და ცივილიზაციების, ფილოსოფიური და რელიგიური კონცეფციებისა და პოლიტიკური შეხედულებების შესაბამისად. საკუთრების უფლების ცნებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ გვაძლევს, ხოლო მისი შინაარსის განსაზღვრას, ფრანგული და გერმანული სამართლისაგან განსხვავებით

54 იხ. Capitant, H., Terré, F., Lequette Y., Les grands arrêts, გვ. 336.

55 იხ. Capitant, H., Terré, F., Lequette Y., Les grands arrêts, გვ. 336.

მესაკუთრის უფლებამოსილებათა ჩამონათვალით, ე.წ. უფლებამოსილებათა ტრიადის მეშვეობით ცდილობს, რაც თითქოს ზღუდავს მესაკუთრეს მის სხვა უფლებამოსილებებში.

საკუთრების უფლებას სხვა იურიდიული ფენომენებისაგან განასხვავებს მისი აბსოლუტურობა, მისი სისრულე, მისი ექსკლუზიურობა. უბრალოდ და ბანალურად, საკუთრების ექსკლუზიურობა ნიშნავს, რომ მხოლოდ მესაკუთრეა უფლებამოსილი იმ პრეროგატივებზე, რომელსაც ნივთზე საკუთრების უფლება ანიჭებს. თუმცა ამ შემთხვევაში შეიძლება კითხვაც დაისვას, ექსკლუზიურია კი საკუთრების უფლება? ზოგ შემთხვევაში ქონების გამოსახულებაზე უფლება შეიძლება სულაც არ იყოს მესაკუთრის პრეროგატივა, როდესაც ქონება ხელოვნების ნაწარმოებია. აქ საკუთრების ობიექტი თითქოს ორმაგდება ორ ქონებად, მატერიალურ საყრდენად და ნაწარმოებად. იურისპრუდენციის კომპრომისი ასეთია: მესაკუთრეს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება დაუპირისპირდეს საკუთარი ქონების გამოსახულების რეპროდუქციონებას, როდესაც საავტორო უფლება ხელოვნების ნაწარმოებზე აღარ მოქმედებს, და როდესაც ქონების გამოსახულების რეპროდუქციონება მოგების მიზნით ხდება.

დაბოლოს, უიშვიათესი გამონაკლისების გარდა სუბიექტური უფლებები არ შეიძლება იყოს თვითნებური. განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა, რომელიც იძლევა უფლების ბოროტად გამოყენების ცნებას, ფრანგულ სამართალში ეს ინსტიტუტი დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა. თუმცა საკასაციო სასამართლოს არ გასჭირვებია იმის დამტკიცება, რომ მესაკუთრე ბოროტად სარგებლობს თავისი უფლებით იქიდან მოყოლებული, როდესაც იგი მას იყენებს ერთადერთი განზრახვით ზიანი მიაყენოს სხვას. თუმცა, ამ კონტექსტში ასევე საინტერესო იყო საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი პოზიცია, იმის შესახებ, რომ თუ საკუთრების უფლების გამოყენება შეიძლება გადაიზარდოს უფლების ბოროტად გამოყენებაში, საკუთრების შენარჩუნება არ შეიძლება ბოროტად გამოყენებად დაკვალიფიცირდეს.

ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა სხვა მსგავსი ხელშეკრულებებისაგან

ზურაბ ძლიერიშვილი

შესავალი

ნარდობის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. ნარდობა, ნასყიდობის ხელშეკრულების მსგავსად, ყველაზე უფრო გავრცელებული ხელშეკრულებაა სასაქონლო ბრუნვის სფეროში. ნარდობა მიეკუთვნება ხელშეკრულებათა იმ ჯგუფს, რომელიც აწესრიგებს უშუალოდ წარმოების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, რამეთუ იგი დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან — შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შეძკვეთს, განსაზღვრული საზღაურის გადახდის სანაცვლოდ შესრულებული სამუშაოს შედეგი, ანუ ნარდობა მიეკუთვნება სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულებას.

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს არა ზოგადად ნარდობის ხელშეკრულება, არამედ ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა სხვა მსგავსი ტიპის (შრომის, ნასყიდობის, გადაზიდვის, დავალების, სასყიდლიანი მომსახურების) ხელშეკრულებებისაგან. აღნიშნული საკითხის დამუშავებას არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. საკითხის შესწავლა მოხდება, როგორც სისტემატიკური, ლოგიკური, შედარებითი კვლევის მეთოდების, აგრეთვე საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების საფუძველზე.

1. ნარდობის ხელშეკრულების ზოგადი დახასიათება

საქართველოში საბაზრო მეურნეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ნარდობის ხელშეკრულების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად იზრდება, ასევე ფართოვდება მისი გამოყენების არეალიც, როგორც შეიძლება იყოს არა მარტო ახალი ნივთების დამზადება, არამედ გადაკეთება, შეცვლა, მშენებლობა, სხვადასხვა შიდა თუ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე გზების, გაზსადენების, ნავთობსად-

ენების და ა.შ. გაყვანა. ყოველივე აღნიშნული მიეკუთვნება საქმიანობის იმ სფეროს, სადაც შესაძლებელია ნარდობის ხელშეკრულების გამოყენება.

საქართველოში საბჭოური სამართლის სისტემის ნგრევამ და თავისუფალ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ნების ავტონომიის პრინციპი.¹ კერძო (ნების) ავტონომია ეწოდება კონკრეტულ პირთათვის სამართლით მინიჭებულ და უზრუნველყოფილ შესაძლებლობას ერთმანეთს შორის ურთიერთობა განსაზღვრული ფარგლების შიგნით მოაწესრიგონ გარიგების მეშვეობით.²

ნარდობის ხელშეკრულების ცნება და ძირითადი ნიშნები მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველ ნაწილში, კერძოდ: „ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური“.

აღნიშნული ცნებიდან გამომდინარე, ნარდობა, როგორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება, არის ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულება.

ნარდობის ხელშეკრულება კონსენსუალურია იმიტომ, რომ იგი დადებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას მის ყველა არსებით პირობაზე საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულების ძალაში შესვლა არ არის დაკავშირებული შემკვეთისათვის სამუშაოს შედეგის გადაცემასთან.

ნარდობის ხელშეკრულება არის ორმხრივ მავალდებულებელი ხელშეკრულება, რამეთუ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს (ანუ როგორც მენარდეს, ისე შემკვეთს) აქვთ უფლება-მოვალეობები, ანუ ნარდობაში ადგილი აქვს მხარეთა შემხვედრი ვალდებულებების არსებობას: მენარდის მიერ გარკვეული სამუშაოს შესრულება და შემკვეთის მიერ შეთანხმებული საზღაურის გადახდა. ეს ორი ვალდებულება ერთმანეთს განაპირობებს. ამიტომაც, ნარდობა არის სინალაგმატური ანუ ორმხრივ მავალდებულებელი ხელშეკრულება.

ნარდობის ხელშეკრულების სინალაგმატური ხასიათი იმაში გამოიხ-

1 ჭანტურია, ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ, 2011 გვ.90

2 Säcker, Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 5. Aufl., Band 1, 2006, Einl., Rn.33

ატება, რომ მენარდის მიერ თავისი ვალდებულების, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შედეგის შემკვეთისათვის გადაცემასთან, ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემკვეთს ეკისრება შემხვედრი ვალდებულების შესრულება, ანუ შეთანხმებული საზღაურის გადახდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.^{3,4} მაშასადამე, თუკი მენარდე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შედეგის შემკვეთისათვის გადაცემის ვალდებულებას, შემკვეთს უფლება აქვს არ გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შემკვეთს საზღაური წინასწარ უნდა გადაეხადა (სსკ-ის 648-ე მუხლი).

ჯერ კიდევ რომის კერძო სამართალში, ორმხრივ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა ინტერესების დასაცავად გამოიყენებოდა წინასწარი შესრულების მოთხოვნის საწინააღმდეგო შესაგებელი (*exceptio non adimplenti contractus*), რომელიც მიმართული იყო ვადამდე შესრულების მოთხოვნი მხარის წინააღმდეგ, რომელსაც არ ჰქონდა შესრულებული თავისი ვალდებულება.⁵

ვალდებულებათა შესრულების ერთდროულობა გამომდინარეობს სინალაგმატური, ანუ ორმხრივ მავალდებულებელი ხელშეკრულებებიდან.⁶ სინალაგმატური ვალდებულება ხასიათდება ურთიერთკავშირის გენეტიკური და ფუნქციონალური ასპექტების ერთიანობით. ხელშეკრულება ძალაში შედის, თუკი ვალდებულება ურთიერთობის ორივე მხარეს წარმოეშვება და თითოეული მხარე ვალდებულია შეასრულოს მანამ, სანამ შემხვედრი ვალდებულების შესრულება შესაძლებელია. ასე რომ, მეორე მხარისაგან შესრულების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუკი თავისი ვალდებულება უკვე შესრულებულია (ანდა უკიდურეს შემთხვევაში ვალდებული პირი შედგომილი მაინც არის საკუთარი მოვალეობის შესრულებას).⁷

3 სუსგ 2009 წლის 14 მაისის განჩინება საქმეზე №ას-307-628-09; სუსგ 2009 წლის 28 მაისის განჩინება საქმეზე №ას - 2503-ბ-6-09;

4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ.298; Münch Komm BGB/Emmerich Bd. 2a §320 Rn. 31. Palandt/Heinrichs §320 Rn. 5.

5 Гримм А.А. Лекций по догме римского права, М., 2003, с. 333.

6 ძლიერიშვილი ზ., ვალდებულების შესრულება, თბ., 2006, გვ.130.

7 Бернгофот Ф., Колер И. Гражданское право Германии, СПб., 1910, с. 88.

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების (unidrua-ს პრინციპები) 7.1.3-ე მუხლი ადგენს, რომ „თუკი მხარეებმა თავიანთი ვალდებულებები უნდა შეასრულონ ეთდროულად, ნებისმიერ მათგანს შეუძლია შეაჩეროს შესრულება მანამდე, სანამ მეორე მხარე არ შესთავაზებს თავის შესრულებას“.⁸

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 9:201-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მხარეს, რომელმაც ვალდებულება უნდა შეასრულოს მეორე მხარესთან ერთდროულად ანდა მის მიერ ვალდებულების შესრულების შემდეგ, უფლება აქვს შეაჩეროს შესრულება მანამ, სანამ მეორე მხარე არ შეასრულებს ან არ შეთავაზებს შესრულებას.⁹

ნარდობის ხელშეკრულება არის სასყიდლიანი ხელშეკრულება, რამეთუ შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური (როგორც წესი, ფულადი სახით).

ნარდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით, სრული მოცულობით მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-მუხლის I ნაწილით განსაზღვრული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, სახელდობრ: კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნაძვლილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.

ქართული სამოქალაქო სამართლის რეფორმის სერიოზულ მონაბოვარს წარმოადგენს სახელშეკრულებო თავისუფლება.¹⁰ სახელშეკრულებო თავისუფლების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გაგება შეესაბამება ევროპული ვალდებულებითი სამართლის უნიფიკაცია-ჰარმონიზაციის პროცესს.¹¹ სწორედ სახელშეკრულებო თავისუფლებაში ვლინდება პიროვნება, როგორც ქონებრივი უფლებების მატარებელი სუბიექტი. „ინდივიდს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისი ურთიერთობები სხვა ინდივიდებთან ააგოს საკუთარი შეხედულებისამებრ

8 Принципы Международных коммерческих договоров. Пер. с англ. Комарова А.С., М., 1996, с. 134.

9 Principles of European Contract Law. Parts I and II/ Ed. by O. Lando, H. Beale. The Hague, London, Boston, 2000.

10 ზოძიე, ბ. ევროპული კერძო სამართლის რეკვიზიტა საქართველოში. თბ., 2005, გვ.268

11 იქვე, გვ.269

და არა წინასწარ დადგენილი, სავალდებულო დებულებების მიხედვით. მას ენიჭება თავისუფლება იმ მიზნების განსახორციელებლად, რომლებსაც მართლზომიერად მიიჩნევს, მაგრამ იმ პირობით, რომ არ დაზარალებება სხვა პირთა ანალოგიური თავისუფლება. ამრიგად, სახელმწიფომ ანგარიში უნად გაუწიოს ინდივიდის თავისუფლებას და დაუთმოს უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი არსებობის პირობები. ინდივიდისათვის ეს ნიშნავს არა მხოლოდ აღმსარებლობისა და მეწარმეობის თავისუფლებას, არამედ ზოგადად ხელშეკრულების თავისუფლებასაც¹².

ნარდობის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ორი ნაწილისაგან შედგება: ერთის მხრივ, იგი მოიცავს ხელშეკრულების დადების თავისუფლებას, ხოლო მეორეს მხრივ – ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ „სახელშეკრულებო თავისუფლება სახელშეკრულებო წესრიგის ფარგლებშია შესაძლებელი და თუ იქიდან ამოვარდა, სამოქალაქო ბრუნვაში ანარქია და განუკითხაობა დაისადგურებს“¹³.

2. ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა შრომის ხელშეკრულებისაგან

რადგან ნარდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს მენარდის მიერ შემკვეთისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას, ამიტომ საჭიროა მოხდეს ნარდობისა და შრომის ხელშეკრულებათა ურთიერთგამიჯვნა. შრომითი ურთიერთობებისა და სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების გამიჯვნა ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება კერძო სამართლის ინსტიტუტების ურთიერთგამიჯვნის პრობლემის შესწავლისა და კვლევის თვალსაზრისით¹⁴. ამ ფაქტს ადასტურებს სასამართლო პრაქტიკაც, სადაც ხელშეკრულების მხარეები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებზე დგანან მათ შორის შემდგარი შეთანხმების დაკვალიფიცირებასთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ შრომითი ურთიერთობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე შრომის ხელშეკრულება. მასში მოიაზრება ყველა ის ურთიერთობა, სადაც შრომა

12 Zweigert, Konrad; Kötz, Hein. Einführung in die Rechtsvergleichung. Tübingen., 1996. S. 316.

13 ზოიძე, ბ. ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში. თბ., 2005, გვ.273.

14 ქარდავა, ე. შრომისა და ნარდობის ხელშეკრულების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, თსუ-ის "სამართლის ჟურნალი", №2; 2009 წ., გვ.210

გაწეულია ერთი პირის მიერ მეორეს სასარგებლოდ შემხვედრი ანაზღაურების სანაცვლოდ. ზოგიერთი მეცნიერი ერთმანეთისაგან განასხვავებს შრომის ხელშეკრულებას (contract of labour) და დასაქმების ხელშეკრულებას (employment contract), იმ თვალსაზრისით, რომ შრომის ხელშეკრულებამ შეიძლება მოიცავს ყველა კერძოსამართლებრივი ურთიერთობა, სადაც კი ხდება ერთი პირის მიერ მეორესადმი შრომის გაწევა.¹⁵ კოლექტიური შრომის ხელშეკრულება, ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულება, ნარდობის ხელშეკრულება, დავალების ხელშეკრულება, შუამავლობის ხელშეკრულება და ა.შ. ამ გარეგებებში ურთიერთობები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხარეთა უფლებრივი თუ ფინანსური მდგომარეობით, ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებისა და შეთავაზების შესაძლებლობებით, ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის, შეცვლის ფაქტორებზე მხარეთა მიერ ზემოქმედების მოხდენის ხარისხით, შეთანხმების საგნით, ვადით, ჩასატარებელი სამუშაოს ბუნებით, მოცულობით, ხანგრძლივობით, ანაზღაურების სისტემით და სხვა ასპექტებით, რაც არის კიდევ სამართლებრივი რეგულირების განსხვავებული მოდელების არსებობის საფუძველი.

შრომის ხელშეკრულების გამიჯვნას სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც დასაქმებულისათვის შრომის კანონმდებლობით დადგენილი უფლება-მოვალეობების წარმოშობა უკავშირდება შრომის ხელშეკრულების და არა სხვა სახის ხელშეკრულების დადებას.¹⁶

ნარდობისა და შრომის ხელშეკრულებებს შორის განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

ა) ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის შრომის შედეგი (რეზულტატი),¹⁷ ამასთან, მენარდის შრომა შეიძლება ითვალისწინებდეს ახალი ნივთის დამზადებას (ავეჯი), შექმნას (ნაგებობის აშენება), ნივთის შეცვლას, აღდგენას, შეკეთებას, გადაკეთებას, გადამუშავებას, სხვა სახის სამუშაოს შესრულებას (გარეცხვა, გაწმენდა და ა.შ.). ნარდობის ხელშეკრულება ორიენტირებულია კონკრეტული შედეგის მიღწევაზე, რომელშიც სამუშაოს შესრულების პროცესს ნაკლები ყურადღება ექცევა.¹⁸ შრომის ხელშეკრულებით კი მუშაკი ვალდებულია

15 ქარდავა, ე. შრომისა და ნარდობის ხელშეკრულების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, თსუ-ის "სამართლის ჟურნალი", №2; 2009 წ., გვ. 211.

16 გოლოშვილი, გ. შრომის სამართალი. თბ., 2000, გვ. 72

17 ძლიერიშვილი, ზ. ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. თბ., 2011, გვ. 33

18 Эрделевский А.М. Трудовой и гражданско-правовой договоры: сходство и различия. Трудовое право. №2, М., Интелсинтез, 2003, с. 4-6.

შესრულოს განსაზღვრული სამუშაო დაკავებული თანამდებობის, პროფესიის თუ კვალიფიკაციის მიხედვით, მაგრამ სამუშაოს შედეგი, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების საგანს, რამეთუ, განსხვავებით ნარდობისაგან, შრომის ხელშეკრულებით სამუშაოს შედეგის (რეზულტატის) გადაცემა არ ხდება.

ბ) შრომის ხელშეკრულების და ნარდობის ხელშეკრულების საგანია სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. სამუშაოს შესრულების პროცესი და შედეგი არის კიდევ ხელშეკრულების საგანი, რომელიც ურთიერთობათა გამიჯვნის კრიტერიუმად უნდა იქნეს მიჩნეული. თუ ნარდობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს არა ნაკეთობის დამზადებას, არამედ კონკრეტული სამუშაოს შესრულებას, მისი გამიჯვნა შრომითი ურთიერთობისაგან უნდა მოხდეს ისეთი კრიტერიუმების დადგენით, როგორცაა სამუშაოს ერთჯერადი ხასიათი, ერთი კონკრეტული შედეგი, რომლის დადგომისთანავე ხელშეკრულება წყდება. ნარდობის ხელშეკრულების დროს შემკვეთისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ მომენტალური ან სწრაფ რეჟიმში დამდგარი რეზულტატი და არა პროცესი.

გ) ნარდობის და შრომის ხელშეკრულებათა გამიჯვნის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს დაქვემდებარება. დაქვემდებარების პირობებში მუშაობა ნიშნავს ერთი პირის მიერ შრომის გაწევას მეორე პირის მითითებებისა და ზედამხედველობის ქვეშ. პირი უმეტესწილად კვალიფიცირდება როგორც დასაქმებული, თუკი დამსაქმებელს აქვს უფლება, აკონტროლოს მოქმედების მეთოდი და რეზულტატი. შრომის ხელშეკრულებაში დასაქმებული არის დამსაქმებლის მიერ დაქირავებული პირი, რომელიც დამსაქმებლისადმი ერთგვარ დაქვემდებარებაში იმყოფება.¹⁹ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში საქმიანობასთან დაკავშირებულია ისეთი ცნებები, როგორცაა ზედამხედველობა და კონტროლი, რაც გულისხმობს: დადგენილი წესრიგისადმი დასაქმებულის დისციპლინარულ დამოკიდებულებას, სამუშაოს შესრულების დროსა და ხარისხს, დასაქმებულის პიროვნული თვისებებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების სამუშაო სპეციფიკასთან შესაბამისობას, საერთო საქმიანობაში ინტეგრირებას, აგრეთვე სუბორდინაციულ და იერარქიულ ურთიერთობებს. დამსაქმებელი ალტურვილია მუშაობის პროცესზე კონტროლით, დასაქმებული კი შებოჭილია დამსაქმებლის ბრძანებებითა და მითითებებით.

დ) შრომის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ნარდობის ხელშეკრულების დროს ძალაუფლებისა და დაქვემდებარების ფაქტორი არ წარმოიშობა და მხარეები თანასწორუფლებიან მდგომარეობაში იმყოფებიან.

19 ზაალიშვილი, ვ. სამომხმარებლო და შრომითი ხელშეკრულებების კოლიზიურ-სამართლებრივი ასპექტები. ჟურნ. "ქართული სამართლის მიმოხილვა". №7/2004-4, გვ.676

ოფებიან, რასაც არა მარტო ხელშეკრულების დადების, არამედ მთელი პროცესის ხასიათიც ადასტურებს. მენარდე შემკვეთისაგან ქონებრივად და ორგანიზაციულადაა დამოუკიდებელი და მას არ ექვემდებარება.²⁰ მენარდე არ არის ვალდებული ყოველდღიური ანგარიში წარუდგინოს შემკვეთს სამუშაოს შესრულების თაობაზე ან ზოგადად სამუშაო პროცესზე, რომელიც ადვილი შესაძლებელია, კომერციული საიდუმლოც იყოს. მენარდესა და შემკვეთს შორის არ არსებობს იერარქიისა და სუბორდინაციის რეჟიმი. მისი ანგარიშვალდებულება გამოიხატება შეკვეთილი სამუშაოს საბოლოო შედეგის (რეზულტატის) სახით მიწოდებით. რეზულტატის დადგომის დღემდე შემკვეთი არ არის უფლებამოსილი შეამოწმოს, კონტროლი გაუწიოს მენარდის მუშაობის პროცესს, სამუშაო რეჟიმს. მენარდეს აქვს ავტონომია და მისი მოქმედების თავისუფლების ხარისხიც, დასაქმებულთან შედარებით მაღალია. მენარდე/დამოუკიდებელი კონტრაქტორი, პასუხისმგებლობას იღებს მხოლოდ მოთხოვნილ რეზულტატზე და არ იმყოფება შემკვეთის კონტროლის ქვეშ. ხელშეკრულების დადების საფუძველზე მხარეები იბოჭებიან მოქმედებებში, რაც დაბალანსებულია წინასწარ განსაზღვრული შედეგის მიღების სურვილით. ხელშეკრულება არის ძირითადი მტკიცებულება, რომ მხარეებმა ხელშეკრულებაშივე ჩადეს მათთვის მისაღები, სასურველი ურთიერთობების სქემა. ამიტომაც, პირობების შეთანხმების პროცესში მხარეები თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ. შრომის ხელშეკრულების დადების პროცესი – ესაა ძლიერი და სუსტი მხარის ურთიერთობა. სუსტი ყოველთვის არ დგას არჩევანის წინაშე, მაშინ, როდესაც ძლიერს მუდმივად აქვს არჩევანის უფლება – შესთავაზოს ხელშეკრულება წინასწარ შემუშავებული სტანდარტული პირობებით. შრომის ხელშეკრულების დადებისას დასაქმებული მოკლებულია შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს ხელშეკრულების ყველა პირობის განსაზღვრაში. ნარდობის ხელშეკრულების დადებისას ხელშეკრულების შინაარსის ჩამოყალიბებაში მხარეთა მონაწილეობის ხარისხი თანაბარია, კონსენსუსი მიიღწევა ორმხრივად თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე, რისი დეფიციტი ნამდვილად არის შრომით ურთიერთობებში.

ე) ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე სამუშაოს ასრულებს შემკვეთის ან საკუთარი მასალით. უმეტეს შემთხვევაში მენარდე იყენებს საკუთარ მატერიალურ რესურსებსა და შესაძლებლობებს შედეგის დად-

20 ძლიერიშვილი, ზ. ნარდობის სამართლებრივი რეგულირება. თბ., 2001, გვ. 6.

გომის მიზნით. გარდა ამისა, მენარდეს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი შემკვეთისათვის გადაცემამდე. შრომით ურთიერთობებში კი ქონება, რომელიც შეადგენს მუშაკის (დასაქმებულის) შრომის ბაზას, წარმოადგენს დამსაქმებლის საკუთრებას. დასაქმებულს არ ეკისრება ასევე შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის რისკი.²¹ შრომის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რეზულტატთან ერთად, თუ ის ნაკეთობის სახით არის წარმოდგენილი, მენარდე შემკვეთს გადასცემს ნივთზე საკუთრებას.²²

ვ) შრომის პროცესთანაა დაკავშირებული ისეთი არსებითი დეტალი, როგორცაა სამუშაოს შესრულება პირადად თუ მესამე პირის დახმარებით. შრომის ხელშეკრულების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სამუშაოს შესრულება პირადად დასაქმებულის მიერ.²³ დასაქმებული შეიძლება დროებით შეცვალოს მესამე პირმა, ისიც კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (დეკრეტული შვებულება, დროებითი შრომისუნარობა, სასწავლო შვებულება და სხვა). ნარდობის ხელშეკრულებით კი მენარდემ პირადად უნდა შესრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან. სხვა შემთხვევაში მენარდეს შეუძლია გამოიყენოს მესამე პირები შეკვეთილი სამუშაოს შესასრულებლად, რაც ხორციელდება ქვენარდობის ხელშეკრულებით; ასეთ შემთხვევაში მენარდე გენერალური მენარდეა, რომელიც პასუხისმგებლობას კისრულობს მესამე პირების მიერ შესრულებული სამუშაოსათვის.²⁴

ზ) შრომის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ნარდობის ხელშეკრულება არ შეიძლება უვადოდ დაიდოს. მისთვის არსებითი მნიშვნელობისაა სამუშაოს შესრულების კონკრეტული ვადების დადგენა, რაც პირდაპირი თუ ირიბი ჩანაწერებიდან გამომდინარეობს. ნარდობის ხელშეკრულებით განისაზღვრება სამუშაოს შესრულების დაწყებისა და დამთავრების ვადა. სამუშაოს შედეგის დათქმულ დროს მიუღებლობა იწვევს შემკვეთის პასუხისმგებლობას.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოქალაქო სჯულდებით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად, კერ-

21 ძლიერიშვილი, ზ. ნარდობის სამართლებრივი რეგულირება. თბ., 2001, გვ. 6

22 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. I, თბ., 2001, გვ. 237

23 Эрделевский А. М. Трудовой и гражданско-правовой договоры: сходство и различия. Трудовое право. №2, М., Интелсинтез-, 2003, с. 4-6.

24 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტ. I, თბ., 2001, ვ. 247

ძოდ, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების წიგნი II — ვალდებულებითი სამართალი, განყოფილება VIII — ცალკეული ვალდებულებები, ტიტული VIII გათვალისწინებულია მომსახურების (შრომითი) ხელშეკრულება — Dienstvertrag, §611-630, ხოლო IX ტიტულით კი გათვალისწინებულია ნარდობისა და მსგავსი ხელშეკრულებების სამართლებრივი მოწესრიგება. IX-ე ტიტულის I ქვეტიტული შეეხება სწორედ ნარდობის ხელშეკრულებას, რომელსაც ეთმობა გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 631-651-ე პარაგრაფები (Werkvertrag).

3. ნარდობის გამიჯვნა მომსახურების

ტიპის ხელშეკრულებებისაგან

ნარდობის ხელშეკრულებასთან ახლოს დგას მომსახურების ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე მომსახურებას უწევს მეორეს სათანადო ანაზღაურების მიღებით. განსხვავება ამ ორ ხელშეკრულებას შორის მდგომარეობს შემდეგში: ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი (რეზულტატი). მაშასადამე, ნარდობის ხელშეკრულება ავებულია შემდეგი ფორმულით: თუ არ არის სახეზე შესრულებული სამუშაოს შედეგი, მაშინ ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობას. რაც შეეხება მომსახურების ხელშეკრულებას, მისი შედეგი ატარებს არამატერიალურ ხასიათს. მომსახურების ხელშეკრულებებს მიეკუთვნება: კავშირგაბმულობის, სამედიცინო, აუდიტის, საკონსულტაციო, საინფორმაციო, ტურისტული მომსახურება და სხვა მისი მსგავსი ხელშეკრულებები.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს როგორც ნარდობის (მუხლი 702), ისე მომსახურების ტიპის ხელშეკრულების (779-ე მუხლი) ლეგალურ დეფინიციებს. ასე, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 702-ე მუხლის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია მიიღოს შესრულებული სამუშაოს შედეგი და გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. იმავე კოდექსის 779-ე მუხლის თანახმად კი, სასყიდლიანი მომსახურების ხელშეკრულებით შემსრულებელი მოვალეა შემკვეთის დავალებით გაუწიოს მას მომსახურება (შეასრულოს რაიმე მოქმედება ან განახორციელოს რაიმე საქმიანობა),

ხოლო შემკვეთი მოვალეა გაწეული მომსახურებისათვის გადაიხადოს საზღაური.²⁵

გერმანიაში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა სასყიდლიანი მომსახურების ხელშეკრულებისაგან. ამ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 631-ე, 649-ე და 628-ე პარაგრაფების შედარებითი ანალიზი, რომელიც მოცემულია გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებებში.

გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებებით დაადგინა მთელი რიგი ძირითადი დებულებები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს ერთის მხრივ ნარდობისა და მეორეს მხრივ სხვა მსგავსი სასყიდლიანი მომსახურების ხელშეკრულებების გასამიჯვნად.²⁶ გერმანიაში 2002 წელს განხორციელებულმა ვადებულებითი სამართლის რეფორმამ ახლებურად ჩამოაყალიბა ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოქალაქო სჯულდების შესავალი კანონის 229-ე მუხლის §5-ის თანახმად, 2002 წლის 1 იანვრამდე აღმოცენებული ვადებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება გერმანიის სამოქალაქო სჯულდების ძველი რედაქცია.²⁷ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა სასყიდლიანი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებებისაგან. მოვიყვანოთ მაგალითი გერმანიის სასამართლო პრაქტიკიდან. გერმანიაში მხარეთა შორის დადებული იყო ხელშეკრულება სახლის მშენებლობის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, ერთ-ერთ მხარეს – არქიტექტორს უნდა შეედგინა ასაშენებელი სახლის პროექტი და ხელმძღვანელობა გაეწია სამშენებლო სამუშაოებისათვის, ხოლო მეორე მხარეს კი უნდა გადაეხადა საზღაური 50 ათასი პირობითი ერთეულის ოდენობით. პირველი სართულის აშენების შემდეგ, სახლის მშენებლობა შეჩერდა ფინანსური სიძნელების გამო, შემდგომში მშენებლობა განახლდა, მაგრამ უკვე სხვა არქიტექტორის ხელმძღვანელობით. თავდაპირველმა არქიტექტორმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 649-ე პარაგრაფზე დაყრდნობით შემკვეთისაგან მოითხოვა გასამრჯელოს გადახდა. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს მენარდის უფლებას, მოითხო-

25 Гражданский Кодекс РФ. М., 2009 <http://www.garweb.ru/project/law/doc/10064072/10064072-001.htm>

26 BGHZ 31, 224 26.11.1959, BGHZ 62, 204 07.03.1974, BGHZ 82, 105 22.10.1981

27 Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands. <http://bundesrecht.juris.de/bgb/>

ვოს შემკვეთის მხრიდან ნარდობის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი საზღაურის გადახდა. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად მიუთითა იმ გარემოებებზე, რომ მან თავისი ვალდებულებები ძირითადად შეასრულა. მოპასუხემ თავის შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულება, რამაც მოპასუხეს მიაყენა ზიანი, ამიტომ გასამრჯელოს სახით მოსარჩელეს ეკუთვნის შეთანხმებული თანხის 3/8 ნაწილი.

მიწის სასამართლომ მოსარჩელეს მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ და მოპასუხეს დააკისრა 32500 პირობითი ერთეული თანხის გადახდა.

მოსარჩელემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა მიწის ზემდგომ სასამართლოში სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით. ზემდგომმა სასამართლომ უცვლელად დატოვა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ორივე ინსტანციის სასამართლომ მოდავე მხარეთა შორის შეთანხმება განიხილა როგორც მომსახურების გაცემის ხელშეკრულება, ამიტომაც გამოიყენეს გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 628-ე პარაგრაფი, რომელიც ითვალისწინებს შემსრულებლის უფლებას მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება. აღნიშნული საქმე გახდა ფედერალურ სასამართლოში სარევიზიო წარმოების საგანი. ფედერალურმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ჩამოაყალიბა რიგი საერთო დებულებები, რომლებიც შეეხება იმ პრობლემას, როგორიცაა ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა მომსახურების ხელშეკრულებისაგან.

ფედერალურმა სასამართლომ განმარტა, რომ არქიტექტორთან მსგავსი ტიპის ხელშეკრულების დადებისას (Architektenvertrage), ხშირად პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ამ შეთანხმების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები. მხარეთა ასეთი შეთანხმება, მიუხედავად მათ შორის აღმოცენებული ურთიერთობების რეალური ბუნებისა, ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ითვლება ნამდვილად. თუმცა კი, მოცემულ საქმეში ნარდობის ხელშეკრულების დანაწესების გამოყენებაზე არ ყოფილა არანაირი დათქმა, ამიტომაც წარმოიშვა სადავო ურთიერთობათა სამართლებრივი ბუნების გამოკვლევის საჭიროება (აუცილებლობა).

ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ შემკვეთსა და არქიტექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული შინაარსი. ერთ შემთხვევაში, არქიტექტორის ვალდებულება შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მშენებლო-

ბის პროექტის მომზადებით, ისე, რომ მას არ დაეკისროს სამუშაოთა წარმოების ხელმძღვანელობის შესრულების ვალდებულება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც შემკვეთს უკვე გააჩნია პროექტი, არქიტექტორის ვალდებულებას წარმოადგენს ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს სამუშაოთა შესრულებისა და მიმდინარეობის პროცესს (განხორციელოს სამუშაოთა მწარმოებლის ფუნქცია). განსახილველ შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა არქიტექტორთან დადებული ხელშეკრულების უფრო მეტად გავრცელებულ ვარიანტს, რომელიც ითვალისწინებდა საარქიტექტორო სამუშაოების — პროექტის შედგენიდან პროექტის რეალურ განხორციელებამდე — მთელი კომპლექსის შესრულების ვალდებულებას.

ფედერალური სასამართლოს აზრით, ასეთი ხელშეკრულებები განხილული უნდა იქნეს, არა როგორც სასყიდლიანი მომსახურების ხელშეკრულება, არამედ როგორც ნარდობის ხელშეკრულება. არ არსებობს ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი იმაში, რომ არქიტექტორის მიერ შედგენილი ასაშენებელი სახლის პროექტი წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულების ობიექტს გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 631-ე პარაგრაფის შესაბამისად. ამ პროექტში გამოინატება არქიტექტორის ინტელექტუალური შრომის შედეგი. მისი როგორც ნარდობის ხელშეკრულების ძირითადი ელემენტის სამართლებრივი მნიშვნელობა სრულიადაც არ კნინდება იმის გამო, თუ არქიტექტორი იმავედროულად რეალიზებას უკეთებს მის მიერ შექმნილ პროექტს და ამასთან ერთად, ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევს სამშენებლო სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესს. ფედერალურმა სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია გადაეხვია იმპერიის სასამართლოს პრაქტიკისაგან, რომელიც თვლიდა, რომ პროექტი წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ არქიტექტორის რეალური სამუშაოს — მშენებლობის ხელმძღვანელობა — მოსამზადებელ ეტაპს და ამიტომაც არქიტექტორთან მიღწეულ კომპლექსურ შეთანხმებას განმარტავდა, როგორც მომსახურების გაწევის ხელშეკრულებას. ამ პოზიციის მცდარობა ფედერალური სასამართლოს აზრით იმაში მდგომარეობდა, რომ იგი იგნორირებას უწევდა არქიტექტორის შემოქმედებითი საქმიანობის მნიშვნელობას, რომელსაც ხელშეკრულების მონაწილეები ჩვეულებრივ განიხილავენ, როგორც მათი შეთანხმების მნიშვნელოვან ნაწილს.

არქიტექტორისათვის პროექტის მომზადების შეკვეთა, ასევე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე ზედამხედველობის დაკისრება, ემსახურება იმ შედეგის მიღწევას, რომელიც წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულების საგანს (გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 631-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი, კერძოდ, ნარდობის ხელშეკრულების საგანი

შეიძლება იყოს, როგორც ნივთის დამზადება ან შეცვლა, ისევე სხვა შედეგი, რომელიც მიიღწევა სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის გზით), სახელდობრ კი ნაგებობის აშენება. არქიტექტორი, მიუხედავად იმისა, რომ იგი დატვირთულია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ხელმძღვანელის ვალდებულებებით, არ არის მოვალე გადასცეს შემკვეთს ნაგებობა, როგორც მატერიალური საგანი, როგორც თავისი საქმიანობის შედეგი. თუმცა კი, არქიტექტორმა, როგორც სამშენებლო სამუშაოების წარმოების ხელმძღვანელმა, თავისი მოქმედებებით უნდა უზრუნველყოს ობიექტის აშენება დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, რამეთუ ნაგებობა უნდა იყოს უნაკლო. ოფიციალურ ორგანოებთან მოლაპარაკებები, სამშენებლო მასალებისა და ფინანსური დნახარჯების რაოდენობის დაანგარიშება, შემკვეთის სახელით წინადადებების მიღება და გაგზავნა, მშენებლობის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება, ადმინისტრაციული დანაწესებისა და ტექნიკური ნორმების დაცვაზე კონტროლი, სამუშაოს შედეგების მიღება, საქმიანობის ყოველი ეს სახე ემსახურება პროექტში გამოხატულ არქიტექტორის ინტელექტუალური შრომის შედეგის მიღწევას და ამით იმ მიზნის მიღწევას, რომელიც ასახულია შემკვეთის მიერ არქიტექტორთან დადებულ ნარდობის ხელშეკრულებაში — დაპროექტებული ნაგებობის აგება. ამიტომაც, ისინი არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც მომსახურება გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 611-ე პარაგრაფის აზრით.

სხვაგვარი კლასიფიკაცია, ანუ არქიტექტორთან დადებული ხელშეკრულების მიკუთვნება მომსახურების გაწევის ხელშეკრულებებისადმი, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელობა და მათ განხორციელებაზე კონტროლი წარმოადგენს შეთანხმების ერთადერთ საგანს.²⁸

მხარეთა შეთანხმების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისას, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ნარდობის ხელშეკრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებაზე — ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შრომითი საქმიანობის (ინტელექტუალური ან ფიზიკური) შედეგი (რეზულტატი), მაშინ, როდესაც მომსახურების გაწევის ხელშეკრულება კი ორიენტირებულია მომსახურების განხორციელებაზე. არქიტექტორთან დადებული კომპლექსური ხელშეკრულების შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ დაპროექტებლის, ხოლო მეორე მხრივ კი — სამუ-

28 BGHZ 31, 224. 26.11.1959.

შათა მწარმოებლის ვალდებულებების თანაფარდობას. პირველი სახის ვალდებულებათა არსებობა არის იმის საფუძველი, რომ თამამად ითქვას – არქიტექტორთან დადებული ხელშეკრულება არის ნარდობის ხელშეკრულება. ნაგებობის პროექტის მომზადების თაობაზე არქიტექტორთან ხელშეკრულების დადებისას, შემკვეთი მიზნად ისახავს მიიღოს მზა შედეგი და ამასთან, როგორც წესი, იგი არ ერევა პროექტის დამზადების სამუშაოთა შესრულების პროცესში, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს არქიტექტორის ინდივიდუალური შემოქმედების შედეგს. სახეზეა ნარდობის ხელშეკრულების აღნიშნული ნიშანი.

თუკი არქიტექტორი ძირითადად მოქმედებს, როგორც სამუშაოთა წარმოების ხელმძღვანელი, მაშინ იგი წარმოადგენს შემსრულებელს მომსახურების გაწევის ხელშეკრულებაში.²⁹ აქ შემკვეთი, პირველ რიგში, დაინტერესებულია არქიტექტორის რეგულარული შრომითი საქმიანობით, რომელიც მართალია მიმართულია ნაგებობის ასაშენებლად, თუმცა ეს მიზანი არ წარმოადგენს არქიტექტორისათვის დაკისრებული ვალდებულების მონათესავეს (causa proxima). მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებაში ფედერალურმა სასამართლომ ანალოგიური ურთიერთობებიც მიაკუთვნა ნარდობის ხელშეკრულებებს.³⁰ შეთანხმების სამართლებრივი ბუნების შეფასების შეცვლა არ წარმოადგენს იმ კრიტერიუმების შეცვლას, რომელიც საფუძვლად უდევს მას. სამუშაოთა მწარმოებელიც წარმოადგენს მენარდეს, რამეთუ ის პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის შედეგისათვის.

რადგან ნარდობის ხელშეკრულება მიმართულია შემკვეთისათვის სამუშაოს შედეგის გადაცემისაკენ, ამიტომაც მენარდეს ეკისრება ამ შედეგის მიღწევის რისკიც. ამაში ვლინდება კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ მოცემული სახის შეთანხმება მომსახურების ხელშეკრულებისაგან, რომელშიც შემსრულებელს არ ეკისრება მსგავსი სახის რისკები.

არქიტექტორთან დადებულ ხელშეკრულებაში ნაგებობის პროექტის მომზადებასთან მიმართებით, არქიტექტორს ეკისრება შეუსრულებლობის რისკი, მაშინაც კი, თუკი ვალდებულება არაჯეროვნად შესრულდა არქიტექტორის ბრალის გარეშე. მაგალითად, ნაგებობის პროექტი დაზიანდა კომპიუტერის ვირუსით. ამასთან, მენარდეს არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებული სამუშაოსათვის შეთანხმებული საზღაური.

29 BGHZ 62, 204, 07.03. 1974.

30 BGHZ 82, 105, 22.10. 1981.

არქიტექტორის, როგორც ნაგებობის მშენებლობის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგისათვის – ობიექტის აშენება – კი დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იქნება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მის ბრალეულ ქმედებასა და შესაბამის უარყოფით შედეგს შორის. არქიტექტორის მიერ გაწეული მომსახურება ანაზღაურებული უნდა იქნას, თუნდაც ნაგებობის მშენებლობა ვერ იქნა დასრულებული.

ამასთან დაკავშირებით, მენარდის შრომის შედეგი უნდა განვასხვავოთ მისი საქმიანობის ობიექტისაგან. იმ შემთხვევაში, როდესაც მენარდე კისრულობს შეასრულოს გარკვეული სამუშაო, ხოლო ის ნივთი, რომელთანაც მიმართებით ეს სამუშაო სრულდება, ნაღგურდება (ილუპება), მაგალითად, დაიწვა შესაკეთებლად მიყვანილი ავტომობილი, მენარდე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ბრალეული ქმედებისათვის. ქონების შემთხვევითი დალუპვის რისკი აწევს მის მესაკუთრეს (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1789-ე მუხლი).³¹

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მწარმოებლის საქმიანობა ფრანგულ სამართალში სხვაგვარად ფასდება, ვიდრე გერმანულ სამართალში. აქ სამუშაოთა არაჯეროვანი განხორციელების შედეგად დამღვარა ზიანი-სათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, არქიტექტორი, სპეციალისტი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს, წარმოადგენს მენარდეს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1792-ე მუხლის პირველი ნაწილის შეაბამისად.

გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება არქიტექტორთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან მიმართებით, ასევე თვალნათელი დასტურია ნარდობის ხელშეკრულების განმასხვავებელი სხვა ნიშნის არსებობისა, კერძოდ, მენარდე შემკვეთისაგან ორგანიზაციულად დამოუკიდებელია. მენარდე თვითონ უკეთებს ორგანიზებას თავის მიერ შესასრულებელ სამუშაოს, თვითონ განსაზღვრავს სამუშაოთა წარმოების მეთოდებსა და საშუალებებს, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია გამოიყენოს სხვა პირთა (ქვემნარდე, დამხმარე) შრომაც, რომელთა მოქმედებისათვისაც თვითონ აგებს პასუხს, ისევე, როგორც საკუთარი მოქმედებისათვის (არქიტექტორის შრომა პროექტის მოსამზადებლად). მომსახურების ქირავნობისას კი შემსრულებელი, პირიქით, მოვალეა დაემორჩილოს შრომის დადგენილ რეჟიმს, ხოლო

31 Code civil des Français. http://www.napoleon-series.org/research/government/c_code.html

დამქირავებელმა (დამსაქმებელმა) კი კონტროლი უნდა გაუწიოს ამ რეჟიმის დაცვას (სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისას არქიტექტორის ფუნქციები). მხდველობშია მისაღები, რომ საუბარია მენარდის არა აბსოლუტურ, არამედ შეფარდებით დამოუკიდებლობაზე, რამეთუ ცალკეულ შემთხვევებში, მათ შორის საკანონმდებლო დონეზე, გათვალისწინებულია შემკვეთის უფლება შესასრულებელ სამუშაოთა მიმდინარეობაზე გარკვეული სახის კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით. განხორციელებული კონტროლისა თუ ზედამხედველობის შედეგი შეიძლება იყოს შემკვეთის მოთხოვნა მენარდის მიმართ, რომ მენარდემ აღმოფხვრას განსაზღვრულ ვადაში აღმოჩენილი ნაკლოვანებები, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემკვეთს შეუძლია სამუშაოთა შესრულება დაავალოს მესამე პირს. ამასთან, დამატებითი ხარჯები და რისკი ეკისრება თავდაპირველ მენარდეს (შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 366-ე მუხლის მე-2 აბზაცი).³²

სანარდო სამუშაოს შესრულების პროცესში ზოგჯერ იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ მენარდე განხილული იყოს როგორც რწმუნებული, ანუ აქვს თუ არა მენარდეს უფლება, მხოლოდ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელოს რაიმე მოქმედება შემკვეთის სახელითა და ხარჯით? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. მენარდეს მხოლოდ მასინ შეუძლია განახორციელოს რწმუნებულის უფლებამოსილებები, თუკი შემკვეთი მასთან დებს დავალების ხელშეკრულებასაც. ფრანგული სასამართლო პრაქტიკა არქიტექტორ-მწარმოებლის საქმიანობასთან მიმართებით ამ კითხვაზე უარყოფითად პასუხობს (საფრანგეთის სამოქალაქო საქმეთა პალატის 1965 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება, JCP 1965, II, 1965, 14089). მენარდეს შეუძლია შეასრულოს რწმუნებულის ფუნქციები, მაგრამ ამისათვის საჭიროა მასთან დავალების ხელშეკრულების დადება.³³

მნიშვნელოვანია ნარდობისა და გადაზიდვის ხელშეკრულებების გამოიჯუნა. ასე, მაგალითად, ავეჯის გადაზიდვის შესახებ შეთანხმება განიხილება ნარდობის ხელშეკრულებად იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების საგანი ავეჯის მხოლოდ სივრცობრივი გადაადგილებით კი არ შემოიფარგლება, არამედ ითვალისწინებს აგრეთვე ავეჯის შეფუთვის, დაშლას, აწყობას, დამონტაჟებას. საქართველოს სინამდვილეში ასეთი ურთიერთობები დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც შერეული

32 Гражданское и торговое право зарубежных стран. Отв. ред. Е.А. Васильев, А.С. Комаров. Т. II, М., 2005, с. 119.

33 იქვე, გვ. 121

ხელშეკრულება (სსკ-ის 340-ე მუხლი).

გერმანული სამართლის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულების მსგავს ხელშეკრულებად განიხილება ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება,³⁴ რომელიც დაკავშირებულია მოგზაურის სივრცობრივ გადაადგილებასთან და მისთვის სხვა სახის მომსახურების შეთავაზების შერწყმასთან (გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 651ა-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი).³⁵

4. ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა

ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან

მეტად მნიშვნელოვან დებულებას შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის მე-2 ნაწილი, კერძოდ, თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ გამოიყენება ნასყიდობის წესები.

მაშასადამე, აღნიშნულ შემთხვევაში საჭიროა, რომ ნარდობა განვასხვავოთ ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან. ეს განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

ნარდობის ხელშეკრულების საგანს, როგორც წესი, წარმოადგენს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნაკეთობის დამზადება; რაც შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს, იგი უმრავლეს შემთხვევაში გვაროვნული ნივთია, მაგალითად, კვების პროდუქტები, სამშენებლო მასალები და ა.შ. (ამიტომაც მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომ თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ ანალოგიით გამოიყენება ნასყიდობის წესები).³⁶

ნარდობის ხელშეკრულების პირობები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია სამუშაოთა შესრულების პროცესში მხარეთა ურთიერთობის

34 Münch Komm BGB / Tonner §651 a. Rn.1. 17.

35 Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands. <http://bundesrecht.Juris.de/bgb/>.

36 ძლიერიშვილი, ზ. ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. თბ., 2011, გვ.26.

განსაზღვრისაკენ, რაც დაკავშირებულია შეკვეთილი ნაკეთობის დამზადებასთან. ნასყიდობის ხელშეკრულების ძირითად შინაარსს წარმოადგენს ხელშეკრულების საგნის (უკვე დამზადებული ნივთის) მყიდველისათვის გადაცემა. მაშასადამე, გამიჯვნისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნარდობის ერთ-ერთ არსებით ნიშანს – ნარდობა მოიცავს არა მარტო სამუშაოს შედეგს, როგორც ასეთს, არამედ სამუშაოს შესრულებასაც (მენარდე კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო). აქედან გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ ნარდობის სახელშეკრულებო მოწესრიგება მოიცავს სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობასაც. ნასყიდობაში კი ასეთი რამ არ არის, რამეთუ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის (ნივთი) დამზადება ხელშეკრულების ფარგლებს გარეთაა.³⁷ ამ სფეროში წარმოშობილი სხვადასხვა პრაქტიკული შემთხვევის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა ასევე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სხვა პირობების განმარტება (ხელშეკრულების სახელწოდება, მხარეები, ანგარიშსწორების წესი, საგნის გადაცემა და ა.შ.).

ერთ-ერთი ძირითადი ყურადსაღები გარემოება, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მოცემულ სიტუაციაში, მდგომარეობს იმაში, რომ გამყიდველი რეალიზაციას უკეთებს ნაკეთობას, რომელიც უკვე დამზადებულია, ხოლო მენარდე კი იმ ნაკეთობას, რომელიც უნდა დამზადდეს მისი ან შემკვეთის მასალით. აღნიშნული საკითხი საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენციით³⁸ (კონვენცია მიღებული იქნა 1980 წლის 10-11 აპრილს, ე.წ. „ვენის კონვენცია“, ძალაში შევიდა 1988 წლის 1 იანვრიდან იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება. საქართველო აღნიშნულ კონვენციას მიუერთდა 1994 წლიდან) გადაწყვეტილი იქნა შემდეგნაირად: იმ საქონლის მიწოდების ხელშეკრულებები, რომლებიც დამზადებული ან წარმოებული უნდა იქნეს, ითვლება ნასყიდობის ხელშეკრულებად იმ პირობით, თუკი საქონლის შემკვეთი მხარე არ კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს მწარმოებელს თუ დამამზადებელს იმ მასალის არსებითი ნაწილი, რომელიც აუცილებელია ასეთი საქონლის დასამზადებლად ან საწარმოებლად (მე-3 მუხლის პირველი პუნქტი). მაშასადამე, თუკი შემკვეთმა (მყიდველმა) შეუკვეთა რა განსაზღვრული რაოდენობის საქონელი, ასევე

37 ძლიერიშვილი, ზ. ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. თბ., 2011, გვ.42.

38 United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods. <http://www.cisg.ru/content/download/cisg.ru.pdf>.

თავის თავზე აიღო შეკვეთილი საქონლის დამზადების უზრუნველყოფა მის მიერ მიწოდებული მასალით, მაშინ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ამ მასალის რაოდენობაზე, კერძოდ, საკმარისია თუ არა მიწოდებული მასალა შეკვეთილი საქონლის დასამზადებლად (მაშინ სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება), თუ ეს მასალა არ არის საკმარისი და არაარსებითი ხასიათისაა (მაშინ სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება).³⁹

რომის სამართალში შემუშავებული პრინციპი, რომლის თანახმადაც, პირი, რომელიც რეალიზებას უკეთებს საქონელს, დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას, თუკი ეს საქონელი დამზადებული იქნა მისი კუთვნილი მასალისაგან (ხოლო თუ შემკვეთის მასალიდანაც არის დამზადებული, მაშინ იგი დებს ნარდობის ხელშეკრულებას), დიდი ხნის განმავლობაში უცვლელად იყო შენარჩუნებული თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში (მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების ძველი რედაქციის 51-ე პარაგრაფის I აბზაცი). მხარეთა შეთანხმების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გადასაცემი მასალის რაოდენობას – თუკი სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ძირითადი მასალა არის შემკვეთის საკუთრება, სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება (მაგალითად, სახლის ასაშენებლად გამოყოფილი მიწის ნაკვეთი), ხოლო თუკი მეორე მხარის (ანუ მენარდის) – მაშინ სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება.⁴⁰

განსხვავებით ნარდობის ხელშეკრულებისაგან, ნასყიდობა საქონლის წარმოება-დამზადებასთან დაკავშირებულ არანაირ ურთიერთობას არ არეგულირებს. ამის შედეგად, მყიდველი მოკლებულია შემოქმედებით შესაძლებლობებს შესაძენ ნივთთან მიმართებით.

ფრანგულ სამართალში ნარდობის ხელშეკრულება შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც მხოლოდ სამუშაოს შედეგის გადაცემის სახით, ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მენარდე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს შეასრულებს თავისი მასალით (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1787-ე მუხლი).⁴¹ თანამედროვე პირობებში ევროკავშირის ქვეყნებში ევროპარლამენტის და ევროპის საბჭოს

39 ძლიერიშვილი ზ. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბ., 2010, გვ. 26.

40 Гражданское и торговое право зарубежных стран. Отв. ред. Е.А. Васильев и А.С. Комаров. Т.2. М., 2005, с. 125.

41 Code civil des Francais. <http://www.napoleon-series.org/research/government/c.code.html>

1999 წლის 15 მაისის 1999/44/ EC დირექტივის რეალიზაციის შედეგად (დირექტივა შეეხება სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციისა და დამზადების გარანტიების გარკვეულ ასპექტებს), იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა საგანია დასამზადებელი ან საწარმოებელი მოძრავი ნივთების მიწოდება, გამოიყენება ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები,⁴² მიუხედავად იმისა, თუ ვისი მასალისაგან არის ეს ნივთები დამზადებული ან წარმოებული (გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 651-ე პარაგრაფის პირველი წინადადება).^{43,44} ამასთან, ადრე მოქმედი პრინციპის გამოყენებაც სრულად მაინც არ არის გამორიცხული: გაეროს საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, იმ საქონლის მიწოდების ხელშეკრულებები, რომლებიც დამზადებული ან წარმოებული უნდა იქნეს, ითვლება ნასყიდობის ხელშეკრულებად, თუკი საქონლის შემკვეთი მხარე არ კისრულობს მიაწოდოს მეორე მხარეს შეკვეთილი საქონლის დამზადებისათვის საჭირო მასალის არსებითი ნაწილი (კონვენციის მესამე მუხლის ბოლო ნაწილი).⁴⁵

სამშენებლო სამუშაოთა წარმოების შესახებ შეთანხმება ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობასა და დოქტრინაში განიხილება, როგორც ნარდობის ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარე აწვდის სამშენებლო მასალებს. ეს შეიძლება ახსნილი იქნეს შემდეგი პრინციპით: მენარდის მიერ მიწოდებული სამშენებლო მასალები, თავისი ღირებულებითა და მნიშვნელობით ჩამოუვარდებიან იმ მიწის ნაკვეთს, რომელზეც შენდება შეკვეთილი ნაგებობა.

მაგრამ როგორ გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი პირი თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აშენებს სახლს და შემდგომში, როგორც მიწის ნაკვეთს, ასევე მასზე აშენებულ სახლს გადასცემს მეორე პირს? ამ კითხვაზე პასუხს სცემს გერმანიის სასამართლო პრაქტიკიდან შემდეგი მაგალითი: სანოტარო წესით დადასტურებული ხელშეკრულებით, სააქციო საზოგადოებამ იკისრა ვალდებულება თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აეშენებინა

42 Palandt/Bassenge §950. Rn10. Soergel/Quack §950. Rn. 27. Staudinger/Wiegand §950. Rn. 38.

43 Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands.<http://bundesrecht.juris.de/bgb>

44 Palandt/Sprau §651.Rn.2.AnwKomm-BGB./Raab §651. Rn.5 Das neue Schuldrecht., Staudinger/Peters §651 aF Rn.3.23.

45 United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods.
<http://www.cisg.ru/content/download/cisg ru.pdf>

სახლი და გადაეცა „X“-ისათვის საკუთრების უფლება როგორც აშენებულ სახლზე, ასევე იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც აშენდა სახლი. ხელშეკრულებით განსაზღვრული „შესასყიდი ფასი“ „X“-ის მიერ გადახდილი უნდა ყოფილიყო ნაწილ-ნაწილ. შეთანხმებული თანხის ბოლო ნაწილის გადახდაზე „X“-მა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ აშენებულ სახლს ჰქონდა ნაკლოვანებები. სააქციო საზოგადოებამ, სარჩელით მიმართა სასამართლოს. სასამართლოში საქმის წარმოებისას მოპასუხემ თავის შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელეს გაშვებული ჰქონდა ხანდაზმულობის ვადა, რადგან კანონმდებლობით სხვადასხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ დადგენილი იყო სხვადასხვა ხანდაზმულობის ვადა; საჭირო გახდა სააქციო საზოგადოებას და „X“-ს შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების დადგენა. ის გარემოება, რომ მხარეებმა ამ ხელშეკრულებას უწოდეს ნასყიდობის ხელშეკრულება, პრობლემას ვერ წყვეტდა. სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, რომ ამოსავალ წერტილად მიჩნეულიყო სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსი. მხარეთა შეთანხმება ითვალისწინებდა არა მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემას მიწის ნაკვეთსა და მასზე აშენებულ სახლზე, არამედ ითვალისწინებდა თვითონ სახლის აშენებასაც. ამის შესახებ პირდაპირ იყო მითითებული ხელშეკრულების ტექსტში. ამიტომაც, სასამართლომ ხანდაზმულობასთან დაკავშირებული საკითხი გადაწყვიტა ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების და არა ნასყიდობის ნორმების შესაბამისად.

საერთო სამართლის ქვეყნებში, სადაც არ არსებობს ნარდობის განზოგადებული სისტემატიზებული რეგულირება, ხელშეკრულების კვალიფიკაცია ნაკლებ აქტუალურია. დავის განხილვისას წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტა ხდება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობების განმარტების შედეგად.

დასკვნა

განხორციელებული კვლევის შედეგად ნაშრომში ჩამოყალიბებული იქნა ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს კონკრეტულ შემთხვევებში ნარდობის ხელშეკრულების გამიჯვნა ისეთი ხელშეკრულებებისაგან, როგორიცაა: შრომის ხელშეკრულება, ნასყიდობის ხელშეკრულება, გადაზიდვის ხელშეკრულება და სასყიდლიანი მომსახურების ტიპის სხვა ხელშეკრულებები.

სესხის ხელშეკრულების მოდერნიზაციის აუცილებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

თამარ შოთაძე

შესავალი

სესხის ხელშეკრულება ქართულ უძველეს ისტორიულ ძეგლებში არაერთგზის გვხვდება. არაერთი ქართველი მეცნიერის მიერ განხორციელდა აღნიშნული გარიგების ისტორიული და შინაარსობრივი მხარის მეცნიერული ანალიზი.¹ სესხის ხელშეკრულება, რომელიც ისტორიულად განიცდიდა რელიგიური და მორალური წეს-ჩვეულების ზეგავლენას, თანამედროვე ეტაპზე ასრულებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფუნქციას. წინამდებარე სტატიაში ქართველი და ევროპელი ცივილისტების სამეცნიერო პუბლიკაციების საფუძველზე გაანალიზებულია სესხის ხელშეკრულების მოდერნიზაციის აუცილებლობა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

1. სესხის ხელშეკრულების ცნება

სესხის ხელშეკრულების ცნება გვხვდება ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსში. გამონაკლისი არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსია. სკ-ის 623-ე მუხლის თანახმად სესხის ხელშეკ-

1 პირველად ივ. ჯავახიშვილმა თავის ნაშრომში – „ქართული სამართლის ისტორია“ სპეციალური თავი დაუთმო საკითხს – „სესხი და ვალი“, რომელიც შემოიფარგლებოდა საქართველოში XIII საუკუნემდე სასესხო ურთიერთობის განვითარების საკითხის კვლევით; სესხის ხელშეკრულებას ეხებოდა გიორგი ნადარეიშვილის წერილი „სარგებლის შესახებ, შუა საუკუნეების ერთი ეკონომიკური თეორიის გავლენა ქართულ სამართლის წიგნებზე“, დაბეჭდილია საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბეში, 1962 წელს, №1; ისტორიული წყაროებიდან აღნიშვნის ღირსია გერმანელი სწავლულის რუდოლფ კლუტშმანის ნაშრომი ქართული ვალდებულებითი სამართლის შესახებ, მითითებულია წიგნში: გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“ გამომც.: „მეცნიერება“, 1979, 60; სავალო ზელწერილს ან სესხის ხელშეკრულებას ვხვდებით აგრეთვე აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მიერ გამოცემულ საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მასალებში. მითითებულია წიგნში: გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“ გამომც.: „მეცნიერება“, 1979, 81; თანამედროვე მეცნიერებიდან სესხის ხელშეკრულების მეცნიერულ კვლევას ეხება ნაშრომები: შერგელაია რ., საკრედიტო და სანაგარიშწორებო სამართლებრივი ურთიერთობანი, თბ., 2002, 8-39; მლიერნიშვილი ზ., ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება“, გამომც.: „მერიდიანი“, თბ., 2010, 344-427.

რულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სკ-ში მოცემული სესხის ცნება სრულ ჰარმონიზაციაშია ევროპული ქვეყნების კანონმდებლობაში გათვალისწინებულ სესხის ხელშეკრულების საერთო კონცეფციასთან.²

სესხის ხელშეკრულება ზოგადად არის შეთანხმება რომლის თანახმად პირი, გამსესხებელი მსესხებელს, გადასცემს დროებით სარგებლობაში ნივთს, რომელიც ვალდებულია შეთანხმებულ ვადაში დაუბრუნოს კრედიტორს სესხის საფუძველზე მიღებული ქონება. სესხის ხელშეკრულების ობიექტია ნივთი, რომლის გამოყენება შესაძლებელია დროებითი სარგებლობისათვის ან ფულადი თანხა, რომელიც შესაძლებელია სესხის საფუძველზე გადაცემულ იქნეს პროცენტით ან მის გარეშე.

სესხის ხელშეკრულებით კრედიტორი გადასცემს ფულს ან მოხმარებად ნივთებს მოვალეს, რომელიც ვალდებულია დააბრუნოს იმავე რაოდენობის თანხა ან იმავე სახისა და ხარისხის ნივთი.³ ზოგიერთ სამართლებრივ სისტემებში სასეხო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ერთმანეთისაგან განასხვავებენ სესხისა და კრედიტის ხელშეკრულებებს.⁴

2. სესხის ხელშეკრულება – ცალმხრივი თუ ორმხრივი ხელშეკრულება?

სესხის ხელშეკრულება თავისი ეკონომიკური მნიშვნელობითა და ფართო, მოქნილი შინაარსით, არის მიზეზი მისი თეორიული დახასიათებისათვის. კითხვაზე პასუხი სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი თუ ორმხრივი ხელშეკრულება ლოგიკურად ადასტურებს მის კონსესუალურ ან რეალურ შინაარსს.

პირველადი მნიშვნელობით სესხის ხელშეკრულება განიხილებოდა

2 DCFR_IV.E-1:101 Scope. (2) A loan contract is a contract by which one party, the lender, is obliged to provide the other party, the borrower, with credit of any amount for a definite or indefinite period (the loan period) in the form of a monetary loan or of an overdraft facility and by which the borrower is obliged to pay interest or any other kind of remuneration the parties agreed upon.

3 სესხის ხელშეკრულების ცნება იხ: ლატვიის სკ-ის 6.870 მუხლში, საბერძნეთის სკ-ის 806-ე მუხლში; ესპანეთის სკ-ის 1740-ე მუხლში, იტალიის სკ-ის 1813-ე მუხლი.

4 მაგალითად ლიტვის სკ-ის 6.870- მუხლი აწესრიგებს სესხს, ხოლო 6.881 საკრედიტო ხელშეკრულებას. პოლონეთის კანონმდებლობით სესხის ხელშეკრულების ცნება ეხება სკ-ის 720-ე მუხლის 1 ნაწილი, ხოლო საკრედიტო ხელშეკრულება რეგულირდება ცალკე კანონით – ბანკების შესახებ, 69-70 მუხლებით

როგორც რეალური ხელშეკრულება. მისი დადება და იურიდიული ძალის მინიჭება უკავშირდებოდა ნივთის ან ფულის გადაცემას. სესხის ხელშეკრულების ამგვარი კონცეფცია კვლავ აქტუალურია შეზღუდული რაოდენობის ქვეყნებში, ძალიან ცოტა ქვეყნები განიხილავენ სესხის ხელშეკრულებას როგორც რეალურ ხელშეკრულებას – „contracts reals“. რეალური სესხის ხელშეკრულება გულისხმობს ობიექტის ფიზიკურ გადაცემას, როგორც ხელშეკრულების ნამდვილობისა და იურიდიული ძალის პირობას. საფრანგეთის, ბელგიის კანონმდებლობა მხარს უჭერს სესხის ხელშეკრულების რეალურ კონცეფციას. ლატვიის კანონმდებლობით სესხის ხელშეკრულება განიხილება როგორც რეალური ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის და ითვლება რომ დაიდო ფულის ან ნივთის გადაცემის მომენტიდან.⁵ ასეთივე მიდგომა არსებობს იტალიის კანონმდებლობაში, ვინაიდან მხოლოდ ჩეკის გადაცემა არ გულისხმობს რომ თანხა გადაცემულია, ჩეკის გადაცემა არ არის საკმარისი სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის.⁶

საფრანგეთში სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით მოხდა რეალური და კონსესუალური სესხის ხელშეკრულების გამიჯვნა ერთმანეთისაგან. სესხის ხელშეკრულება ნაწილობრივ არის კონსესუალური, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის პროფესიონალი კრედიტორი (მაგ. ბანკი). სესხის ხელშეკრულების დადების პროცესი ორი ეტაპისაგან შედგება. შეთანხმების ძალით კრედიტორი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მსესხებელს ფულადი თანხა, ხოლო მსესხებელი თავის მხრივ ვალდებულია დააბრუნოს ვალი. სამართლებრივი თეორიისა და პრეცედენტების საფუძველზე საბერძნეთში სესხის ხელშეკრულება უნდა შესრულდეს – *in re*. საბერძნეთის თანამედროვე სამართლებრივი თეორია მხარს უჭერს სესხის ხელშეკრულების კონსესუალურ ხასიათს.

იმისდა მიხედვით რა არის სესხის ხელშეკრულების საგანი ნივთი თუ ფულადი თანხა, ეს ფაქტი გავლენას ახდენს სესხის ხელშეკრულების კლასიფიკაციაზე რეალურ ან კონსესუალურ გარიგებად. როგორც წესი სესხი ნივთის დროებით გადაცემით არის რეალური გარიგება, ხოლო სესხი ფულადი თანხის გადაცემით უმრავლეს შემთხვევებში მიიჩნევა კონსესუალურ გარიგებად, ვინაიდან თანხის გადაცემას წინ უსწრებს მხარეთა შეთანხმება ფულადი თანხის გადაცემის შესახებ. ამ შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების ძალაში შესვლის

5 ლატვიის სკ-ის 6.870-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

6 DCFR – 2460

ფაქტზე, კერძოდ სესხის ხელშეკრულება ძალაშია თანხის გადაცემის თუ შეთანხმების მომენტიდან.

უმრავლესი ქვეყნების კანონმდებლობით და იურიდიულ დოქტრინაში სესხის ხელშეკრულება მიიჩნევა კონსესუალურ გარიგებად.⁷ სესხის ხელშეკრულება განიხილება, როგორც ორმხრივი (ბილატერალური) და კონსესუალური შეთანხმება.

რეალური ხელშეკრულება მიიჩნევა ცალმხრივ ხელშეკრულებად. ერთადერთი ვალდებულება ამ დროს გულისხმობს მსესხებლის მოვალეობას დააბრუნოს თანხა. თუკი ხელშეკრულება კონსესუალური ხასიათისაა, ის განიხილება როგორც ორმხრივი ხელშეკრულება. უმრავლეს ქვეყნების კანონმდებლობით სესხის ხელშეკრულება განიხილება, როგორც ორმხრივი ხელშეკრულება, რომელშიც ჩართულია კრედიტორის მოვალეობა გადასცეს მსესხებელს თანხა, ხოლო მსესხებელი თავის მხრივ ვალდებულია დაუბრუნოს მას აღნიშნული თანხა.

საერთო სამართალში სესხი ორმხრივი ხელშეკრულებაა. შეთანხმება აუცილებელი ეტაპია ხელშეკრულების ძალაში შესასვლელად. შეთანხმება გულისხმობს ერთ-ერთი მხარის მიერ მომგებიან პირობაზე დათანხმებას ან უფლებას უარი თქვას არამომგებიან პირობებზე. ეს გულისხმობს, რომ მხოლოდ ერთი მხარის თანხმობა სახელშეკრულებო პირობებზე არ მიიჩნევა მხოლოდ მერე მხარისათვის და შესაბამისად ხელშეკრულება არ არსებობს შეთანხმების განზრახვის – consideration გარეშე.⁸

3. სესხის ხელშეკრულება სარგებლობის

თუ საკუთრების ხელშეკრულება

ევროპის უმრავლეს ქვეყნებში ფულადი სესხის ხელშეკრულება კვალიფიცირდება როგორც დროებითი სარგებლობის ხელშეკრულება.

უნდა აღინიშნოს, რომ თუკი მოვალე ვალდებულია დააბრუნოს ან „აღადგინოს“ პირველადი მდგომარეობა უმრავლესი ევროპული კანონმდებლობის თანახმად სესხის ხელშეკრულების არ განიხილება როგორც აღდგენითი ხასიათის ხელშეკრულება. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, როდესაც მოვალე სესხის ხელშეკრულების ვადის ბოლოს აღადგენს

⁷ გერმანიის სკ-ის 488-ე და 607-ე პარაგრაფები, შვეიცარიის, ინგლისის, ესპანეთის კანონმდებლობა.

⁸ Principles, definitions and model rules of European private law, Volume 3 Bar, Christian von Clive, Eric M., Full. ed. Munich, Sellier Europ. Law Publ. 2009, 2461

თანხის დაბრუნებით კრედიტორის მდგომარეობას იმავე თანხის დაბრუნებით ან ნივთის გადაცემით, ეს ფაქტი არის დროებითი სარგებლობის ხელშეკრულების ლოგიკური დასასრული და არა აღდგენითი გარიგება.

ევროპულ იურიდიულ დოქტრინაში სესხის ხელშეკრულება განიმარტება, როგორც დროებითი სარგებლობის ხელშეკრულება, მაშინ როდესაც ქართველი კანონმდებელი უფრო ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს მსესხებელს და პრაქტიკულად ის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში უთანაბრდება მესაკუთრეს თავისი უფლებამოსილებით.

ევროპული კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებლისათვის სარგებლობის უფლების გადაცემას საკუთრების უფლების გადაცემისაგან. შვეიცარიის სამართალში სამომხმარებლო სესხისა და ფულადი სესხის დროს საკუთრების უფლება მსესხებელს გადაეცემა დროებით სარგებლობის უფლებასთან ერთად.

სამომხმარებლო სესხის დროს სარგებლობის შინაარსის სხვა სანივთო უფლებები მხოლოდ მაშინ გადაეცემა მსესხებელს თუ მოსარგებელე მათ თაობაზე ცალკე მიადწევს შეთანხმებას. შემთხვევითი დაღუპვის რისკი წარმოეშობა მსესხებელს. სესხის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მსესხებელს შეუძლია გაასხვისოს ნივთი. მსესხებლის მიერ ნასეხები თანხის განკარგვის შესაძლებლობა გულისხმობს რომ მოვალე ვალდებულია შეინარჩუნოს და დააბრუნოს არა იგივე ნივთი ან თანხა, არამედ სესხის ხელშეკრულების საგანი იმავე ღირებულებით რაც მას ხელშეკრულების დასაწყისში გააჩნდა.

სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკუთრების უფლების გადაცემა განსაზღვრავს სესხის ხელშეკრულების ერთ თავისებურებას, რომ სესხის ხელშეკრულებით გადაცემას ექვემდებარება ის ნივთები, რომელზედაც საკუთრების უფლების გადაცემა შესაძლებელია ყოველგვარი ფორმალობის დაცვის გარეშე და მხოლოდ ფაქტობრივი გადაცემა საკმარისია საკუთრების უფლების წარმოშობისათვის. აქედან გამომდინარე მსესხებელს გადაეცემა ფული ან/და გვაროვნული ნივთი, რომელიც შესაძლებელია განიკარგოს მსესხებლის შეხედულებისამებრ.

4. სესხის ხელშეკრულების ფორმალური მოთხოვნები

სესხის ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით ყოველთვის იწვევს გაკვირვებას სამოქალაქო კოდექსში არსებული ნორმები, რომელიც სესხის შეპირებისათვის ითვალისწინებს წერილობით ფორმას,

კერძოდ, სკ-ის 628-ე მუხლის თანახმად სესხის შეპირება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხოლო სსკ-ის 626-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად კი სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. რათქმაუნდა სკ-ის 626-ე მუხლი დისპოზიციურია თავისი შინაარსით, მიუხედავად ზეპირი სესხის ნამდვილობისა მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოიყენონ წერილობითი ფორმა, ვინაიდან მხარეთა შორის დავის შემთხვევაში მოწმეთა ჩვენება სასამართლო პროცესზე მხედველობაში არ მიიღება. თანამედროვე ეტაპზე პრაქტიკულად არ ვხვდებით სესხის ზეპირ ფორმას, ვინაიდან სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეები ყოველთვის დაინტერესებულნი არიან სახელშეკრულებო ურთიერთობის დასაწყისში შექმნან ფინანსური ვალდებულების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება.

ქართველმა კანონმდებელმა რატომღაც არ აირჩია ევროპულ კანონმდებლობაში სესხის ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრის გზა, რომელიც დამოკიდებულია სესხის ოდენობაზე. მხარეთა ინტერესი განაპირობებს ხელშეკრულების ფორმის სახეს, რაც უფრო დიდია თანხის მოცულობა, მით უფრო იზრდება აუცილებლობა წერილობითი შეთანხმებით დადასტურდეს მხარეთა შორის სახელშეკრულებო კავშირი.

ქვემოთ მოყვანილი ცალკეული ქვეყნების მაგალითები სასარგებლო ნიშნში იქნება ქართველი კანონმდებლისთვის რათა მომავალში სრულყოფილად ჩამოყალიბდეს სესხის ხელშეკრულების ფორმის მომწესრიგებელი ნორმა.

პორტუგალიაში სკ-ის 1143-ე მუხლის თანახმად, კერძო პირებს შორის სესხის შემთხვევაში თუ სესხის თანხა 2000 ევროზე ნაკლებია, ფორმის დაცვა არ არის სავალდებულო მოთხოვნა. 2000 დან 20000 ევრომდე სესხის შემთხვევაში წერილობითი ფორმა სავალდებულოა, ხოლო 20000 ევროზე ზემოთ ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს ნოტარიალურად.⁹

პოლონეთის სკ-ის 720-ე პარაგრაფის 1 ნაწილის თანახმად: "სესხის ხელშეკრულებით, კრედიტორი გადასცემს ფულს ან საქონელს საკუთრებაში მოვალეს, რომელიც ვალდებულია დააბრუნოს იმავე ოდენობის თანხა ან იმავე სახისა და ხარისხის საქონელი". თუ სესხის თანხა აღემატება 5 ათასს ზლოტს, სესხის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით.¹⁰

9 www.lexadin.nl

10 www.kodeks-cywilny.pl

5. სესხის ხელშეკრულების სახეები

სესხის ხელშეკრულება ფართო ტერმინია, რომელის ქვეშ იგულისხმება როგორც სამომხმარებლო მიზნით თანხის გადაცემის შემთხვევები, რომელიც შესაძლებელია ითვალისწინებდეს ფიქსირებული თანხის დაბრუნებას ნაწილნაწილ ან ხელშეკრულების ვადის ბოლოს ასევე ნივთის გადაცემა დროებით სარგებლობაში. ევროპული ქვეყნების კანონმდებლობასა და იურიდიულ დოქტრინაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ შემდეგი სახის სესხის ხელშეკრულებას:

პირველი, სესხის სარგებლობისათვის – გამსესხებელი ვალდებულია იღებს გადასცეს მსესხებელს ნივთი სარგებლობით მომავალში დაბრუნების პირობით, განსაზღვრული დროით ან/და განსაზღვრული მიზნით.

მორე, სამომხმარებლო სესხი – გამსესხებელი გადასცემს მსესხებელს გარკვეულ სამომხმარებლო თვისებების მქონე ნივთს. მსესხებელი ვალდებულია შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ დააბრუნას იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. მსესხებელმა გამსესხებელს ნივთით სარგებლობის შესაძლებელია მინიჭოს უსასყიდლოდ.

არსებითი განსხვავება ამ ორი სახის სესხს შორის მდგომარეობს იმაში, რომ სარგებლობის შინაარსის სესხის დროს მსესხებელი მოითხოვს იმ ნივთის დაბრუნებას, რომელიც სესხის საფუძველზე იქნა გადაცემული, აქედან გამომდინარე სარგებლობის სესხის შესრულება ყოველთვის ხდება – *in individuo*. სამომხმარებლო სესხის დროს კი მთვარია დაბრუნდეს შეთანხმებით განსაზღვრული რაოდენობისა და თვისების ნივთი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მართალია არ არის გათვალისწინებული სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება თუმცა კოდექსის 370-ე მუხლის თანახმად საუბარია სამომხმარებლო კრედიტიზე, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ურთიერთდაკავშირებულ გარიგებაზე. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად სამომხმარებლო კრედიტთან გვაქვს საქმე, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულება საკრედიტო ხელშეკრულებასთან ერთად ქმნის ურთიერთდაკავშირებულ გარიგებას, თუ კრედიტი ემსახურება შესასყიდი ფასის დაფინანსებას და ორივე ხელშეკრულება განიხილება როგორც ერთიანი ეკონომიკური მიზნით განპირობებული სახელშეკრულებო კავშირი.

მესამე, ფულადი სესხი, რომელიც წარმოადგენს სამომხმარებლო სესხის სახესხვაობას, რომლის დროსაც ხდება ნივთის ნაცვლად ფულა-

დი თანხის გადაცემა დროებით სარგებლობაში.¹¹ საქართველოს კანონმდებლობით ფულადი შინაარსის სასესხო ვალდებულებათა სამართლებრივი რეგულირებისათვის სკ-ში გათვალისწინებულია სესხისა და საბანკო კრედიტის ხელშეკრულება. სესხის ხელშეკრულების სახესხვაობად განიხილება ლიზინგის, იჯარის, ფრეშიაზინგის ურთიერთობები. თუმცა სპეციფიკური შინაარსიდან გამომდინარე მასზე ვრცელდება სპეციალური სამართლებრივი რეგულირების წესები.

კერძო სამართალში სასესხო ურთიერთობის სამართლებრივ ბუნებასთან მიხედვით შინაარსიდან გამომდინარე განიხილება ფაქტორინგის, იჯარის, ფასდაღკების სამართლებრივი კონსტრუქციები თუმცა სპეციალური სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე არ ხდება მისი დასახსიათება, როგორც სესხის ნაირსახეობა, ანალოგიური მიდგომა არსებობს დოკუმენტური კრედიტისა და საბანკო გარატნიის შემთხვევაში.

6. ევრო დირექტივა სამომხმარებლო კრედიტის შეთანხმებაზე.

ევროპის მასშტაბით დიდი ხანია დაწყებულია სამეცნიერო მუშაობა კერძო სამართლის ინსტიტუტების რეფორმირებისა და სრულყოფის მიზნით. ევროპული კერძო სამართალში განხორციელდა სასესხო ვალდებულებების სახეობად დაყოფა, რომელიც ექვემდებარება სპეციალური რეგულირების წესს.

2000 წელს მიღებულ იქნა ევროდირექტივა „სამომხმარებლო კრედიტზე შეთანხმების შესახებ“.¹² დირექტივამ ხელი შეუწყო სასესხო საკრედიტო სფეროში ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას. პირველი მუხლის თანახმად დირექტივის მიზანია სამართლის ცალკეული ასპექტების, რეგულირებისა და წევრი სახელმწიფოების პროფესიული ადმინისტრირების წესების ჰარმონიზაცია, რომელიც ეხება მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებას.

დირექტივა არეგულირებს ისეთი სახის საკრედიტო ურთიერთობებს, სადაც მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც საკრედიტო შეთანხმებას დებს საკუთარი საჭიროებისათვის, ყოველგვარი სავაჭრო,

11 DCFR _ IV.E-1 : 101 (3) A monetary loan is a fixed sum of money which is lent to the borrower and which the borrower agrees to repay either by fixed instalment or by paying the whole sum at the end of the loan period.

12 Directive 2008/48.EC on Credit agreements for consumer-, 2010 წლის ივნისში იგვემბა მისი გადახედა.

საქმიანი ან პროფესიული მიზნის გარეშე.¹³

მე-2 მუხლის თანახმად დირექტივა არ ვრცელდება ისეთი სახის კრედიტებზე, როგორცაა:

- საკრედიტო შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით ან სხვა სახის უზრუნველყოფის საშუალებებით, რომელიც რეგულირდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობით;

- საკრედიტო შეთანხმებები, რომელიც დაკავშირებულია მიწის ან სხვა სახის უძრავი ქონების შესყიდვაზე ან შენახვაზე;

- საკრედიტო შეთანხმებები რომელის ოდენობა მერყეობს 200 დან 75000 ევრომდე;

- იჯარისა და ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ საკრედიტო შეთანხმებებზე;

- საკრედიტო შეთანხმებას, რომელიც არსებობს ოვერდრაფტის სახით ერთ თვეზე მეტი ვადით;

- საკრედიტო შეთანხმებები, რომელშიც პროცენტზე შეთანხმება თავისუფალია და რომელიც უნდა დაიფაროს არანაკლებ სამ თვეში;

- საკრედიტო შეთანხმება, რომელიც იდება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, ყოველგვარი საპროცენტო შეთანხმების გარეშე, რომლის დადგენაც ხდება პრივილეგიის სახით და რომლის შეთავაზება არ ხდება საჯაროდ;

- 2004/39/EC დირექტივით განსაზღვრული საინვესტიციო კომპანიებთან დადებულ საკრედიტო შეთანხმებაზე;

- 2006/48/EC დირექტივით განსაზღვრულ საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებულ საკრედიტო შეთანხმებაზე;

- საკრედიტო შეთანხმება, რომელიც მიღწეულ იქნა სასამართლოს ან სხვა კანონიერი ორგანოს მეშვეობით;

- საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს განსხვავებული სახის გადახდებს, თავისუფალია პროცენტისაგან და იდება არსებული ვალის დასაფარად;

- საკრედიტო შეთანხმებაზე, რომელიც უზრუნველყოფილია მომხმარებლის დეპოზიტით და მომხმარებლის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება დაგირავებული თანხით.

13 Principles, definitions and model rules of European private law : Draft Common Frame of Reference (DCFR) / prepared by the Study Group on a European Civil Code and the Research Group on the EC Private Law (Acquis Group). Ed. by Christian von Bar ; Eric Clive and Hans Schulte-Nölke _ Outline ed.. _ München : Sellier, 2009. – Volium 3, 2455-2456.

7. ფულადი სესხი და ოვერდრაფტი

ტერმინი სესხის ხელშეკრულება ასევე მოიცავს ოვერდრაფტს.¹⁴ მიუხედავად იმისა, რომ რომ ფულადი სესხი და ოვერდრაფტი განიხილება, როგორც სესხის ხელშეკრულების სახეები, მათ შორის არსებობს განმასხვავებელი ნიშნები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს იმაში რომ ფულადი სესხის შემთხვევაში მსესხებელი იღებს ფიქსირებულ თანხას, რომელიც დაბრუნებულ უნდა იქნეს შეთანხმებულ პერიოდში.¹⁵

ოვერდრაფტის შემთხვევაში მსესხებელს შეუძლია გარკვეულ ლიმიტამდე მოიპოვოს თანხა, რომელიც მის ანგარიშზეა. არსებული საკრედიტო თანხის მოცულობა გამოიყენოს საკუთარი შეხედულებისამებრ, რომლის ლიმიტი წინასწარ არის დადგენილი. მსესხებელს შეუძლია სრულად ისარგებლოს ოვერდრაფტის ფარგლებში დადგენილი თანხით, ან ოვერდრაფტის განმავლობაში საერთოდ არ გამოიყენოს იგი. ოვერდრაფტი გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა, მისი გამოყენება სასურველია როდესაც მსესხებელმა წინასწარ არ იცის რა მოცულობის თანხა დაჭირდება, პროცენტის გადახდაც მხოლოდ მაშინ არის საგადადებულო თუ ოვერდრაფტის გზით სესხის რეალური მიღება მოხდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, მსესხებელი ისარგებლებს თუ არა ოვერდრაფტით დადგენილი თანხით მომსახურების გადასახადის გადახდა მაინც ხდება.

ფულადი სესხისაგან განსხვავებით ოვერდრაფტის შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია ვიდრე ჩვეულებრივი სესხის დროს. ოვერდრაფტს გააჩნია რეკოლვერული ხასიათი, მისი გამოყენება შესაძლებელია პერიოდულად, ისე რომ ნასესხები თანხა არ უნდა აღემატებოდეს ოვერდრაფტით დადგენილ ლიმიტს. გამსესხებელსა და მსესხებელს შეუძლიათ შეთანხმდნ ოვერდრაფტის განსხვავებულ შინაარსზე შეზღუდული ოდენობით ან რეკოლვერულ ოვერდრაფტზე, ან საერთოდ უარი თქვან ოვერდრაფტის დადგენაზე.

8. სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის სათაური

14 იხ. გსკ-ის 493-ე პარაგრაფი.

15 DCFR IV.F.-1 : 101 (4) An overdraft facility is an option for the borrower to withdraw funds on a fluctuating, limited basis from the borrowers current account in excess of the current balance of the account. Unless otherwise determined, an overdraft facility to use this facility over and over again.

შესაძლებელია შეფასდეს ერთგვარ საკანონმდებლო ხარვეზად, კერძოდ მუხლის სათაური „ხელშეკრულების შეწყვეტა და ვალის დაბრუნება“, იწვევს გარკვეულ გაუგებრობას ვინაიდან ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების საფუძველზე შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს, რომ ვალის დაბრუნება და ხელშეკრულების შეწყვეტა სესხის ხელშეკრულების დასრულების სხვადასხვა სამართლებრი საფუძველია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების შეწყვეტის თითოეული ზოგადი შინაარსის საფუძველი ვრცელდება ასევე სესხის ხელშეკრულებაზეც.

კანონმდებლის მიერ დადგენილი წესით ვალის დაბრუნება როგორც ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი გამომდინარეობს სკ-ის 427-ე მუხლიდანაც, რომ ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება). შესრულება როგორც ვალდებულების შეწყვეტის გავრცელებული საშუალება ვრცელდება, ასევე სესხის ხელშეკრულებაზე. ვალის დაბრუნება როგორც სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალის ძირითადი ვალდებულება, იწვევს სასესხო ვალდებულების შესრულებას რომელის ცალკე სპეციალურ მუხლში გათვალისწინება იწვევს ურთიერთობის მარეგულირებელი წესების განმეორებას. მიუხედავად იმისა, რომ 626-ე მუხლის სათაურისა ნორმის შინაარსი ეხება სრულიად სხვა საფუძველებს სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

9. სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის ცალკეული საფუძველები

სასესხო ურთიერთობებთან დაკავშირებულ პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება უვადო ან განუსაზღვრელი ვადით დადებული სესხის ხელშეკრულების შემთხვევები, თუმცა კანონმდებელი ცალკე გამოყოფს იმ ფაქტობრივ შემთხვევას, როდესაც მხარეთა შორის სავალო ურთიერთობა ვადით არ არის შეზღუდული.

სკ-ის 626-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნებულ უნდა იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას. კანონმდებელი ხელშეკრულების შეწყვეტის საკმაოდ ხანგრძლივ ვადას აწესებს სკ-ის 626-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1 წინადადების თანახმად ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს. სასესხო ურთიერთობა, რომელიც დინამიურ სახელშეკრულებო ურთიერთობათა რიგს

განეკუთვნება, სამი თვე გარკვეულწილად საფუძვლიანად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ხელშეკრულების შეწყვეტის ხანგრძლივ ვადად. მითუმეტეს, რომ კანონმდებლის მიერ არ არის დადგენილი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის სამოვიანი ვადის განმავლობაში განაგრძობს თუ არა სესხის ძირითად თანხაზე სარგებლის დარიცხვა. სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის სამოვიანი ვადა მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია სხვაგვარადაც განისაზღვროს.

10. სესხის ხელშეკრულებაში სარგებელი – პროცენტი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში პროცენტის მარეგულირებელი ნორმები არსებითად შეიცვალა. ბოლო მდგომარეობით სამართლებრივი რეგულირება ითვალისწინებს უფრო მეტი ხარისხით სახელშეკრულებო თვისუფლების დადგენას პროცენტთან მიმართებაში ვიდრე ამას კოდექსის პირველად რედაქციაში ჰქონდა ადგილი. სამოქალაქო კოდექსის პირველადი რედაქცია ითვალისწინებდა პროცენტის კანონისმიერი კონტროლის შესაძლებლობას, რომელიც ნორმატიულ ფარგლებში აქცევად სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს და უზრუნველყოფდა შეუსაბამოდ მაღალი სარგებლის მიღების შემთხვევების აღკვეთას.

1997 წლიდან პროცენტთან დაკავშირებით არსებობდა სსკ-ის 869-ე მუხლი რომელიც კანონისმიერ პროცენტს ეხებოდა. კანონისმიერი პროცენტის წარმოშობის საფუძველი, საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა იყო, რომელსაც მოვალის მიერ სესხის დაბრუნების ვადის გადაცილება ელო საფუძველად. ასეთ შემთხვევებში დავალიანების თანხას უნდა დარიცხვოდა ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე შესაბამისი პერიოდისათვის ფიქსირებული საპროცენტო (ან სადისკონტო) განაკვეთის 3% ოდენობით გადიდებული თანხა. 2007 წლის 29 ივნისიდან საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად 869-ე მუხლი ამოღებულ იქნა სამოქალაქო კოდექსიდან.

სამოქალაქო კოდექსში კანონისმიერი პროცენტის გაუქმება შესაძლებელია შევაფასოთ, როგორც გერმანული სისტემიდან ამერიკულ სისტემაზე გადასვლის ფაქტი. ინგლისისა და აშშ კანონმდებლობა არ იცნობს კანონისმიერი პროცენტის სახეს. გადახდას დაქვემდებარებული პროცენტის კანონიერების საკითხის შესწავლა განეკუთვნება სასამართლო კომპეტენციას. საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში დაწესებულია სასამართლო კონტროლი არაკეთილსინდისიერების სა-

ფუძველზე განსაზღვრულ პროცენტზე. თუმცა აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო რეგლამენტაციაც არსებობს.¹⁶

განსხვავებით საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებისაგან, ევროპული ქვეყნების კანონმდებლობაში არსებობს პროცენტის განსაზღვრის სხვადასხვა საშუალებები. ევროპის წვერი ქვეყნების კანონმდებლობაში მართალია პროცენტთან დაკავშირებულ დომინირებს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში ექვემდებარება კანონისმიერ კონტროლს.

ზოგიერთი ქვეყანა განსაზღვრავს პროცენტის მაქსიმალურ ოდენობას, რომლის ფარგლებში მხარეებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ სახელშეკრულებო შეთანხმებას პროცენტზე. სამართლებრივ სისტემებში არსებობს საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო კონტროლის მექანიზმები. საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრი დადგენილია საფრანგეთში, გერმანიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში.

პროცენტის გადახდა ყოველთვის არ არის მოვალის სახელშეკრულებო ვალდებულება. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით პროცენტის განსაზღვრა მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლებიდან გამომდინარე მათ შეთანხმებაზე დამოკიდებული.¹⁷

ზოგიერთ ქვეყანაში წერილობითი სესხის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს პროცენტზე შეთანხმების აუცილებლობას.¹⁸

სესხის ხელშეკრულების ცნებიდან გამომდინარე, იგულისხმება, რომ გამსესხებელს როგორც წესი სესხის გაცემის დროს შეუძლია მოითხოვოს პროცენტი ან სხვა სახის ანაზღაურება. სესხის ხელშეკრულებაში პროცენტი, როგორც სარგებელი მთლიანად კრედიტორის ცალმხრივ ნებაზეა დამოკიდებული მოხდება თუ არა მისი შემოტანა სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ზოლო ოდენობის განსაზღვრა მხარეთა ურთიერთშეთანხმებით უნდა მოხდეს.

მსესხებლის მიერ პროცენტის გადახდა, განიხილება, როგორც საფასური თანხით სარგებლობისათვის. გერმანულ სამართალში ამ თეორიას

16 იხ. ინგლისის 1974 წლის სამომხმარებლო კრედიტის შესახებ კანონის 137-140-ე მუხლები

17 მაგ. პროცენტის თავისუფლად განსაზღვრა შესაძლებელია საბერძნეთის სკ-ის 807-ე მუხლით, იტალიის სკ-ის 1815-ე მუხლით. Codice civile (engl.) The Italian civil Code, Transl. by Mario Beltramo, Giovanni E. Longo, John Henry Merryman, Dobbs Ferry, Oceana, 1969-1978, 451.

18 იხ. ესპანეთის სკ-ის 1755-ე მუხლი. interest shall only be owed when it has been expressly stipulated. Código Civil <engl.> Civil Code of Spain, bilingual edition, [transl.] by José Luis de San Pío I. ed., Madrid, Publisher, Internat. Legal Publ. 2009. 639.

ქვია – გამოყენების თეორია.¹⁹ პროცენტის ოდენობის საკითხი ერთ-ერთი პრობლემური საკითხია საკრედიტო ურთიერთობებში. პროცენტი, როგორც კაპიტალით სარგებლობის საფასური გათვალისწინებულია DCFR-ში.²⁰ პროცენტი ეს არის კომპენსაცია ფულადი საშუალებების დროებითი „დაკავებისათვის“. საკითხის ამგვარი განხილვას ეთანხმება საფრანგეთისა და ბელგიის სამართალი, ფაქტი, რომ პროცენტი არის გამსესხებლის მოთხოვნის საფასური.

პროცენტი სესხის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია არა მხოლოდ სარგებლის მნიშვნელობით არამედ პროცენტზე შეთანხმება შესაძლებელია გახდეს სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოშლის საფუძველი.

სსკ-ის 626-ე მუხლი 2-ე ნაწილის თანახმად თუ პროცენტები არ არის შეპირებული, მოვალეს შეუძლია ვალი დააბრუნოს ვადამდე. საპირისპირო შემთხვევაში, კი მისი შეწყვეტა უკავშირდება მხარეთა კონსუსუს და კრედიტორის ნებას: „პროცენტიანი სესხის ვადამდე დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი შეთანხმებით ან გამსესხებლის თანხმობით.“

თანამედროვე პირობებში სესხის ხელშეკრულება წარმოუდგენელია საპროცენტო შეთანხმების გარეშე.

ევროპის უძრავლეს ქვეყნებში ფულადი სესხის ხელშეკრულება განიხილება, როგორც მავალდებულებელი ხელშეკრულება. მაგალითად გერმანიისა და შვეიცარიის კანონმდებლობით პროცენტზე შეთანხმება განიხილება, როგორც „მეორადი“ ვალდებულება, რომელიც დამოკიდებულია „პირველადი“ ვალდებულების საფუძველზე მოვალისათვის ფულადი თანხის გადაცემაზე. სასესხო ვალდებულებაში პროცენტის გადახდის „კაუზა“ გამოიხატება მოვალისათვის თანხის გადაცემაში.

19 Nutzungstheorie – ob. 2461

20 IV.F. _ 1:104; interest. (1) The borrower is obliged to pay interest or any other kind of remuneration according to the terms of contract. (2) If the contract does not specify the interest payable, interest is payable unless both parties are consumers. (3) Interest accrues day by day from date the borrower takes up the monetary loan or makes use overdraft facility but is payable at the end of the period or annually, whichever occurs earlier. (4) Interest payable according to the preceding paragraph is added to the outstanding capital every 12 months. Principles, definitions and model rules of European private law : Draft Common Frame of Reference (DCFR) / prepared by the Study Group on a European Civil Code and the Research Group on the EC Private Law (Acquis Group). Ed. by Christian von Bar ; Eric Clive and Hans Schulte-Nölke _ Outline ed.. _ München : Sellier, 2009. – Volume 3, 2466.

11. დაუყოვნებელი მოთხოვნის უფლება

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შემოწმება შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ცალკე წინასახელშეკრულებო სტადია, რომელსაც „ფრთიხილი“ კრედიტორი ყურადღებით ეკიდება. რამდენად ზედმიწევნით ხდება მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შემოწმება ეს დამოკიდებულია კრედიტორის სპეციალურ ცოდნაზე, ვინაიდან მოვალის გადახდისუნარიანობის შემოწმება გარკვეულ ცოდნასა და ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

გულმოდგინე კრედიტორი, რომელიც მიზნად ისახავ მოვალის გადახდისუნარიანობის შემოწმებას არის არჩევანის წინაშე, რომელი წყარო შეუქნის მას ზუსტ და უტყუარ წარმოდგენას მოვალის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

საქმეს ართულებს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არ არსებობს ფიზიკური პირის გაკოტრებულად გამოცხადების მომწესრიგებული ნორმები. სახელშეკრულებო ურთიერთობის დასაწყისში კრედიტორი როგორც წესი ამოწმებს მოვალის ქონებრივ მდგომარეობას. მათი შინაარსი შესაძლებელია იყოს სხვადასხვა: აქვს თუ არა მოვალეს მუდმივი შემოსავალი (სამსახური ან სხვა სახის დასაქმების შესაძლებლობა), გააჩნია თუ არა მას სტაბილური საკრედიტო ისტორია ანუ ითვლება თუ არა იგი კარგადამხდელად, აქვს თუ არა მოვალეს ლიკვიდური ქონება საკუთრებაში, ხომ არ არის მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ან ხომ არა არის ის ნასამართლევი, არის თუ არა ის მოვალეთა რეესტრში, ხომ არ ადევს მის უძრავ ან მოძრავ ქონებას ყადაღა.

კრედიტორის მხრიდან მოვალის გადახდისუნარიანობის შემოწმების სპექტრი ძალიან ფართოა, თითოეული საფუძველი შესაძლებელია არ არსებობდეს ხელშეკრულების დადების ეტაპზე და მოგვიანებით დადგეს მოვალის წინაშე, აქედან გამომდინარე სწორედ მოვალის გადახდისუნარიანობის სურათის შესაქმნელად არსებული საფუძველების სიმრავლე იწვევს აუცილებლობას სესხის გაცემა განხორციელდეს ქონების უზრუნველყოფის საფუძველზე.

მიუხედავად სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა გამსესხებელს კრედიტორს კანონმდებელი უფლებას აძლევს ვადაზე ადრე შეწყვიტოს სესხის ხელშეკრულება, რაც მისი მხრიდან ვალის დაუყოვნებლივ მოთხოვნაში გამოიხატება. სსკ-ის 627-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა

არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში რაში გამოიხატება მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის არსებითად გაუარესება ცალკე შეფასების საგანი უნდა გახდეს და ის საფუძვლად არ უნდა დაედოს კრედიტორის მოჩვენებით და წარმოსახვით არგუმენტებს მოვალის ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ.

კრედიტორის გადაწყვეტილებაზე მოვალის ქონებრივი მდგომარეობა სხვადასხვა შინაარსით ახდენს გავლენას. ხელშეკრულების დადებაამდე მას უფლება აქვს მოვალის არასტაბილური ფინანსური მდგომარეობის ან სხვა ობიექტური საფუძვლით საერთოდ უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე, ან მოგვიანებით ხელშეკრულების დადების შემდეგ მან მოითხოვოს ვალის დაუყოვნებლივ დაბრუნება. სსკ-ის 627-ე მუხლის მე-2 წინადადების თანახმად კრედიტორის ეს უფლება მაშინაც არსებობს, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას, ხოლო გამსესხებლისათვის იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

ხელშეკრულების ვადაზე ადრე შესრულების მოთხოვნის უფლება წარმოშობის მსგავსი ფაქტობრივი გარემოებებით ემსგავსება ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტს, აქვე ჩნდება კითხვა გვაქვს თუ არა აქაც რესტიტუციის იმგვარი შინაარსი როგორც ამას ადგილი აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში.

ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში რესტიტუციას აქვს აბსოლუტური შინაარსი, ანუ მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ყველაფერი რაც ხელშეკრულებო ურთიერთობის დასაწყისში გადასცეს. რაც შეეხება სესხის ხელშეკრულების მაგალითზე დაუყოვნებლივ ვალის დაბრუნების მოთხოვნას, ის იწვევს მისი შესრულების შემთხვევაში კრედიტორის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, თუმცა მას კანონმდებელი არ აკისრებს მიღებული სარგებლის, მაგალითად მოვალის მიერ გადახდილი პროცენტის დაბრუნების ვალეულებას. შესაბამისად სახეზეა რესტიტუციის შემთხვევა, რომელიც მოვალის მიერ ცალმხრივად ვალის დაბრუნებაში გამოიხატება

მოვალის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება გავლენას ახდენს არამარტო სესხის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტაზე, არამედ ამ საფუძვლით შესაძლებელია უარყოფითი შედეგები მოჰყვეს სესხის შეპირებას, როგორც წინარე ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში მხედველობაშია ისეთი ფაქტობრივი სურათი, როდესაც მოვალემ მიიღო თანხმობა სესხის მიღებაზე მაგრამ მას რეალურად არ გადაცემია შეთანხ-

მებული თანხა. სსკ-ის 628-ე მუხლი კრედიტორის დაცვის ერთგვარი გარანტია, წინასახელშეკრულებო ურთიერთობა რომელიც ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას წარმოშობს, ამ შემთხვევაში მოვალის მდგომარეობის გაუარესება კრედიტორს აძლევს უფლებას უარი თქვას ხელშეკრულების ფაქტობრივად შესრულებაზე.

12. სასესზო ურთიერთობათა მოდერნიზაცია გერმანიის

სამოქალაქო კოდექსში

საუკუნეზე მეტი გავიდა რაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არსებობს,²¹ რომელიც მოდელური აქტი გხდა სხვა ევროპული და პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის თავად დადგა ცვლილებების აუცილებლობის წინაშე.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსს, რომელსაც არასოდეს არ გუნტდია თავისი არსებობის განმავლობაში მსგავსი ცვლილება, 2002 წლის 1 იანვარს. ძალაში შევიდა მისი ერთ-ერთი ნაწილის ცვლილება, „ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციის აქტის“ სახელწოდებით.²² გერმანიაში კერძო სამართლებრივი რეფორმისათვის მზადება იუსტიციის სამინისტროს თაოსნობით 1970 წლიდან დაიწყო.²³ საჯარო განხილვისათვის ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზების აქტი 2000 წელს გამოქვეყნდა.²⁴ ცვლილებების პროვოცირება გამოიწვია ევროპის სამომხმარებლო ყიდვა-გაყიდვის დირექტივამ.²⁵ რეფორმის შინაარსიდან გამომდინარე ძირეულად შეიცვალა გსკ-ის სახე, რაც განპირობებული იყო სამოქალაქო კოდექსში მომხმარებელთა დაცვის მარეგულირებელი

21 2000 წლის პირველ იანვარს გერმანიის სამოქალაქო კოდექსს ასი წელი შეუსრულდა. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი „ბოლო ნაყოფია“ კოდოფიკაციის. რომელსაც პრუსიის, საფრანგეთისა და ავსტრიის – სამი დიდი გაერთიანების ბუნებითი კანონმდებლობა დაელო საფუძვლად, მეოთხამეტე საუკუნის ბოლოს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში.

22 „ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციის“ აქტზე და 2002 წლის რეფორმაზე დაწერილებით იხ: Reinhard Zimmermann, The new German law of obligation, historical and comparative perspectives, Oxford Univ. Press, 2005, 198-205.

23 დაწერილებით გერმანიის სკ-ის რეფორმის თაობაზე იხილეთ: Hertha Däubler-Gmelin, Die Entscheidung für die so genannte Grosse Lösung bei der Schuldrechtsreform, 2001, Neue Juristische Wochenschrift 2281 ff.

24 იხ: Klaus Wiliam Canaris, Schuldrechtsmodernisierung, 2002, 3. ff

25 იხ. The European Consumer Sales Directive 1999/44 EC of the European Parliament and the Council of 25 May 1999 on certain aspects of the sale of consumer goods and associated guarantees, OJL 171/99, at 12, easily accessible in Olover Redley-Gardner, Hugh Beale, Reinhard Zimmermann and Reiner Schulze (eds), Fundamental Text of European Private law (2003), 107ff.

ნორმების ინკორპორირებით. პრაქტიკულად ახალი კანონით მოხდა ზოგადი სახელშეკრულებო (კონტრაქტის) სამართლისა და მომხმარებელთა სახელშეკრულებო სამართლის ჰარმონიზება.

სესხის ინტიტუტმა გერმანიის კანონმდებლობაში არსებითი ცვლილება განიცადა, რომელსაც საფუძვლად დაედო სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულება, რომელიც გერმანიაში მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელოვან დოკუმენტად ითვლება. გსკ-ის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ მოვალის მომხმარებლის სტატუსში გადაყვანა, რაც არსებითად ცვლის და სხვა ფაზაში გადაყავს სასესხო სამართლებრივი ურთიერთობები. გსკ-ის ძველი ნორმები, მაგალითად 607-ე პარაგრაფი და სხვები განიხილებოდა როგორც მოძველებული, თავისი შინაარსით, ვინაიდან ისინი ეყრდნობოდნენ საუკუნეების წინ დანერგილ რეალური სესხის ხელშეკრულების კონცეფციას. რომლის თანახმად ხელშეკრულება ძალაში შედიოდა საგნის (თანხის) გადაცემით. ცვლილებებს ჰყავდა, როგორც მომხრეები ასევე მოწინააღმდეგეები და ბოლოს, შემუშავდა ახალი სამართლებრივი კონსტრუქცია სესხის ხელშეკრულების, რომელიც შემდეგი სისტემით არის მოცემული გსკ-ში.

კლასიკური სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი წესები — ნივთების სესხის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია გსკ-ის 607-609 პარაგრაფებში. ხოლო სესხი, თანხის გადაცემით მოწესრიგებულია გსკ-ის 488-498 პარაგრაფებით. მოგვიანებით სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელ წესებს დაემატა წესები, რომელიც ეხება ფინანსურ დახმარებასა და განვადებით საქონლის მიწოდების ხელშეკრულებას მეწარმესა და მომხმარებელს შორის, კერძოდ სესხის ხელშეკრულებას დაემატა საბროკერო (საშუამავლო) სესხის ხელშეკრულება, რომელსაც ეხება გსკ-ის 655ა-655-ე პარაგრაფები. ფულადი შინაარსის სესხის ხელშეკრულების ნორმებმა 488-490 განიცადეს ცვლილება, კერძოდ სესხის ხელშეკრულებას დაემატა წესები, რომლებიც ეხება განვადებით სესხის გადახდის წესებს მეწარმესა და მომხმარებელს შორის. აქ ჩვენ ვხვდებით *inter alia* —სესხის ხელშეკრულების ფორმის მოთხოვნებს,²⁶ სპეციალურ წესებს „ბიზნესუბიექტების“ მიერ მომხმარებლებისათვის *vis-a-vis* ინფორმაციის მიწოდების მოვალეობაზე.²⁷ ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ფორმის დაუცველობის სამართლებრივ შედეგებს²⁸, მომხმარებლის ხელშეკრულების ანუღირების

26 გსკ-ის 492 პარაგრაფის 1 ნაწილის 1-3 ქვენაწილები.

27 გსკ-ის 492ა პარაგრაფი

28 გსკ-ის 494 პარაგრაფი: ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგები.

უფლებას,²⁹ ხელშეკრულების დარღვევისათვის პროცენტის დაკისრებისა და სესხის ნაწილ-ნაწილ გადახდევინების მარეგულირებელ წესებს.³⁰

ახალი ქვეთავი ეხება ფინანსურ საშუალებებს.³¹ ნორმების უმრავლესობა ეხება სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებას *mutatis mutandis*.³² სპეციალური წესები იქნა ინიცირებული ხელშეკრულებაში გადახდის პირობებზე (განსაკუთრებით ეს ეხება გადახდის ვადების გაზრდას) და ფინანსური ლიზინგის კონტრაქტზე.³³ მომხმარებელს მიეცა ხელშეკრულების ანუღიერების უფლება, მეწარმესა და მომხმარებელს შორის საკონტრაქტო პირობების შეთავაზება ეფუძნება გსკ-ის 505-ე პარაგრაფს. ორივე ტიპის სესხის ხელშეკრულება, საგნის გადაცემითა თუ ფულადი თანხით მიიჩნევა ცალმხრივ ვალდებულებით გარიგებად.³⁴

გსკ-ის სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი 491-506 პარაგრაფები ვრცელდება არა მარტო გსკ-ის 13-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ მომხმარებელზე, არამედ იმ პირებზე ვისაც ფინანსური საშუალებები ესაჭიროება ვაჭრობისათვის ან პროფესიული თვითდასაქმების განხორციელებისათვის. ან რომელსაც ესაჭიროება სესხი, რომლის ოდენობა ცილდება 50000 ევროს.³⁵ მომხმარებელთა სამართლებრივი დაცვის დროს გსკ-თან ერთად გამოიყენება კანონი სამომხმარებლო კრედიტის შესახებ და არა სამომხმარებლო კრედიტის შესახებ დირექტივა.³⁶

დასკვნა

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია ქართულ კერძო სამართალში სასესხო ურთიერთობების შინაარსიდან გამომდინარე მოხდეს სესხის გავრცელებული და ცალკეული სახეების ნორმატიული მოწესრიგება, მხედველობაში მაქვს სამომხმარებლო სესხისა და ოვერდრაფტის მარეგულირებელი ნორმების შემოღება სამოქალაქო კოდექსში. არსებული

29 გსკ-ის 495 პარაგრაფი: ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.

30 გსკ-ის 497-498 პარაგრაფი.

31 გსკ-ის 499-504 პარაგრაფი.

32 გსკ-ის 499 პარაგრაფის I ნაწილი.

33 გსკ-ის 499 პარაგრაფის II კავშირში 500-504-4 პარაგრაფებთან.

34 გსკ-ის 506-ე, 655-ე პარაგრაფი

35 გსკ-ის 507 პარაგრაფი.

36 იხ. Reinhard Zimmerman, *The new German law of obligations, historical and comparative perspectives*, Oxford Univ. Press, 2005, 46-48.

მწირი საკანონმდებლო წესები ვერ ასახავს არსებულ რეალობას. საბანკო და სავაჭრო ურთიერთობების თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სესხის ხელშეკრულების ცალკეული სახეების დეტალური ნორმატიული მოწესრიგება რაც ხელს შეუწყობს სამომხმარებლო ურთიერთობების სფეროში სამართლებრივი წესრიგის დამყარებას, რაც თავის მხრივ ბიზნესის სტიმულირებას განაპირობებს. ამ მიმართულებით ევროპულ კანონმდებლობაში უკვე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი საუკეთესო შესაძლებლობაა ქართულ კერძო სამართალში მომხმარებელთა და მცირე ბიზნესის სფეროში მოქმედი მარეგულირებელი ნორმების მოდერნიზაციის მიმართულებით.

ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ასპექტები

კაკაბერიძე შენგელია

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს შორის დადებული გარიგებებისა და უღაო ფაქტების დადასტურება ნოტარიუსის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს. ნოტარიუსი, არის ფიზიკური პირი რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფოებრივი საქმიანობას. აღნიშნული საქმიანობა ნოტარიუსის განსაკუთრებულ გულისხმიერებასა და დაკისრებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებას მოითხოვს. სწორედ ვალდებულებების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ზიანი, რომელიც ნოტარიუსის პასუხისმგებლობის საფუძველია. სიახლე, რომელიც 2010 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდა საქართველოში ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას ეხება.¹ წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს სამართლებრივი საკითხების ზედმიწევნითა და სრულად შესწავლა, რომელიც ეხება დაზღვევის ხელშეკრულების დადებას, მხარეთა უფლება-მოვალეობათა განაწილებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომასა და სადაზღვევო ანაზღაურებას.

1. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის საგალდებულობა. დაზღვევა ეს არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით ფორმირებული ფულადი ფონდების ხარჯზე.²სამოქალაქო სამართალი

1 1996 წლის 3 მაისის საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“ ითვალისწინებდა ნოტარიუსის სასამსახურო დაზღვევას,(მუხ.20) რომელიც ეხებოდა ნოტარიუსისა და მისი შემცველი პირის პროფესიულ დაზღვევას მუშაობის მიუღ პერიოდზე. აღნიშნული ნორმა წარმოადგენდა მკედარ ნორმას,რადგან მისი პრაქტიკული განხორციელება არ ხდებოდა. 2009 წლის 4 დეკემბერს მიღებული ახალი კანონი ნოტარიატის შესახებ (მუხ.23) ითვალისწინებს ნოტარიუსის საგალდებულო პროფესიულ დაზღვევას, რომლის საფუძველზეც საქართველოს ნოტარიუსები ვალდებული არიან დაღონ ხელშეკრულება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ. ამასთან საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 17 მარტის ბრძანების №58 „ნოტარიუსთა საგალდებულო დაზღვევის არსებითი პირობებისა და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ შეუსრულებლობა წარმოადგენს ნოტარიუსისათვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

2 იხ. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ მუხ. 3

ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევის ფორმებს ითვალისწინებს. ნებაყოფლობითი დაზღვევა მზღვეველსა და დამზღვევეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება. ნებაყოფლობითი დაზღვევა მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე ხდება, სადაც მხარეები ხელშეკრულების შინაარსისა და დადების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე თვითონ განსაზღვრავენ სურთ თუ არა ხელშეკრულების დადება და რა შინაარსის. ეს ურთიერთობები კერძო სამართლის სფეროს განეკუთვნება. ხოლო სავალდებულო დაზღვევისა დაზღვევის ობიექტი, სახეობა და განხორციელების წესი კანონმდებლობის საფუძველზე განისაზღვრება.³ სავალდებულო დაზღვევა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის სფეროს განეკუთვნება, რადგან დამზღვევის ნების გამოვლენა უგულველყოფილია და მხედველობაში არ მიიღება. პირიქით, კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობამ შეიძლება გარკვეული სანქციებიც გამოიწვიოს. ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობა სავალდებულო დაზღვევის ფორმას განეკუთვნება და ნოტარიუსი, თავისი საქმიანობის დაწყებიდან მის დამთავრებამდე ვალდებულია დააზღვიოს მისი პროფესიული პასუხისმგებლობა. დაზღვევის ასეთი ფორმის გამოყენება უზრუნველყოფს მესამე პირთა ქონებრივი ინტერესების დაცვას, ნოტარიუსისადმი უფრო მეტი ნდობის გამოჩენას და ნოტარიუსის ქონების დაცვას პროფესიული საქმიანობით გამოწვეული რისკებისაგან, რადგან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ პროფესიული საქმიანობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხშირად ნოტარიუსის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით არის ჩადენილი. ნოტარიუსი ვალდებულია მის მიერ მიყენებული ზიანი აანაზღაუროს პირადად, უშუალოდ, მთელი თავისი ქონებით. თუმცა პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები როდესაც ნოტარიუსის პირად საკუთრებაში ქონების არ არსებობის გამო სანოტარო მოქმედებათა მონაწილე პირთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ ხდება. სადაზღვევო კომპანიები ერთგვარ გარანტორად გვევლინებიან დაზარალებულთა ინტერესების დასაცავად პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს.

³ ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება საქართველოს იუსტიციის მინისტრის „ნოტარიუსთა სავალდებულო დაზღვევის არსებითი პირობებისა და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბრძანების საფუძველზე ხდება. უპირანი იქნება შეიქმნას სპეციალური კანონი ნოტარიუსთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ, რომელშიც დეტალურად იქნება განსაზღვრული ხელშეკრულების დადების წესი და პირობები, სადაზღვევო შემთხვევის ცნება და მისი ანაზღაურების წესი და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას სავალდებულო დაზღვევის შესახებ.⁴ აღნიშნული ნორმების საფუძველზე დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი, რეალური ხელშეკრულებაა, რომლის მხარეებად გამოდიან ერთი მხრივ სადაზღვევო კომპანია (შემდგომში „მზღვეველი“), რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ფორმის იურიდიული პირია, რომელსაც მოპოვებული აქვს დაზღვევის შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია და მეორეს მხრივ ნოტარიუსი, (შემდგომში „დამზღვევი“) რომელიც არის სრულწლოვანი, ქმედუნარიანი, უმაღლესი იურიდიული განათლებისა და პროფესიული გამოცდილების მქონე საქართველოს მოქალაქე. დაზღვევის ხელშეკრულების მხარედ შესაძლებელია გამოვიდეს აგრეთვე ნოტარიუსთა პალატა. იგი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ნოტარიუსთა წევრობაზეა დაფუძნებული და იცავს მათ ინტერესებს. ნოტარიუსთა პალატა – სამართლებრივი ურთიერთობის დამოუკიდებელი სუბიექტი, უფლებამოსილია დადოს სადაზღვევო კომპანიასთან ხელშეკრულება თავისი წევრის მიერ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობა სანოტარო მოქმედების შედეგად პირისათვის მიყენებული ჭიანჭრივი ზიანისათვის. ნოტარიუსის მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებები იყოფა საჯარო და კერძო აქტებად. საჯარო აქტით გარიგების დამოწმებისას ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხარეთა (წარმომადგენელთა) ვინაობა, უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა და უზრუნველყოს გარიგების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მხარეთა ნების ადეკვატური ასახვა გარიგებაში, მხარეთათვის გარიგების შინაარსის და სამართლებრივი შედეგების განმარტება, რჩევის მიცემა.⁵ კერძო აქტის ფორმით გარიგებაზე ან დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისას ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს ხელმომწერი პირის პირადობა და ქმედუნარიანობა. ამ დროს ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო.⁶

4 სამოქალაქო კოდექსი 799-858 მუხლები

5 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №71 „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, მუხ.15

6 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №71 „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, მუხ.15

ნოტარიუსის მიერ მიყენებული ქონებრივი ზიანი წარმოადგენს მართლ-საწინააღმდეგო ქმედების შედეგად სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას. მაგალითად სანოტარო მოქმედება, რომელიც ეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის არაუფლებამოსილი პირის მიერ განკარგვას, რამაც გამოიწვია მესაკუთრისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ნოტარიუსის პროფესიული პასუხისმგებლობის საფუძველია.

სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს დაზღვევის მოქმედების პერიოდში დამზღვევის, როგორც ნოტარიუსის განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედება, რაც გახდა პირისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების საფუძველი. იურიდიული დოქტრინა ბრალის ცნებას განსაზღვრავს, როგორც პირის მიერ სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნის დაცვა.⁷ ერთმანეთისგან განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას **განზრახვა და გაუფრთხილებლობა**. **განზრახვად** ითვლება მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და მისი დადგომის სურვილი.⁸ ნოტარიუსის მიერ ქმედება განზრახ ჩადენილად ჩაითვლება როცა მისთვის ცნობილია მართლსაწინააღმდეგო შედეგი და სურს კიდევ ამ შედეგის დადგომა. მაგალითად, საჯარო აქტის ფორმით გარიგების დამოწმებისას ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები და დარწმუნდეს რომ რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით დადოს გარიგება რომელიც ეხება უძრავი ნივთის განკარგვას, კერძოდ კი ნასყიდობას და არა ნივთის უსასყიდლოდ გადაცემას (ჩუქებას). კონკრეტულ შემთხვევაში ნოტარიუსის ბრალეული ქმედება გამოიხატება განკარგვის ფორმის არასწორად შერჩევაში, როცა მარწმუნებელი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებელს მოელის და ნოტარიუსისათვის ცნობილია ამის შესახებ, შეგნებულად ახდენს ნივთის უსასყიდლოდ განკარგვის (ჩუქების) ხელშეკრულების დამოწმებას. **გაუფრთხილებლობის** დროს ნოტარიუსი უგულებელყოფს სამართლებრივი ბრუნვისთვის საჭირო გულმოდგინებას. წინდახედულობის ნორმების გამოუყენებლად, ქარაფშუტულად ახდენს სანოტარო მოქმედებების შესრულებას, რაც მესამე პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტანია. სანოტარო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე უნდა აღინ-

7 იხ. ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III თბ., 2001 გვ.370

8 იხ. ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. თბ., 2006 გვ. 374

იშნოს, რომ ნოტარიუსის ბრალეულობის საკითხის განსაზღვრა არც ისე ადვილია, მითუმეტეს მაშინ როდესაც სამართლებრივი ბრუნვისთვის საჭირო გულმოდგინება მთლიანად ნოტარიუსის თვით რწმენაზეა დამოკიდებული. სანოტარო მოქმედებების შესრულებისას ნოტარიუსის ერთ-ერთ ვალდებულებას პირის ქმედუნარიანობის შემოწმება წარმოადგენს.⁹ თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ნოტარიუსის მიერ ქმედუნარიანობის შემოწმება, განსხვავებით პიროვნების პირადობის დადგენისაგან (პირადობის მოწმობის, პასპორტის, დაბადების მოწმობა) მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი რწმენის საფუძველზეა შესაძლებელი. შედეგი რომელიც ქმედუნარო პირის მიერ დადებული გარიგების ბათილობას მოყვება ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს. მტკიცება, ქონდა თუ არა ეჭვის შეტანის საფუძველი ნოტარიუსს პიროვნების ქმედუნარიანობაში, მითუმეტეს მაშინ როცა მისი ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამოვლენა იმ მომენტისათვის არ მომხდარა, ცოტათი ძნელია. საინტერესო იქნებოდა ამ კუთხით საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც როგორც ნოტარიუსის ასევე მესამე პირთა ინტერესებს დაიცავდა.

სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე მზღვეველი ანაზღაურებს სანოტარო მოქმედების შედეგად მიყენებულ ქონებრივ ზიანს თუ ადგილი აქვს შემდეგ მოვლენათა ერთობლიობას: ა) სადაზღვევო შემთხვევას ადგილი ჰქონდა დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში; ბ) სადაზღვევო შემთხვევა პირდაპირ დაკავშირებულია დამზღვევის მიერ ნოტარიუსის საქმიანობის განხორციელებასთან და ქონებრივი ზიანი წარმოადგენს სანოტარო მოქმედების შესრულებისას ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედების პირდაპირ შედეგს; გ) ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დამზღვევისათვის წარდგენილია საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე. გასათვალისწინებელია გარემოებები, რომელიც არ წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევას და სადაზღვევო კომპანიის მიერ არ ანაზღაურდება, მაგალითად სანოტარო მოქმედების მონაწილეთათვის მიყენებული მორალური ზიანი, მიუღებელი შემოსავალი, ნოტარიუსის ვალდებულება დააბრუნოს მის მიერ გაწეული სანოტარო მოქმედების ღირებულება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა იმ

9 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №71. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, მუხ. 19

ზიანისათვის რომელიც მიადგა სადაზღვევო ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე. ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მზღვეველმა, რომელმაც დაზარალებულს აუნაზღაურა ქონებრივი ზიანი, უფლებამოსილია ნოტარიუსს წააყენოს რეგრესული მოთხოვნა პირველი, თუ დაზარალებულისათვის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა დაკავშირებულია ნოტარიუსის განზრახ ქმედებასთან და მეორე, დაზარალებულისათვის ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა დაკავშირებულია ნოტარიუსის ქმედებასთან, რომელიც ჩადენილია მისი ალკოპოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების დროს.

2. **სადაზღვევო თანხა (პასუხისმგებლობის ლიმიტი).** სადაზღვევო პრემია. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე ნოტარიუსის სავალდებულო პროფესიული სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობად განისაზღვრება წელიწადში 100 000 ლარი.¹⁰ განსხვავებული წესი მოქმედებს იმ ნოტარიუსებისათვის, ვისაც სადეპოზიტო ანგარიშზე მიღებული ან/და შენახული აქვს ფული, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფასეულობები, რომელთა ღირებულება აღემატება 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს – სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობაა წელიწადში არანაკლებ 200 000 ლარი. ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფასეულობების მიღება ან/და შენახვა, რომელთა ღირებულება აღემატება 2 000 000 (ორი მილიონი) ლარს – სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობაა წელიწადში არანაკლებ 300 000 ლარი. ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფასეულობების მიღება ან/და შენახვა, რომელთა ღირებულება აღემატება 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარს – სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობაა წელიწადში არანაკლებ 500 000 ლარი.¹¹ **სადაზღვევო პრემია** (შესატანი) ეს არის ფულადი თანხა, რომელსაც უხდის დამზღვევი მზღვეველს.¹² სადაზღვევო პრემიის (შენატანის) ოდენობისა და გადახდის წესის განსაზ-

¹⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 17 მარტის ბრძანება №58 „ნოტარიუსთა სავალდებულო დაზღვევის არსებითი პირობებისა და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“

¹¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 17 მარტის ბრძანების №58 „ნოტარიუსთა სავალდებულო დაზღვევის არსებითი პირობებისა და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“

¹² მ. ცისკაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი IV, ნაწილი II თბ., 2001 გვ.113

ღვრა ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს და საჭიროა მხარეებს შორის შეთანხმება. მაგ. სადაზღვევო მოწმობაში (პოლისი), რომელიც გაიცემა მზღვეველის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მითითებულია სადაზღვევო პრემიის ოდენობა 390 ლარი, და მისი გადახდის წესი წელიწადში ორჯერ 195 ლარი. სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობა წარმოადგენს საფუძველს მზღვეველის თავისი მოვალეობებისაგან გათავისუფლების, ხელშეკრულების შეწყვეტის და პოლისის გაუქმებისა.

3. სადაზღვევო ანაზღაურება. ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას მზღვეველი ხელმძღვანელობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ქონებრივი ზიანის ზუსტი მოცულობის გათვალისწინებით. შეტყობინება, სადაზღვევო შემთხვევის შესახებ, მზღვეველს უნდა წარუდგინოს უშუალოდ დამზღვევმა. მზღვეველი უფლებამოსილია გადაამოწმოს ან/და მიიღოს ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის მიზეზებისა და გარემოებების შესახებ როგორც უშუალოდ დამზღვევისაგან, ასევე კომპეტენტური ორგანოებისა და ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირისაგან. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისათვის აუცილებელია წარდგენილ იქნეს: ა) პოლისი და ხელშეკრულების ორიგინალი, ბ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა ხდება ანაზღაურების თანხიდან პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზას (ზარალის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ აანაზღაურებს) გამოკლებით. თუ განცხადება სადაზღვევო ანაზღაურების შესახებ რაიმე ფორმით დაკავშირებულია თაღლითობასთან, გამოყენებულია ყალბი (არასწორი) ინფორმაცია და დოკუმენტები, ან დამზღვევმა გამოიყენა თაღლითური ხერხი ან საშუალება სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად, მზღვეველი არ აანაზღაურებს ზიანს. თუ მზღვეველის მიერ გადახდილი ანაზღაურება არ არის საკმარისი მიყენებული ზიანის სრულად ასანაზღაურებლად, ნოტარიუსი ფარავს სზვაობას სადაზღვევო ანაზღაურებასა და ზიანის ფაქტობრივ ოდენობას შორის.¹³ თუ გავითვალისწინებთ საფრანგეთის სანოტარო პრაქტიკას, სადაც ნოტარიუსის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემია ხმარდება არამართო ინდივიდუალურ სადაზღვევო შემთხვევას, არამედ იქმნება საერთო ფონ-

13 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 17 მარტის ბრძანება №58 „ნოტარიუსთა სავალდებულო დაზღვევის არსებითი პირობებისა და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“

დი, რომლიდანაც ხდება სხვაობის დაფარვა,¹⁴ ვფიქრობ საინტერესო იქნებოდა ასეთი საერთო, სოლიდარული ფონდის შექმნა საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, რომელიც უზრუნველყოფდა სადაზღვევო ანაზღაურებისა და ზიანის ფაქტობრივ ოდენობას შორის სხვაობის დაფარვას.

ხელშეკრულების საფუძველზე მზღვეველი უფლებამოსილია: მოახდინოს დამზღვევის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესწავლა ან გადამოწმება; მოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ინფორმაცია შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებიდან; თავად გამოიკვლიოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მიზეზები და გარემოებები. თუ საეჭვოდ მიიჩნევს დამზღვევის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას, შეაჩეროს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა საქმის მასალების დამატებითი განხილვისა და დასაბუთებული ინფორმაციის მოპოვებამდე.

მზღვეველი ვალდებულია: გააცნოს დამზღვევს დაზღვევის წესები და გადასცეს სადაზღვევო მოწმობა (პოლისი); სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სადაზღვევო ანაზღაურება გადაუხადოს უშუალოდ დაზარალებულ მესამე პირს; არ გაახმაუროს მონაცემები დამზღვევის, მისი ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. უნდა აღინიშნოს რომ ხელშეკრულების საფუძველზე დამზღვევს უფლებებზე მეტად ვალდებულებები წარმოეშობა. მაგ. იგი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია, დაზღვევის მოქმედების პერიოდში შეატყობინოს მზღვეველს ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ, სანოტარო მოქმედების მხარის (მესამე პირის) მიერ დამზღვევისათვის დაზღვევის მოქმედების პერიოდში მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ შეატყობინოს მზღვეველს და წარუდგინოს მას ყველა მის ხელთ არსებული დოკუმენტი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, მათ შორის სასამართლო უწყების, სასარჩელო განცხადების ასლები. ითანამშრომლოს მზღვეველთან მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქმის წარმოებისას (მათ შორის სასამართლო წესით საქმის წაროებისას.)

სადაზღვევო ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ფორს-მაჟორულ გარემოებებს, როდესაც მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (ინფორმაციის შეტყობინების, თანხის

14 Karl.H.Haug, Grundzüge eines Versicherungssystems für Notare. Das moderne Notariat - Strukturen und Aufgaben - Köln 1993. S 53

გადახდის ვალდებულება) შესრულებისაგან, მაგ. სტიქიური უბედურება, სამხედრო, საომარი მოქმედებები, სახელმწიფო ორგანოების აქტებით და/ან ქმედებებით, გაფიცვით, აჯანყებით, სამოქალაქო არეულობით, რაც შეუძლებელს ხდის მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ნოტარიუსის ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ჯერ არ დამდგარა. იმედს გამოვთქვავ, რომ ნოტარიუსი თავისი პროფესიული საქმიანობის ერთგული დარჩება და კეთილსინდისიერად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.